

სააქციო საზოგადოება
„ნიკორა“
(საიდენტიფიკაციო კოდი: 200050675)

ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს ობლიგაციების საბოლოო პირობებს და წარმოადგენს ობლიგაციების ემისიის საბოლოო პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების, ცვლადი საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“ ან „პროცენტი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული, ობლიგაციების (შემდგომში „ობლიგაციები“) შეთავაზების პირობები. ობლიგაციები ვადამოსული გახდება გამოშვებიდან 60 თვის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 ლარი. ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2025 წლის 25 სექტემბერი.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს „ნიკორა“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „ნიკორა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 200050675) მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ა. მრეკლიშვილის ქუჩა, N2 ელ.ფოსტა: contact@nikora.ge ვებ-გვერდი: nikoraholding.ge ტელ.: +995 32 269 55 50
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) მისამართი: ქ. თბილისი 0108, პუშკინის ქუჩა N3 ელ.ფოსტა: gt@gt.ge ; sales@gt.ge ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/en ტელეფონი: (+995 32) 2 401 111
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებგვერდი: www.nbg.gov.ge ტელ: (995 32) 240 6406 ფაქსი: (995 32) 240 6577
ემისიის სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი	GE 2700605183 - 1 - 04
ემისიის საერთაშორისო რეგისტრაციის ნომერი ISIN	GE 2700605183

პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	19 სექტემბერი, 2025 წელი.
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე, თუმცა არაუგვიანეს 2026 წლის 2 სექტემბრისა

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ



დამტკიცების თარიღი:

24 სექტემბერი, 2025 წელი.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „ნიკორა“ (ს/ნ: 200050675)

ხელმოწერილია სს „ნიკორას“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ვასილ სუხიაშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს მ.

ხელმოწერა:

თარიღი: 22.09.2025



ხელმოწერი:

სახელი: ირაკლი ბოქოლიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.09.2025



ხელმოწერილია სს „ცალტ & თაგარტის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 22.09.2025



ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციის ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან, და შეადგენს წლიურად TIBR 3M-ს + 350 საბაზისო პუნქტს. ობლიგაციების მოქმედი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს რეიტინგის ცვლილების დადგომისას (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების პირობები“ – 1.6.1 (პ) ქვეპუნქტი („საკრედიტო რეიტინგის ცვლილება“))
„ობლიგაციის“ ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე (თუ არ განხორციელდა ობლიგაციების ვადამდელი დაფარვა ან შესყიდვა და გაუქმება „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 1.6.3 პუნქტის შესაბამისად). პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 360 დღის საფუძველზე (30/360 ISMA). ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ოთხჯერ, 25 დეკემბერს, 25 მარტს, 25 ივნისსა და 25 სექტემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება 2025 წლის 25 დეკემბერს.
„ობლიგაციის“ ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების შეთავაზების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია (Call Option)	„ემიტენტს“ გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (Call Option) – „ემიტენტს“ არ ექნება ობლიგაციების გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 1 (ერთი) წლის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 1 (ერთი) წლის (2026 წლის 25 სექტემბრის) შემდეგ, ნებისმიერ დროს „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოსყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 101.00%-ს 1 წლის შემდეგ, 100.50%-ს 2 წლის შემდეგ, 100.25% 3 წლის შემდეგ, 100.00%-ს 4 წლის შემდეგ დამატებული ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციების გამოსყიდვა მოხდება სრულად ან ნაწილობრივ.
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	„ემიტენტს“ მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგი: • Scope Ratings – BB- / უარყოფითი საკრედიტო პერსპექტივით „ემიტენტის“ არაუზრუნველყოფილ არასუბორდინირებულ ინსტრუმენტს მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგი:

	• Scope Ratings – BB-
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2030 წლის 25 სექტემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველას, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. “ემიტენტი” აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების პირობებს. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდის გაცემის პოლიტიკა	დივიდენდის გაცემის პოლიტიკა აღწერილია პროსპექტის ქვეთავში „დივიდენდების პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით 2030 წლის 25 სექტემბერი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) ლარი
ობლიგაციების რაოდენობა	60,000 (სამოცი ათასი) ცალი
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარი
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 100%
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება 2025 წლის 25 სექტემბერს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	ემისია ავტორიზებული იქნა 2025 წლის 25 ივლისს კრების გადაწყვეტილებებით
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება თარიღი, როდესაც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2030 წლის 25 სექტემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.

ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში	„ემიტენტის“ გადახდისუუნარობის/ გაკოტრების შემთხვევაში, ობლიგაციონერები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად და დაკმაყოფილდებიან გადახდისუუნარობის მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები.. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები - გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში“.
კალკულაციისა და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და

	ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი - 1.6.6, „დეფოლტი“).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება არსებული ვალდებულებების რეფინანსირებასა და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“).
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების მომსახურების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყონ ობლიგაციების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია-მოვალეობები და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების და სხვა საკომისიო ხარჯები	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების [1.5]%-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი და განთავსების აგენტი (სს „გალტ & თაგარტი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან“, კერძოდ, „განთავსების აგენტისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC“. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

პროსპექტში არსებითი ცვლილების შეტანის შესახებ

2025 წლის 29 აგვისტოს, სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-მა უცვლელად, BB- კატეგორიით განსაზღვრა კომპანიისა და არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ინსტრუმენტის საკრედიტო რეიტინგი, ხოლო კომპანიის საკრედიტო რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა შეიცვალა უარყოფითით.

ვინაიდან საკრედიტო რეიტინგის განახლება მოხდა წინასწარი პროსპექტის ეროვნულ ბანკში წარდგენის შემდეგ, აღნიშნული გარემოების ასახვის მიზნით, 2025 წლის 2 სექტემბერს დამტკიცებულ პროსპექტში შევიდა არსებითი ცვლილება და 2025 წლის 19 სექტემბერს დამტკიცდა განახლებული პროსპექტი. არსებითი ცვლილების ქრილში, პროსპექტში დაკორექტირდა ქვეთავები: „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“ და „ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები: რისკი 5.16 – „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე“. არსებითი ცვლილება მხოლოდ უკავშირდებოდა კომპანიის საკრედიტო რეიტინგის განახლებას, სხვა შინაარსის ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. განახლებული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ემისიის პროსპექტის შესაბამისი ქვეთავები.



სააქციო საზოგადოება „ნიკორა“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 200050675)

არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის პროგრამის პროსპექტი

120,000,000 (ას ოც მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“), გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით. თითოეული ემისიისთვის თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება იქნება 1,000 (ათასი) ლარი. თითოეული ემისიისთვის ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ას პროცენტს). „ობლიგაციების“ გამოშვების დეტალური პირობები, როგორცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტალური; გ) ნახევარწლიური; ობლიგაციების ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი;

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო

განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

სს „ნიკორა“ (შემდგომში „კომპანია“, „ნიკორა“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლად კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „ნიკორა“ (ს/ნ: 200050675)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.

ხელმოწერილია სს „ნიკორას“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ვასილ სუხიაშვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 18.09.2025




ხელმოწერი:

სახელი: ირაკლი ბოქოლიშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 18.09.2025



ხელმოწერილია სს „გალტ & თაგარტის“ სახელით:


ხელმოწერი:

სახელი: ირაკლი კირტავა

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 18.09.2025



მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406.
ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული ობლიგაციების შეთავაზების მიზნებისთვის და ობლიგაციებთან დაკავშირებით კალკულაციის აგენტის მომსახურების გაწევის მიზნებისთვის, განთავსების აგენტი და კალკულაციის აგენტი მოქმედებენ ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე „პროსპექტში“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს (i) განთავსების აგენტს - სს „გალტ ენდ თაგარტი“: (ს/ნ 211359206), მის: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ტელ: (+995 32) 2444-132; ელ-ფოსტა: gt@gt.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და (ii) „ემიტენტს“ - სს „ნიკორას“, რომ ინვესტორი (ა) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ბ) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (გ) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (i) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ii) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით განპირობებული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ/გასაჯაროებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

19 სექტემბერი, 2025 წელი.

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა	9
შესავალი	9
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	13
მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით	14
ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები	16
კომპანიის სტრატეგია	17
ემიტენტის აქციონერები	18
ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი	20
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	23
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები	25
„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი	30
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ	33
რისკის ფაქტორები	38
ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები	38
ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები	50
შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები	59
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	65
სარეგისტრაციო დოკუმენტი	66
ძირითადი საქმიანობა	67
კომპანიის მიმოხილვა	67
ორგანიზაციული სტრუქტურა	68
შვილობილი კომპანიების და ბრენდების მიმოხილვა	70
„კომპანიის“ ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები	72
კომპანიის ისტორია და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები	75
ბიზნესის სეზონურობა	76
სტრატეგია და ამოცანები	77
ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები	78
კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები	79
კონკურენტული პოზიცია	82
მარკეტინგული პროგრამა	84

ინვესტიციები.....	85
„კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანი კონტრაქტები	87
სასამართლო დავები.....	87
FMCG ბაზრის ზომა	88
ბრენდული ქსელები.....	90
ხორცპროდუქტების ბაზარი	97
რძის პროდუქტების ბაზრის ზომა	101
საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....	105
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	106
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	112
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	119
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	120
ფინანსური რისკის მართვა.....	124
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	127
კაპიტალიზაცია და დავალიანება	128
დავალიანება	128
ობლიგაციები.....	139
კომერციული ბანკის სესხები / გარანტიები	143
„ემიტენტის“ განცხადებები.....	149
მარეგულირებელი გარემო	149
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი	160
მიმოხილვა	160
აქციონერთა საერთო კრება.....	160
აქციონერები	161
სამეთვალყურეო საბჭო	163
დირექტორატი.....	165
აუდიტის კომიტეტი.....	166
თანამშრომლები	167
ანაზღაურება და ბენეფიტები	167
ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი	167
საჩივრის შესახებ განცხადება.....	168
კორპორატიული მმართველობა	168
ღივიდენდების პოლიტიკა.....	170

დაკავშირებული მხარის გარიგებები	171
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი	172
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა.....	173
მნიშვნელოვანი ინფორმაცია.....	173
ობლიგაციების პირობები	176

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს „ნიკორას“ არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „ნიკორა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200050675) მისამართი: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ა. მრეწველიშვილის ქუჩა, N2 ელ.ფოსტა: contact@nikora.ge ვებ-გვერდი: nikoraholding.ge ტელ.: +995 32 269 55 50
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206) მისამართი: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3 ელ. ფოსტა: gt@gt.ge ვებგვერდი: www.gt.ge ტელ.: (+995 32) 244 41 32; (+995 32) 240 11 11
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, ზვიადა გამსახურდიას სანაპირო #1 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge ტელ.: (995 32) 240 6406
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	19 _____, 2025 _____.
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე, თუმცა არაუგვიანეს 2026 წლის 2 სექტემბრისა

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

„ობლიგაციებში“ ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს „ობლიგაციებს“, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნება და დარიცხული პროცენტის გადახდა დამოკიდებული იქნება

„ემიტენტის“ გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც „კომპანია“ და არც განთავსების აგენტები არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან განთავსების აგენტების სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტების მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელდებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

„ობლიგაციების“ ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო

გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამის ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩეველის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“, IFRS) შესაბამისად 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“) www.reportal.ge
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი nikoraholding.ge
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიშები:
 - უახლესი BB- რეიტინგის მინიჭების ანგარიში: JSC Nikora | Scope Ratings
 - ყველა ანგარიში: <https://scoperatings.com/ratings-and-research/issuer/563546>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
- გალტ & თაგარტის FMCG სექტორის მიმოხილვა <https://galtandtaggart.com>
- საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge
- კომპანიის წესდება NAPR-ის სისტემაში განაცხადის ნომერი: B21068414
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - განაცხადის ნომერი: B25026735

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა. ზემოთ აღწერილის მიუხედავად, „ემიტენტი“ არ იღებს ვალდებულებას მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და მისი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების სიზუსტეზე.”


ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

„ემიტენტი“ არის სს „ნიკორა“ („კომპანია“, „ემიტენტი“, „ნიკორა“, „ჯგუფი“), მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ა. მრევლიშვილის ქუჩა, N2; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა; დაარსების თარიღი 1998 წელი.

სს „ნიკორა“ არის საქართველოს უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. იგი 1998 წელს დაარსდა როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია და მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ღორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ნიკორა ჯგუფში“ დასაქმებულია 10,600-მდე თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანია ყიდის 10,000-მდე სახის პროდუქციას და თავად აწარმოებს 500-მდე სახეობის ხორცპროდუქტს, აგრეთვე რძის, ზღვის და გამომცხვარ პროდუქციას.

„ჯგუფში“ შემავალი ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირდებიან ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, კომპანიის შვილობილი „ნიკორა ტრეიდი“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში სხვა შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს:



საცალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც „კომპანიას“ მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ძირითადი საქმიანობა“.

მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით

FMCG ბაზრის ზომა

FMCG სექტორის საცალო შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 13.2%-ით გაიზარდა და €22.7 მილიარდს მიაღწია. 2025-28 წლებში მოსალოდნელია 8.0%-იანი საშუალო წლიური ზრდა და ბაზრის ზომა გაიზარდება €30.8 მილიარდამდე. ამ ზრდის წარმმართველი იქნება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდა. ჯამური შემოსავლების ძირითადი წყარო ადგილობრივი მოსახლეობა იყვნენ, მცირე წილი კი უცხოელ ვიზიტორებსა და მიგრანტებზე მოდის.

ბრენდული ქსელები

ბრენდული ქსელები 2018-24 წლებში ყველაზე სწრაფი (25.5% CAGR) ტემპით იზრდებოდნენ, რაც როგორც მათი რაოდენობის ზრდის, ასევე სწრაფი გეოგრაფიული გაფართოების შედეგია. ჩვენი მოლოდინით, ეს ზრდა გაგრძელდება და მთლიან FMCG ბაზარში ბრენდული ქსელების წილი 52.0%-ს მიაღწევს 2028 წელს (40.4% 2024 წელს). მათი ზრდით ყველაზე დიდი წნეხი ტრადიციული ფორმატის მაღაზიებს შეექმნებათ, თუმცა, ბაზრის წილს არაფორმალური ვაჭრობაც დაკარგავს.

წლების განმავლობაში ბრენდულმა ქსელებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს. მათ სწრაფი ექსპანსია 2017-18 წლებში დაიწყო და დღეს ბაზარზე 46 ბრენდული ქსელი ოპერირებს განსხვავებული ბიზნეს მოდელებით.

ბრენდულ ქსელებში 2024 წელს ტოპ-5 კომპანიას ბრენდული ქსელების ბაზრის 74.9% ეკავა ხოლო ტოპ 10-ს 85.2%. ტოპ-5 კომპანიებია:

- 1.6.1. დეილი ჯგუფი (ბაზრის 27.5%);
- 1.6.2. ორი ნაბიჯი (ბაზრის 17.0%);
- 1.6.3. ნიკორა (ბაზრის 16.4%);
- 1.6.4. კარფური (ბაზრის 10.0%);
- 1.6.5. აგროჰაბი (ბაზრის 3.9%);

ბრენდული ქსელების ბაზარი ერთი შეხედვით საკმაოდ გაჯერებულია. სხვადასხვა ფოკუსის ათობით ბრენდის კონკურენცია აშკარაა, განსაკუთრებით წლიდან წლამდე ცვალებადი ტოპ 6-20 ბრენდის სიის მიხედვით, თუმცა, კონკურენციას ჯერ სრულმასშტაბიანი სახე არ მიუღია, რადგან ბრენდები ამ ეტაპზე ძირითადად ე.წ. არა-ორგანიზებული ქსელების ბაზრის წილის ათვისებით ვითარდებიან. საშუალო და გრძელ პერიოდში ამ რესურსის ამოწურვას ველით, რაც ბაზრის მეტად კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს. შედეგად, მოსალოდნელია ბრენდებს შორის M&A გარიგებები ან/და ნაკლებად ეფექტური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა.

ბრენდული ქსელების აქტიური გაფართოების შედეგად, შემოსავლებში მზარდია რეგიონების წილი. რეგიონებში ქსელური მაღაზიების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, თუმცა ერთ მაღაზიაზე საშუალო შემოსავალი თბილისთან შედარებით ნაკლებია. აღნიშნული მოსახლეობის ნაკლები მსყიდველუნარიანობით, განსხვავებული ქცევით და არაფორმალური ფორმატებით აიხსნება.

რეგიონებში ბრენდული ქსელების შემოსავლები წლიურად 23.6%-ით გაიზარდა, ხოლო თბილისში 9.3%-ით, რის გამოც თბილისის წილი ჯამურ შემოსავლებში 57.8%-მდე შემცირდა 2024 წელს (58.9% იყო 2023 წელს).

ხორცპროდუქტების ბაზარი

ხორცპროდუქტების წარმოების სექტორის შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 9.0%-ით გაიზარდა და 650.9 მლნ ლარს მიაღწია. ბოლო 4 წლის განმავლობაში ბრუნვა თითქმის გაორმაგდა, რაც მიგრანტების ეფექტით გამოწვეულ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება.

ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შემოსავლები მზარდია და სექტორის ბრუნვის 40%-ზე მეტს ტოპ-3 კომპანია ქმნის ხოლო ტოპ 8 70%-ს. ყველაზე დიდი წილი ბაზარზე „ლიდერ-ფუდი“-ს (14.4%), „ნიკორა“-ს (14.2%) და „კორიდა“-ს (12.3%) უკავია (შპს „ნიკორა“ და შპს „კორიდა“ წარმოადგენენ „ემიტენტის“ 100% შვილობილ კომპანიებს, შესაბამისად, ჯგუფის ჯამური წილი ბაზარზე 26.5%-ია).

რძის პროდუქტების ბაზრის ზომა


რძის პროდუქტების წარმოების სექტორის შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 14.0%-ით გაიზარდა და 2024 წელს 714.4 მლნ ლარს მიაღწია. 2022-24 წლებში შემოსავლების ზრდა დაჩქარდა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკის ზრდასთან. 2018-24 წლებში საშუალო ინფლაცია 5.4%-ს შეადგენდა

საქართველო რძის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია. 2018-24 წლების განმავლობაში საქართველოში რძის წარმოება წლიდან წლამდე მერყეობდა, მაგრამ გრძელვადიანი ტრენდი არ გამოიკვეთა. იმავე პერიოდში საქართველოში რძის პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც მეტწილად მგრანტების ეფექტის დამსახურებაა. რძისა და რძის პროდუქტების ადგილობრივი მოხმარება წლიურად საშუალოდ 2.2%-ით იზრდებოდა 2018-24 წლებში. უცვლელი წარმოებასა და გაზრდილ მოთხოვნას შორის დეფიციტი იმპორტით შეივსო და ქვეყნის რძის პროდუქტების თვითუზრუნველყოფა გაუარესდა 2018-ში 81%-დან 2024-ში 74%-მდე.

წილი მშპ-ში

მშპ-ში ვაჭრობის და წარმოების სექტორების კონტროლუცია დაითვლება, როგორც ამ სექტორის დამატებული ღირებულების შეფარდება მშპ-სთან. საქსტატი დამატებულ ღირებულებას აღრიცხავს მხოლოდ სექტორის ორგანიზებული ნაწილისთვის, ამაში შედის ბრენდული ქსელების და არაბრენდული მაღაზიების გაყიდვების ჯამი, და მასში არ შედის ის FMCG პროდუქცია, რომელიც იყიდება არაფორმალურ ბაზარზე და ავთიაქებში.

დიაგრამა 1: ორგანიზებული FMCG-ს წილი მშპ-ში




წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 2024 წლის სექტორის დამატებული ღირებულება გალტ & თაგარტის შეფასებაა, როგორც ჯამური შემოსავლის იგივე წილი, რაც იყო 2023 წელს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“.

დიაგრამა 2: ხორც-პროდუქტებისა და რძის პროდუქტების წარმოების წილი მშპ-ში



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: გრაფიკი ასახავს მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობის წილს მშპ-ში და არა პირველადი წარმოების წილს. 2024 წლის მონაცემი დაანგარიშებულია ორგანიზებული FMCG-ის მსგავსად.

ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1998 დეკემბერი

- კომპანიის დაარსება

1999 იანვარი

- პირველი პროდუქცია

2000

- პირველი მაღაზიის გახსნა

2001-2004

- სადისტრიბუციო ქსელის შექმნა, პირუტყვის ფერმის გახსნა;
- თევზისა და რძის პროდუქტების წარმოება, საკალმახე მეურნეობის გაშვება, „ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია“;
- „მზარეული“ იწყებს ნახევარფაბრიკატების წარმოებას, ნაყინის წარმოება, „წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია“ ჯილდო;

2005-2008

- დასავლეთ საქართველოში გაფართოება, შპს „ინტრეიდის“ დაარსება, „რეპუტაცია და ნდობა“ ჯილდო;
- გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოში, ღვინის წარმოების შესყიდვა, „პალომას“ საფირმო მაღაზიის გახსნა, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- სს ნიკორას დაარსება, ფოთის ოფისის გახსნა, „დარგის ლიდერი“ ჯილდო;
- ჩვენი ფერმერისა და ოკეანის ბრენდების გაშვება, საკონდიტრო წარმოების ხაზის შესყიდვა, ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სისტემების დანერგვა

2009-2013

- ხიზილალის წარმოების დაწყება, „ოქროს ბრენდი“ და „წამყვანი კომპანია“ ჯილდოები;
- მასივი ქსელის შესყიდვა, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- მაღაზიების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისსა და რეგიონებში;

2014 -2017

- "სანდის", "კი ბატონოსა" და „ჰომმარტის“ შეძენა. კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მაღაზიების მოდერნიზება, „წლის ლიდერი კომპანია“ და „წლის საუკეთესო კომპანია“ ჯილდოები;
- ნუგეშისა და ლიბრეს შეძენა - ყველაზე დიდი ქსელის სტატუსი, ცელოფნის პარკების ბიო პარკებით ჩანაცვლება, „დარგის ლიდერი“ და „ოქროს ბრენდი“ ჯილდოები;
- \$5 მლნ. მოზიდვა ობლიგაციების საჯარო შეთავაზებით, ნიკორა ტრეიდის აღიარება უმსხვილეს ქსელად, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- \$10 მლნ. დოლარის წარმატებული ემისია და განთავსება სს "ნიკორას" მიერ საქართველოს საფონდო ბირჟაზე;

2018-2021

- ნიკორა ტრეიდის მიერ 5 მლნ \$ ობლიგაციების წარმატებით რეფინანსირება და 25 მლნ ლი ახალი ობლიგაციის გამოშვება, „B+“ საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტოსგან Scope Ratings GmbH;
- ქსელის მასშტაბური გაფართოება, 100 ზე მეტი ახალი ობიექტის გახსნა;
- ბაზრის ლიდერის პოზიციის მოპოვება, არა მხოლოდ მაღაზიების რაოდენობით არამედ გაყიდვებითაც; ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორას და ნიკორა ტრეიდის ბრენდებს);
- ნიკორა ტრეიდის მიერ 25 მლნ ლარის ობლიგაციების რეფინანსირება და 10 მლნ ლარის ახალი ობლიგაციების გამოშვება. ნიკორა კვლავ რჩება ბაზრის ლიდერად როგორც ორგანიზებული საცალო ვაჭრობის, ასევე ხორცპროდუქტების წარმოებაში. 2021 წელს ჯგუფს სახელმწიფოსგან გადაეცა მიწა შემდგომი საინვესტიციო ვალდებულებების პირობით. საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვრება 14,485 ათასი ლარის ოდენობით 2022-2023 წლების განმავლობაში და მოხმარდება საწარმოო სიმძლავრეების ზრდას

2023-2025

- შპს "ნიკორა"-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა;
- სს "ნიკორა ტრეიდის" მიერ 120 000 000 ლარის ობლიგაციების პირველი ნაწილის წარმატებით გამოშვება; სს „ნიკორა ტრეიდი“ - წლის საუკეთესო დამსაქმებელი;
- საკრედიტო რეიტინგი ნარჩუნდება BB- ნიშნულზე;

კომპანიის სტრატეგია

„ჯგუფი“ უმთავრესად მისი შვილობილი კომპანია სს „ნიკორა ტრეიდის“ საშუალებით, რომელიც წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობისა და გეოგრაფიული განშლის მიხედვით, გეგმავს ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას როგორც FMCG ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. ასევე, წარმატებით დასრულდა ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობა და ობიექტი ეტაპობრივად გადადის სრულ სიმძლავრეზე.

გარდა ამისა „კომპანია“ გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- ლოგისტიკა;
- „დისკაუნტერი მაღაზიები“ (soft discounter store);
- საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (Private Label);
- ხილბოსტნის მიმართულების განვითარება;
- კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია;
- ხორცპროდუქტების წარმოების განვითარება;
- განახლებადი ენერგია;

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „სტრატეგია და ამოცანები“.

ემიტენტის აქციონერები

სს „ნიკორა“ ჯგუფის სტრუქტურა პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის



შენიშვნა: ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემულია მხოლოდ მოქმედი და სს „ნიკორას“ კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები;

ემიტენტის შვილობილი კომპანიები, მათ შორის უმოქმედო კომპანიები და მეკავშირე საწარმოები, დეტალურად წარმოდგენილია ცხრილში:

#	დასახელება	ს/ნ	რეგისტრაციის ქვეყანა	წილი % (პროსპექტის მომზადების თარიღი)	წილი (31.12.2024)	წილი (31.12.2023)	ძირითადი საქმიანობა
1	სს ნიკორა ტრეიდი	206255808	საქართველო	96.6%	96.6%	96.6%	საცალო ვაჭრობის ქსელი
2	შპს მილა საქართველო	400095008	საქართველო	50%	50%	50%	იმპორტი
3	შპს ნიკორა	400132183	საქართველო	100%	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
4	შპს კორიდა	215133193	საქართველო	100%	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
5	შპს ოკეანე	200265239	საქართველო	100%	100%	100%	ზღვისპროდუქტების წარმოება
6	შპს ჩვენი ფერმერი	200265220	საქართველო	100%	100%	100%	რძის პროდუქტების წარმოება
7	შპს მზარეული I	200104699	საქართველო	90%	80%	80%	პურპროდუქტების წარმოება
8	შპს კულინარი	405099389	საქართველო	100%	100%	50%	სალათების წარმოება
9	შპს პარტნიორი	400132192	საქართველო	100%	100%	100%	დისტრიბუცია

10	შპს ინტრიდი	200115883	საქართველო	100%	100%	100%	იმპორტი
11	შპს მულტიტრიდი	200273765	საქართველო	100%	100%	100%	იმპორტი
12	შპს ვაკოჯერის კალმახი	237074857	საქართველო	94%	94%	94%	კალმახის ფერმა
13	შპს ნაფარეულის ძველი მარანი	231260827	საქართველო	100%	100%	100%	ვენახები
14	შპს ნიკორა ბაკურიანი	426112823	საქართველო	50%	50%	50%	უძრავი ქონების მენეჯმენტი
15	შპს რეფ ელ	400387149	საქართველო	50%	50%	0%	უძრავი ქონების მენეჯმენტი
16	შპს რეფ ბი	400402872	საქართველო	80%	80%	0%	უძრავი ქონების მენეჯმენტი
17	შპს დენ ბრავენ ჯორჯია	205026498	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
18	შპს ინტრიდი ფოთი	215149097	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
19	შპს ნიკორა კახეთი	231278131	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
20	შპს ნიკორა აგრო	200271482	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
21	შპს ვებ ტრიდი	400178017	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
22	შპს კრწანისი 14	404561620	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
23	შპს როიალ კასპია	200255721	საქართველო	50%	50%	50%	უმოქმედო
24	შპს ლაზი-ჰოლდინგი	419982308	საქართველო	67%	67%	67%	უმოქმედო
25	შპს ნუგეში	404865231	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
26	შპს ნიკორა 1	200178155	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
27	შპს ფუდ ენდ დრინქ	204514515	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
28	შპს იბერთი	200109140	საქართველო	0%	50%	0%	უმოქმედო
29	შპს ალმა ვეკო ჯორჯია	400358741	საქართველო	40%	50%	50%	მეკავშირე საწარმო

სს „ნიკორას“ შვილობილებზე დამოკიდებულება განისაზღვრება: იჯარების, მომსახურებების, საპროცენტო შემოსავლების და დივიდენდების მიღების კუთხით. „კომპანია“ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სს „ნიკორა ტრიდიზე“, შპს „პარტნიორზე“, შპს „ნიკორაზე“ და შპს „კორიდაზე“ რომლებიც უზრუნველყოფენ სს „ნიკორას“ შემოსავლების 97%-ს.

სს „ნიკორას“, სააქციო კაპიტალი მოიცავს 6,470,588 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ პრივილეგირებულ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი აქციონერები შემდეგი პირები არიან:

აქციონერი	ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობა	წილი კლასში
ვასილ სუხიაშვილი	1,488,235	23.0%
GREENMOON LTD*	860,580	13.3%
დუმბაძე დავით	679,413	10.5%
გუბანოვი ოლეგ	647,057	10.0%
ცირეკიძე თალიკო	582,353	9.0%
სს ნიკორა სახაზინო	417,359	6.5%
სალუქვაძე მაკა	388,236	6.0%
სხვა აქციონერები	1,407,355	21.8%
სულ	6,470,588	100.0%

სხვა აქციონერები 5%-ზე ნაკლებ წილს ფლობენ კომპანიაში

*Greenmoon LTD არის კვიპროსში დაფუძნებული კომპანია, რომლის დირექტორი და 100%-ის წილის მფლობელი არის სერხიოს დანილისი, რომელიც წილებს ფლობს და მართავს როგორც ნომინალური მფლობელი, მინდობილობის/ტრასტის დეკლარაციის საფუძველზე.

Greenmoon LTD-ს ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების ბენეფიციარი მფლობელები არიან შემდეგი პირები:

აქციონერი	წილი
დენის ტარადინი	70.3%
ვასილი ტარადინი	9.9%
გლებ ტარადინი	9.9%
დემენტი ტარადინი	9.9%

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, სს „ნიკორას“ პრივილეგირებული (ხმის უფლების არ მქონე) აქციონერები შემდეგი პირები არიან:

აქციონერი	პრივილეგირებულ აქციათა რაოდენობა	წილი კლასში
ისაიევი ანდრეი	78	48.8%
PELICAN VENTURES CORP	20	12.5%
ვაჩნაძე გიორგი	13	8.1%
ნიჟარაძე ტარას	10	6.3%
გუბანოვი ოლეგ	8	5.0%
სხვა აქციონერები	31	19.4%
სულ	160	100.0%

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი - გენერალური დირექტორი

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როცა იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. იგი იყო „ბაზის ბანკის“ ერთერთი დამფუძნებელი სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ბატონ ბოქოლიშვილს დაცული აქვს დისერტაცია სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. მას აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ბატონი დავით ურუშაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე

“ბატონი დავით ურუშაძე პროფესიით ფინანსისტი აქვს გამოცდილება რითეილში, წარმოებასა და საბანკო სფეროში. იგი სს „ნიკორას“ გენერალური დირექტორის მოადგილეა და კურიერებს ჯგუფში არსებული კომპანიების ინდუსტრიული განვითარების პროექტებს. მიმდინარე პოზიციას იკავებს 2024 წლის მაისიდან. 2021-2024 წლებში მუშაობდა IDS ბორჯომი საქართველოს მე-2 ქარხნის დირექტორის პოზიციაზე და მონაწილეობდა ახალი ქარხნის მშენებლობა-ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში. 2015-2021 წლებში იკავებდა სს "ნიკორა ტრეიდის" აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, მანამდე კი სამი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. „ნიკორაში“ დანიშვნამდე, იგი მუშაობდა „ბაზისბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხაზინის

დეპარტამენტის უფროსი იყო. ბატონ ურუშაძეს აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ბატონი ირაკლი გეჯაძე - ფინანსური დირექტორი

ბატონი ირაკლი გეჯაძე სს „ნიკორა“ 2018 წლიდან შემოუერთდა ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, ხოლო 2020 წლის ივლისიდან ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებს. 2011-2017 წლებში იყო საქართველოს რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე ფინანსებში. უფრო ადრინდელი სამუშაო გამოცდილება კი საინვესტიციო და საბანკო სფეროს უკავშირდება. ბატონი ირაკლი გეჯაძე ფლობს მაგისტრის ხარისხს ფინანსებში ბიზნესის სკოლა ESM-სგან.

ბატონი ვასილ სუხიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „ნიკორა“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. სს „ნიკორა“-ს დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილს მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ბატონი გურამ ცერცვაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი გურამ ცერცვაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 1998-2008 წლებში შპს „ნიკორა“-ს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2008 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. მისი წარსული გამოცდილება უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციას ("Care" 1993-1997) და კვების პროდუქტების იმპორტისა და დისტრიბუციის კომპანიას (შპს "აგრო ბიზნეს ჯორჯია" 1997-1998). ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს მექანიკურ ინჟინერიაში.

ბატონი ირაკლი ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი ნიკოლაიშვილი სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 2001-2005 წლებში იგი მუშაობდა „ნიკორა“-ს კომერციული დირექტორის თანამდებობაზე, 2005-2008 წლებში კი რძის პროდუქტების წარმოების მიმართულების დირექტორად. 2008-2016 წლებში, სს „ნიკორა“-ს მიერ რძის პროდუქტების კომპანიის შპს „ჩვენი ფერმერი“-ს დაფუძნების შემდეგ იკავებდა დირექტორის თანამდებობას. 2017 წლიდან სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თანამდებობაზე. დამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალობით ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია.

ბატონი გელა არობელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ბატონი გელა არობელიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 1997-2008 წლებში მარტინ ბაუერის ცენტრალური ოფისის დირექტორის პოზიციას იკავებდა. უფრო ადრინდელი გამოცდილება კი ოზურგეთის პურკომბინატის დირექტორის და აგრეთვე ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობას უკავშირდება. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი.

ბატონი დავით დუმბაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით დუმბაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 2003 წლიდან, ხოლო 2010 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია სხვადასხვა დარგში კომპანიების ხელმძღვანელობის და ინვესტიციების მართვის კუთხით. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მსოფლიო ეკონომიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ასპირანტურა.

ბატონი დავით ცირეკიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით ცირეკიძე სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2010 წლიდან. ფლობს ბაკალავრის ხარისხს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. 1989-2006 წლებში რუსთავის, თერჯოლის და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის პოზიციაზე მოღვაწეობდა.

ბატონი ოლეგ გუბანოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კომპანიები, სადაც ბატონი ოლეგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს რეფ ენ (ს.ნ. 400345195).

„ემიტენტის“ კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მომდევნო ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ინდიკატორები რომელიც ეფუძნება „აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს“ 2024 და 2023 წლებისათვის. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფას“-ის (IFRS) შესაბამისად. 2024 და 2023 წლებისათვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის **პირობითი**¹. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები იხილეთ „საოპერაციო და ფინანსურ მიმოხილვაში“.

2025 წლის 30 ივლისს, „კომპანიის“ შვილობილმა, სს „ნიკორა ტრეიდმა“ გამოუშვა 60 მილიონი ლარის მოცულობის არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციების. აშნიშნული ემისიის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“. აღნიშნული ემისიის პრო-ფორმა ეფექტი წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისა და ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების პრო-ფორმა 0 სცენარში. გარდა აღნიშნულისა და პროსპექტში აღწერილი ინფორმაციისა, 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:²

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება, ძირითადი მაჩვენებლები (ათასი ლარი)	2024 აუდიტირებული	2023 აუდიტირებული
ამონაგები	1,451,046	1,295,207
გაყიდვების თვითღირებულება	(1,031,193)	(915,309)
საერთო მოგება	419,853	379,898
საერთო მოგების მარჟა	28.9%	29.3%
სხვა შემოსავალი	1,484	1,084
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(306,407)	(251,172)
ადმინისტრაციული ხარჯები	(47,408)	(41,987)
ფინანსური ხარჯები	(29,419)	(25,747)
სხვა შემოსავლები	(1,989)	2,490
მოგება დაბეგვრამდე	36,114	64,566
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,591)	(2,134)
სხვა სრული შემოსავალი	7,001	10,767
წლის სრული შემოსავალი	40,524	73,199

მომგებიანობის მაჩვენებლები ³ (ათასი ლარი)	2024 არააუდიტირებული	2023 არააუდიტირებული
EBIT	68,320	89,429
EBIT მარჟა	4.7%	6.9%
EBITDA	134,730	145,264
EBITDA მარჟა	9.3%	11.2%

¹ პირობითი მოსაზრების მიზეზი აღწერილია საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვის თავში.
² სრული 2024 და 2023 წლებისთვის გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენილი ველების გაერთიანებას / ჯამს
³ EBIT და EBITDA კალკულაციის მეთოდოლოგია იხილეთ ქვეთავში „ზოგადი შენიშვნები“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათასი ლარი)	31.12.2024 აუდიტირებული	31.12.2023 აუდიტირებული
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
გუდვილი	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	303,113	237,723
აქტივების გამოყენების უფლება	160,974	146,552
არამატერიალური აქტივები	10,754	7,089
ბიოლოგიური აქტივები	1,208	1,361
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი	10,351	7,482
ავანსები და სხვა გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად	119	8,453
კონტროლირებად კომპანიებში		
სულ გრძელვადიანი აქტივები	530,137	452,278
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	211,979	167,197
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52,352	37,916
ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაზე გაცემული	-	325
სესხები		
ფული და ფულის ექვივალენტები	21,640	20,814
სულ მოკლევადიანი აქტივები	285,971	226,252
სულ აქტივები	816,108	678,530
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	22,702	21,620
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)
გადაფასების რეზერვი	36,858	34,545
დაგროვილი მოგება	154,108	132,960
არამაკონტროლებელი წილი	7,225	4,015
სულ საკუთარი კაპიტალი	226,947	199,194
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	136,414	78,285
საიჯარო ვალდებულებები	129,031	110,895
გადავადებული შემოსავალი	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	267,982	191,717
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	216,264	201,774
სესხები	70,645	53,040
საიჯარო ვალდებულებები	34,270	32,805
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	321,179	287,619
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	816,108	678,530

საჯალო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. ამის გათვალისწინებით, სს “ნიკორას” ისტორიულად საბრუნავი კაპიტალი (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) აქვს უარყოფითი:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინუს 35,208 ათასი ლარი;
- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მინუს 61,367 ათასი ლარი;

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საჯალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, ვინაიდან “ნიკორა” მომხმარებლებისგან მეტწილად მომენტალურად იღებს შემოსავლებს (საჯალო ქსელების ჭრილში), ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით - დაახლოებით 70-75 დღის დაგვიანებით (DPO).

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი დამახასიათებელია სექტორის თითქმის ყველა სხვა მსხვილი მოთამაშესთვისაც. მეტი დეტალისთვის 2023 წლისთვის “ნიკორას” და მისი კონკურენტების საბრუნავი კაპიტალი იხილეთ თავში „კონკურენტული პოზიცია“.

მიღებული სახსრების გამოყენება და შეთავაზების მიზეზების აღწერა

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) არსებული ობლიგაციების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის ii) კაპიტალური დანახარჯების გასაწევად, კერძოდ ლოგისტიკური ცენტრის ასაშენებლად.

დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2024 და 2023 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით. ფინანსური კოეფიციენტები დათვლილი და წარმოდგენილია პროსპექტის მიმართ არსებული მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არ წარმოადგენს აუდიტირებული ანგარიშგებების ნაწილს.

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

1	ფინანსური ლევარიჯისა და სესხის მომსახურების კოეფიციენტები	2024 (Pro-Forma 2)	2024 (Pro-Forma 1)	2024 (Pro-Forma 0)	2024	2023
	IFRS 16-ის შემდეგ					
1.1	ფინანსური ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა	2.27	2.01	1.90	1.63	1.38
1.2	ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან	3.83	3.38	3.19	2.75	1.89
1.3	წმინდა ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან	3.66	3.22	3.03	2.59	1.75
1.4	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	0.54	0.51	0.49	0.45	0.41
1.5	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	2.32	2.32	2.32	2.32	3.47
1.6	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based)	1.97	1.97	1.97	1.97	2.55
	IFRS 16-მდე*					
2.1	ფინანსური ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა	1.55	1.29	1.18	0.91	0.66
2.2	ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან	3.90	3.24	2.96	2.30	1.21
2.3	წმინდა ფინანსური ვალდებულებები EBITDA-სთან ⁴	3.66	3.00	2.72	2.06	1.01

4.ასევე წარმოადგენს „ობლიგაციების“ კოვენანტს.

2.4	მოლიანი ვალის კოეფიციენტი	0.44	0.39	0.37	0.32	0.25
2.5	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	3.32	3.32	3.32	3.32	5.35
2.6	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based) (IFRS 16 - მდე)	3.76	3.76	3.76	3.76	5.25
3	მომგებიანობის კოეფიციენტები	2024 (Pro-Forma 2)	2024 (Pro-Forma 1)	2024 (Pro-Forma 0)	2024	2023
3.1	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROAA)	4.9%	5.1%	5.1%	5.4%	12.0%
3.2	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROAE)	19.0%	19.0%	19.0%	19.0%	44.5%
3.3	ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი (ROCE)	13.3%	14.1%	14.1%	15.4%	25.3%
3.4	საერთო მოგების მარჟა	28.9%	28.9%	28.9%	28.9%	29.3%
3.5	EBITDA მარჟა	9.3%	9.3%	9.3%	9.3%	11.2%
3.6	EBIT მარჟა	4.7%	4.7%	4.7%	4.7%	6.9%
3.7	წმინდა მოგების მარჟა	2.8%	2.8%	2.8%	2.8%	5.7%
4	ლიკვიდურობის კოეფიციენტები	2024 (Pro-Forma 2)	2024 (Pro-Forma 1)	2024 (Pro-Forma 0)	2024	2023
4.1	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	0.23	0.23	0.23	0.23	0.20
4.2	მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	0.89	0.89	0.89	0.89	0.79
4.3	საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტები	0.21	0.21	0.21	0.21	0.44
4.4	საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	-30.05	-30.05	-30.05	-30.05	-31.06
4.5	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, FFO Based)	1.97	1.97	1.97	1.97	3.00
5	საოპერაციო კოეფიციენტები	2024 (Pro-Forma 2)	2024 (Pro-Forma 1)	2024 (Pro-Forma 0)	2024	2023
5.1	მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	67.1	67.1	67.1	67.1	59.0
5.2	დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	11.4	11.4	11.4	11.4	10.0
5.3	სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO)	74.0	74.0	74.0	74.0	73.4
5.4	ფულის ამოღების ციკლი (CCC)	4.5	4.5	4.5	4.5	-4.4

Pro-Forma სცენარები:

- **Pro Forma 0** - მოიცავს ემიტენტის შვილობილის, სს „ნიკორა ტრეიდის“ მიერ, 2025 წლის 30 ივლისს გამოშვებული, 60 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულებების ობლიგაციების (ISIN: GE 2700605142) ეფექტს, რომელთა მიზნობრიობა არის კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. შესაბამისად შესაბამისად, 2024 წლის ბოლო მდგომარეობით pro-forma 0 ეფექტი ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების 60 მილიონი მოცულობით ზრდას.
- **Pro-Forma 1** - ეფუძნება pro-forma 0-ს და დამატებით მოიცავს წინამდებარე „ობლიგაციების“ პროსპექტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში, ობლიგაციების პირველი ტრანშის, 60 მილიონი ლარის გამოშვებას, საიდანაც საიდანაც 35 მილიონი ლარი მოხმარდება 2025 წლის 28 ნოემბერს ვადამოსული ობლიგაციების (ISIN: GE 2700604210) დაფარვას, ხოლო დარჩენილი ნაწილი მოხმარდება კაპიტალურ დანახარჯებს. შესაბამისად, 2024 წლის ბოლო მდგომარეობით pro-forma ეფექტი ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების 25 მილიონი მოცულობით, დამატებით ზრდას.
- **Pro-Forma 2** - ეფუძნება pro-forma 1-ს და დამატებით მოიცავს წინამდებარე „ობლიგაციების“ პროსპექტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში, ობლიგაციების მეორე ტრანშის, 60 მილიონი ლარის გამოშვებას, რომელიც სრულად მოხმარდება კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას. შესაბამისად, 2024 წლის ბოლო მდგომარეობით pro-forma 2 ეფექტი ითვალისწინებს ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების 60 მილიონი მოცულობით, დამატებით ზრდას.

პრო-ფორმა კოეფიციენტების კალკულაციის მიზნებისთვის კორექტირებები განხორციელებულია მხოლოდ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე, ხოლო მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და სხვა რიცხვები

წარმოდგენილია უცვლელად. მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მონაცემები არ დაკორექტირებულა, ვინაიდან ემისიის ეფექტი აღნიშნულ მაჩვენებელთან მიმართებით არის სუბიექტური. ამასთან, ისეთი კოეფიციენტები, რომელთა ეფექტების ჩვენებაც არარელევანტურია ან სუბიექტურ დაშვებაზეა დამოკიდებული, არ არის კორექტირებული ემისიის ეფექტით.

თუკი ვერ მოხდება ობლიგაციების სრულად განთავსება, კომპანია არსებული ობლიგაციების გადაფარვას შემდეგს ბალანსზე არსებული ფულითა და ფულის ექვივალენტებით, პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული EBITDA-თი, არსებული აუთვისებელი დამტკიცებული სესხებიდან ან/და კომერციული ბანკებისგან სესხის აღებით.

ზოგადი შენიშვნები:

EBIT - მოგებას დაბეგვრამდე დამატებული ფინანსური ხარჯები, მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან (ნეტო), გამოკლებული ფინანსური შემოსავალი და ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი);

EBITDA - EBIT-ს დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი;

FFO - წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე, გამოკლებული მიღებული პროცენტები, დამატებული გადახდილი პროცენტები, დამატებული პრივილეგირებული დივიდენდები;

***IFRS 16 გავლენის გარეშე რიცხვები მიიღება შემდეგი კორექტირებების შესაბამისად:**

- **ფინანსური ვალდებულებები** - IFRS 16 გავლენის გარეშე ფინანსურ ვალდებულებებში არ გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულებები;
- **აქტივები** - IFRS 16 გავლენის გარეშე აქტივებში არ გაითვალისწინება აქტივების გამოყენების უფლება;
- **საპროცენტო ხარჯი** - IFRS 16 გავლენის გარეშე საპროცენტო ხარჯში არ გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი;
- **სესხის მომსახურება** - IFRS 16 გავლენის გარეშე სესხის მომსახურებაში არ გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულებების დაფარვა და საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი;
- **EBIT** - IFRS 16 გავლენის გარეშე EBIT-ში გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულებების გადახდები და არ გაითვალისწინება აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა;
- **EBITDA** - IFRS 16 გავლენის გარეშე EBIT-ს ემატება ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები, გარდა აქტივის გამოყენების უფლების ცვეთისა;
- **CADS** - IFRS 16 გავლენის გარეშე CADs-ში კორექტირდება გადახდილი იჯარებით, რომელიც ამცირებს საოპერაციო ფულად ნაკადებს.

შენიშვნა შერჩეულ კოეფიციენტებზე:

მომგებიანობის კოეფიციენტები -

2024 წელს, შეინიშნება გარკვეული მომგებიანობის კოეფიციენტების შემცირება, რაც გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანიისთვის 2023 წელი იყო ექსტრაორდინარულად კარგი წელი მომგებიანობის თვალსაზრისით: 2022 წელთან შედარებით 27.9%-ით გაზრდილი ამონაგები (გამოწვეული უმთავრესად მიგრანტების შემოდივნებით და მეორეს მხრივ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდით) და 22.0%-ით გაზრდილი საოპერაციო მოგება (EBIT). 2024-ში კომპანიამ მხოლოდ 12.0% ზრდა დააფიქსირა ამონაგებში, ხოლო

გაყიდვების და მიწოდების და ადმინისტრაციული ხარჯები ჯამურად 20.7%-ით გაიზარდა; განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვეყნის მასშტაბით საბიუჯეტო ორგანიზაციებში 2022-2023 წლები ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც აიძულა კომპანია, ისევე როგორც მთლიანად კერძო სექტორი, აღნიშნული ზრდა საკუთარ თანამშრომლებზე (>10,000 თანამშრომელი) აესახა მათი შენარჩუნების მიზნით. ერთ თანამშრომელზე გაწეული ხარჯის გარდა, აღსანიშნავია თანამშრომლების რაოდენობის ზრდაც, რომელიც 2023 წლის ბოლო მდგომარეობით 10,021-დან, 2024 წლის მდგომარეობით 10,595-მდე გაიზარდა.

ამონაგების შედარებით დაბალი ტემპით ზრდა ერთის მხრივ განპირობებული იყო ერთოს მხრივ FMCG სექტორის შემცირებული ზრდის ტემპით ვიდრე 2023-ში, ხოლო მეორეს მხრივ, საოპერაციო შეფერხებებით. კომპანიას 2024-ის IV კვარტალში ჰქონდა საოპერაციო შეფერხებები ახალ ERP სისტემაზე გადასვლის პროცესში, რამაც გამოიწვია კვარტალში დაგეგმილი შემოსავლების დაბალი შესრულება.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს გამძაფრებული კონკურენცია ორგანიზებულ სავაჭრო ქსელებს შორის, ვინაიდან მომხმარებლების მოსაზიდად და გაყიდვების გასაზრდელად, ბაზრის მოთამაშეებს დამატებითი ხარჯების გაწევა უწევთ (ფასდაკლებები, აქციები, სარეკლამო კამპანიები).

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე ROAE - კომპანიის უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე 2024 წლის განმავლობაში - 25.5 პპ-ით არის შემცირებული, რაც მომგებიანობის შემცირებასთან ერთად, კაპიტალის ზრდამაც განაპირობა.

„კომპანიის“ ფინანსურ შედეგებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

ფულის ამოღების ციკლი CCC – 2023 წლის განმავლობაში კომპანიის ფულის ამოღების ციკლი უარყოფითია, რადგან კომპანია, საცალო სავაჭრო ქსელების ჭრილში, მომხმარებელს კრედიტით არ ემუშავება, მისგან მომენტალურად იღებს შემოსავალს ხოლო თავად მომწოდებელს საშუალოდ 70-75 დღის დაგვიანებით უხდის თანხას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ “განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ”. 2024 წლის მდგომარეობით, ფულის ამოღების ციკლი გაიზარდა და 4.5 დღე შეადგინა. აღნიშნული მეტწილად გამოწვეულია მარაგების ზრდით, რომლის ზრდის დაკომპენსირება ვერ მოხდა გაზრდილი რეალიზაციით. რეალიზაციის შედარებით დაბალი ტემპით ზრდა თავისმხრივ გამოწვეული იყო ზემოთხსენებული ფაქტორებით.

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

1. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების განმარტება (IFRS 16-ის შემდეგ):

1.1 სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე;

1.2 სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი EBITDA-ზე;

1.3 წმინდა სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფულადი სახსრები - გაყოფილი EBITDA-ზე;

1.4 მთლიანი ვალის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან აქტივებზე;

1.5 პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR): პერიოდის EBIT / (სესხებისა და ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი + საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი + საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე);

1.6 სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based): პერიოდის EBITDA / (ამორტიზირებადი სესხების ძირის დაფარვა + იჯარის გადახდა + გადახდილი პროცენტი) (არ მოიცავს სესხების რეფინანსირებას);

2. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების განმარტება (IFRS 16-მდე):

2.1 სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების და ობლიგაციების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე;

2.2 სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციების ჯამი გაყოფილი კორექტირებულ EBITDA-ზე;

2.3 წმინდა სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციების ჯამს გამოკლებული ფულადი სახსრები გაყოფილი კორექტირებულ EBITDA-ზე;

2.4 მთლიანი ვალის კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული სესხების, ობლიგაციების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კორექტირებულ მთლიან აქტივებზე;

2.5 პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR): პერიოდის კორექტირებული EBIT / (სესხებისა და ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი + საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე);

2.6 სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based): პერიოდის კორექტირებული EBITDA / (ამორტიზირებადი სესხების ძირის დაფარვა + გადახდილი პროცენტი) (არ მოიცავს სესხების რეფინანსირებას);

3. მომგებიანობის კოეფიციენტების განმარტება:

3.1 უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო აქტივებზე;

3.2 უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე: პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო კაპიტალზე;

3.3 ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი: პერიოდის EBIT გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებული საშუალო ჯამური აქტივებისა და საშუალო მოკლევადიანი ვალდებულებების სხვაობაზე;

3.4 საერთო მოგების მარჟა (Gross მარჟა): საერთო მოგება გაყოფილი ამონაგებზე;

3.5 EBITDA მარჟა: EBITDA გაყოფილი ამონაგებზე;

3.6 EBITDA მარჟა: EBIT გაყოფილი ამონაგებზე;

3.7 წმინდა მოგების მარჟა: პერიოდის მთლიანი წმინდა მოგება გაყოფილი ამონაგებზე;

4. ლიკვიდურობის კოეფიციენტების განმარტება:

4.1 ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები: პერიოდის ბოლოს არსებული ფული და ბანკში არსებული ნაშთები (შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრების გამოკლებით), სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების ჯამი გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე;

4.2 მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები (შეზღუდული ფულის გამოკლებით) გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

4.3 საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი: პერიოდის წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებზე.

4.4 საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი: პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული შემოსავლები გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო საბრუნავ კაპიტალზე.

4.5 სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, FFO Based) - პერიოდის FFO / (გადახდილი პროცენტი + პრივილეგირებული დივიდენდები + პერიოდის საწყისი მოკლევადიანი სესხები);

5. საოპერაციო კოეფიციენტების განმარტება:

5.1 მარაგების ბრუნვის დღეები (DIO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სასაქონლო-მატერიალური მარაგები გაყოფილი გაყიდვების თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე;

5.2 დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები (DSO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გაყოფილი ამონაგებზე და გამრავლებული 365-ზე;

5.3 სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO): უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები გაყოფილი გაყიდვების თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე;

5.4 ფულის ამოღების ციკლი (CCC): მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი

კომპანიის საკრედიტო რეიტინგის დინამიკა წლების განმავლობაში მოცემულია ცხრილში:

რეიტინგის მინიჭების თარიღი	15-აგვ-2019	14-სექ-2020	2-სექ-2021	1-სექ-2022	1-სექ-2023	29-აგვ-2024	29-აგვ-2025
კომპანიის საკრედიტო რეიტინგი	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/Negative	BB-/Stable	BB-/Stable	BB-/ Stable	BB-/ Negative
არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ინსტრუმენტის რეიტინგი	BB-	BB-	BB-	BB-	BB-	BB-	BB-

სს „ნიკორას“ საკრედიტო რეიტინგის უკანასკნელი განახლება მოხდა 2025 წლის 29 აგვისტოს. სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-მა უცვლელად, BB- კატეგორიით განსაზღვრა კომპანიისა და არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ინსტრუმენტის საკრედიტო რეიტინგი, ხოლო კომპანიის საკრედიტო რეიტინგის სტაბილური პერსპექტივა შეიცვალა უარყოფითით. რეიტინგის უახლესი ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://scoperatings.com/ratings-and-research/rating/EN/179230>

სს „ნიკორასის“ რეიტინგის მინიჭება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- **ძლიერი კონკურენტული პოზიციონირება ბაზარზე** - კომპანია სარგებლობს ძლიერი პოზიციონირებით ადგილობრივ FMCG ბაზარზე, რაც გამყარებულია ბრენდის მაღალი ცნობადობით არა-დისკრეციულ ნაწარმში, როგორიცაა ხორცპროდუქტები და პურ-ფუნთუშეული. ვერტიკალური ინტეგრაცია მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულების ვოლატილურობას. თუმცა, საკრედიტო რეიტინგის სააგენტო აღნიშნავს, რომ ერთი ქვეყნის ბაზარზე კონცენტრირება შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს. სამომავლოდ, კონკურენტული პოზიციონირების გაუმჯობესების მიზნით, ნიკორა კვლავ გეგმავს ბრენდის პორტფოლიოს ზრდას, თავისი ქსელის გარე ბაზრებზე შეღწევის მხარდასაჭერად. თუმცა, ნიკორას საცალო სეგმენტის საოპერაციო მომგებიანობას წნეხის ქვეშ აყენებს შვიდი პირდაპირი კონკურენტის კონსოლიდაცია ერთი, ქვეყანაში უდიდესი, ქსელის ქვეშ.
- **ფინანსური რისკის პროფილი** - Scope-ს მოლოდინი აქვს რომ 2025 წელს ნიკორას შემოსავლები 11%-12%-ით გაიზრდება, რაც თანხვედრაშია კომპანიის საცალო სეგმენტთან. ზრდა განპირობებულია ახალი სავაჭრო ობიექტების გახსნითა, FMCG ბაზრის ზრდითა და მოთხოვნის ზრდით, რასაც მხარს უჭერს კომპანიის ახალი ინიციატივები, კერძოდ მაღალ-საშემოსავლო სეგმენტზე ასორტიმენტის ზრდა.
- **ლევერიჯი** - ლევერიჯი, გამოხატული Debt/EBITDA მაჩვენებლით, მოსალოდნელია, რომ დროებით გაიზრდება 3.5x ნიშნულამდე, რაც გამოწვეულია „ნიკორა ტრეიდის“ მიერ 60მლნ ლარის ობლიგაციების ემისიითა და EBITDA-ს მცირედით კლებით. თუმცა, Scope მოელის რომ 2026 წლისთვის, ლევერიჯი 3.0x ნიშნულამდე შემცირდება. დაფინანსების ფასის ზრდიდან გამომდინარე, პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი მოსალოდნელია რომ 2025 წლისთვის 4.0x ნიშნულამდე შემცირდება, ხოლო საოპერაციო მომგებიანობაზე წნეხისა და ნასესხები სახსრების ზრდიდან გამომდინარე, საოპერაციო ფულადი სახსრების შეფარდება ვალთან მოსალოდნელია რომ 25%-ზე შენარჩუნდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საკრედიტო სააგენტოს მოლოდინი აქვს, რომ კომპანია ფინანსურ დისციპლინას შეინარჩუნებს და თავიდან აირიდებს მაღალ ლევერიჯს.

სარეიტინგო კომპანია ასევე ასახელებს რეიტინგის შემზღუდავ ფაქტორებსაც:

- **ზომა და მასშტაბი:** მიუხედავად ადგილობრივ ბაზარზე დომინანტური პოზიციისა, „კომპანიის“ ზომა ევროპის მასშტაბებისთვის ჯერ კიდევ მცირეა. ეს უარყოფითად მოქმედებს „კომპანიის“ რისკის პროფილზე.
- **თავისუფალი ფულადი სახსრები:** დაბალი/უარყოფითი თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადები, რაც გამოწვეულია მაღალი კაპიტალური დანახარჯებით. ამის გათვალისწინებით, სარეიტინგო კომპანია მოელის უარყოფით თავისუფალ საოპერაციო ფულად ნაკადებს 2025 წლის განმავლობაში.
- **ლიკვიდობა:** ნიკორა უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიანი ვალდებულებების რეფინანსირებას და ნაკლებად იყენებს საკრედიტო ხაზებს, რაც განვითარებად ბაზრებზე ხშირად გამოყენებადი და დანახარჯების კუთხით ეფექტური პრაქტიკაა. აღნიშნული სტრატეგია ზრდის კომპანიის რეფინანსირების რისკს. Scope-ის პროგნოზის მიხედვით, 2025 წელს მოსალოდნელი უარყოფითი თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადები, არსებული ფულადი სახსრები და გამოუყენებელი საბანკო ხაზები ერთობლივად დაფარავს მხოლოდ 15%-ს იმ მოკლევადიანი ვალისა, რომელიც აღნიშნულ წელს ექვემდებარება დაფარვას. დამატებითი რეფინანსირების რისკის გათვალისწინებით, რომელიც 2025 წლის ნოემბერში 35 მილიონი ლარის ობლიგაციის ვადის ამოწურვას უკავშირდება, Scope ინარჩუნებს ემიტენტის ლიკვიდობის პროფილის შეფასებას როგორც არაადეკვატურს.

საკრედიტო რეიტინგის უარყოფითი პერსპექტივა -

უარყოფითი პერსპექტივა ასახავს როგორც Scope-ის შეფასებით გაზრდილ რისკებს მოსალოდნელი რეფინანსირებებთან დაკავშირებით, ასევე საკრედიტო მაჩვენებლების შენარჩუნებას. Scope-ს მოლოდინი აქვს, რომ ნიკორა კაპიტალური დანახარჯების პროგრამის ჭრილში შედეგობრივ პროექტებს დააპრიორიტეტებს, შეინარჩუნებს კონსერვატიულ ფინანსურ პოლიტიკას (ვალი/EBITDA: 2.5x–3.5x დიაპაზონში), და შეძლებს ოპერაციული მომგებიანობის აღდგენას მიუხედავად მზარდი კონკურენტისა.

„ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგს/პერსპექტივას Scope Ratings **გაუმჯობესებს** იმ შემთხვევებში, თუ:

- შემცირდება მომავალი რეფინანსირებების რისკი;

„ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგს/პერსპექტივას Scope Ratings **გააუმჯობესებს** იმ შემთხვევებში თუ:

- გაიზარდა რისკები რეფინანსირებებთან დაკავშირებით;
- Scope-ის მიერ კორექტირებული ვალი/EBITDA მაჩვენებელი სტაბილურად შენარჩუნდება 3.5x ნიშნულზე მაღლა;

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორც საქართველო:

- 1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;
- 1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველო;
- 1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;
- 1.4. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

- 2.1. რეგიონულმა დაძაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;
- 2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

- 3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;
- 3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესაძლო ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;
- 3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლო გაურკვევლობამ, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო გარემოზე.
- 3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;
- 3.5. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე
- 3.6. კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებას/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

- 4.1. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე;

4.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე;

ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

- 5.1 „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე;
- 5.2 „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე;
- 5.3 „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები;
- 5.4 „კომპანიას“ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა;
- 5.5 „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო;
- 5.6 „კომპანიას“ არ აქვს დაზღვევა იჯარით აღებულ კომერციულ ფართებზე და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე;
- 5.7 „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე;
- 5.8 საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“;
- 5.9 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“;
- 5.10 „კომპანიას“ აქვს არასაკმარისი ლიკვიდურობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე;
- 5.11 „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოემვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა;
- 5.12 შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე;
- 5.13 უმაღლესი ხელმძღვანელობისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე
- 5.14 2014-2024 წლების აუდიტის დასკვნა მოდიფიცირებულია, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები, რომელზეც აუდიტორმა პირობითი მოსაზრება გამოხატა, შესაძლოა ზუსტად არ ასახავდნენ ეკონომიკურ რეალობას. ასევე, ახალი ან არსებული ანგარიშგების სტანდარტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ასახოს „კომპანიის“ არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი შედეგები და „კომპანიის“ ფინანსების ეკონომიკური რეალობა;
- 5.15 „კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე;
- 5.16 „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე;
- 5.17 უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებისგან;
- 5.18 კომპანიას შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები.

5.19 შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოდინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას.

შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

6. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

- 6.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;
- 6.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;
- 6.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;
- 6.4. საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი;

7. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

- 7.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს;
- 7.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;
- 7.3. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;
- 7.4. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს;
- 7.5. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;
- 7.6. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;
- 7.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;
- 7.8. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განადღება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

8. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

- 8.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე;
- 8.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;
- 8.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;
- 8.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

“ემიტენტის” აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2023 და 2024 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს “ბეიკერ ტილი ჯორჯია“ (ს/ნ: 211325056), მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ბამბის რიგი, N 7/ზვიად გამსახურდიას სანაპირო, N6, ტელ.: +995 32 243 89 99, ვებ-გვერდი: bakertilly.ge
პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: scoperatings.com

„ემიტენტის“ კალკულაციის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206), მისამართი: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ელ. ფოსტა: gt@gt.ge, ვებგვერდი: www.gt.ge, ტელ.: (+995 32) 244 41 32; (+995 32) 240 11 11; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

„ემიტენტის“ განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206), მისამართი: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ელ. ფოსტა: gt@gt.ge, ვებგვერდი: www.gt.ge, ტელ.: (+995 32) 244 41 32; (+995 32) 240 11 11; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. სს „გალტ ენდ თაგარტი“ („განთავსების აგენტი“), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

ემიტენტი და განთავსების აგენტი (სს „გალტ & თაგარტი“), ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია „განთავსების აგენტთან“, კერძოდ, „განთავსების აგენტისა“ და სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მფლობელია ლონდონის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული კომპანია „Lion Finance Group PLC“. ამავდროულად, სს „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) ხელმძღვანელი ჯგუფის დონეზე ზედამხედველობას უწევს „განთავსების აგენტს“. ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, ხოლო მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „საქართველოს ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

რისკის ფაქტორები

ობლიგაციებში ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ ეს პროსპექტი. პროსპექტში მოწოდებული სხვა ინფორმაციის გარდა, პოტენციურმა ინვესტორებმა, ობლიგაციებში ინვესტირებამდე, საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე. თუ რომელიმე ეს რისკი მატერიალიზდება, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია ობლიგაციებთან დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს ობლიგაციებში ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც კომპანიამ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან არ იცის მათი არსებობის შესახებ და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა და გაურკვევლობამ შეიძლება ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა მოახდინოს. შესაბამისად, კომპანია არ აცხადებს, რომ ქვემოთ აღწერილი ობლიგაციების ფლობის რისკები ამომწურავია.

ინდუსტრიისა და ეკონომიკისათვის დამახასიათებელი რისკები

1. ეკონომიკური არასტაბილურობისა და ინვესტირების რისკი მაღალია ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც საქართველოა:

1.1. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე;

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა კავშირის წევრი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

ამჟამად საქართველო რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, მათ შორის, რუსეთთან კვლავ დამაბული ურთიერთობისა და შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საჭიროების ჩათვლით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ გაგრძელდება პოლიტიკური ან/და ეკონომიკური, ბიზნესისა და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი, რეფორმების გატარება ან რომ ეს მცდელობები წარმატებული იქნება; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს სამთავრობო ცვლილებით ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

ამასთანავე, 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 150-წევრიან პარლამენტში მიიღო 89 მანდატი, 61 მანდატი მოიპოვა ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ - „კოალიცია ცვლილებებისთვის: გვარამია, მელია, გირჩი, დროა“ (19 მანდატი), „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (16 მანდატი), „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ (14 მანდატი) და „გახარია საქართველოსთვის“ (12 მანდატი). ოპოზიციურმა სპექტრმა უარი თქვა არჩევნების შედეგების აღიარებასა და პარლამენტში შესვლაზე და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. ამასთან, აღნიშნული ოპოზიციური პარტიებიდან პირველმა სამმა სადეპუტატო მანდატების

გაუქმების მოთხოვნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართეს. ამ უკანასკნელმა მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია გაუუქმა სამივე პოლიტიკურ გაერთიანებას.

გარდა ამისა, ბოლო პერიოდში გლობალურად აქტიურად ხდება ფინანსური თუ სხვა სანქციების დაწესება ისეთი იურისდიქციების მიერ, რომელთა პოლიტიკა ამ მიმართულებით დიდ გავლენას ახდენს ფინანსურ ბაზრებზე. რეგიონში შექმნილი ვითარება სანქციების შემოღების რისკებს ზრდის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტზე, მის ბენეფიციარ მესაკუთრეზე ან ემიტენტის კონტრაპენტებზე გავრცელდება სანქციების რეჟიმი, გამომდინარე იქიდან, რომ სანქციების რეჟიმები მრავლისმომცველი და ფართოა, აღნიშნულმა შესაძლებელია ემიტენტის საქმიანობაზე მოახდინოს უარყოფითი გავლენა ან შესაძლებელია გაართულოს ან/და შეუძლებელი გახადოს ემიტენტის მიერ წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება (მათ შორის, ობლიგაციების ძირი თანხის ან/და მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (კუპონი) გადახდა) ან ობლიგაციების განკარგვა ნებისმიერი ფორმით სანქციით დადგენილი ვადის განმავლობაში.

ამჟამად, პოლიტიკური გაურკვევლობა კვლავ სახეზეა და ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატზე და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკური რეფორმების წარუმატებლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც ამასთანავე უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერირების შედეგებსა და განვითარების პერსპექტივაზე.

1.2. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა;

განვითარებად ბაზრებს ახასიათებთ უფრო დიდი არასტაბილურობა, შეზღუდული ლიკვიდურობა, ნაკლები მოცულობის საექსპორტო ბაზა და მათზე უფრო მეტად მოქმედებს ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოში, ვიდრე განვითარებულ ბაზრებზე. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით დაუცველები არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის, რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის და უფრო გვიანდელი გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის შემთხვევაში, ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და, საბოლოოდ, ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Negative Outlook) - თებერვალი, 2025;
- Moody's – Ba2 (Negative Outlook) - მარტი, 2025;
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - თებერვალი, 2025.

1.3. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ დოლართან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით;

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია. ზოგადად, საქართველოში ოფიციალურად ლარის კურსი ფორმირდება აშშ დოლარის მიმართ, ხოლო ლარი/ევროს კურსზე გავლენას ახდენს როგორც ლარის დოლარის, ასევე ევრო დოლარის კურსის ცვლილებები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მისმა საერთაშორისო რეზერვმა 4.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რომელიც წლიურად 2.3%-ით არის გაზრდილი. მიუხედავად ზრდისა, მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურ დონეზე დაბალია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით. შესაბამისად, მისი შევსება საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან რეზერვების დონეს აკვირდებიან ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები და ა.შ. და აფასებენ თუ რამდენად შესწევს უნარი ქვეყანას შეამსუბუქოს საგარეო შოკებიდან მომდინარე უარყოფითი გავლენები, მათ შორის ლარის გაცვლით კურსზე ერთჯერადი შეტევები.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამასთან, საგარეო კრიზისების პერიოდში ასევე ადგილი ჰქონდა ევროს დასუსტებას აშშ დოლარის მიმართ. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი - ამ პერიოდში ლარი უფრო მეტად გაუფასურდა, ვიდრე ევრო გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ლარის კურსის ევროსთან გაუფასურება, თუმცა უფრო ნაკლები ზომით; 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები - გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია, ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ წლის პირველ ნახევარში გაუფასურდა, შემდეგ გამყარდა და მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის კურსი ევროს მიმართ; 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში - რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. თუმცა, ამავდროულად, ევროც მნიშვნელოვნად გაუფასურდა აშშ დოლარის მიმართ და ადგილი არ ჰქონია ლარის დიდ გაუფასურებას ევროს მიმართ. ამავე წლის მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით. აღნიშნულ პერიოდში ევროს კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული დარჩა, რომელიც საბოლოოდ ლარი/ევროს კურსზე პოზიტიურად აისახა. 2023 წლის განმავლობაში ლარის კურსი ევროს მიმართ მცირედით გაუფასურდა, რაც ძირითადად იხსნება ევროს გამყარებით აშშ დოლარის მიმართ. ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2023 წლის განმავლობაში, რაზეც დადებითი გავლენა ჰქონდა კაპიტალის მაღალ შემოდინებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად 2.2%-ით 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წელს. რაც შეეხება 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები

განხორციელდა მაისი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გარკვეულობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარი გაყიდვა ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 482.6 მლნ აშშ დოლარი. ლარის გაცვლით კურსზე ზეწოლა გაუფასურების მიმართულებით გაგრძელდა 2025 წლის იანვარშიც, თუმცა თებერვლიდან გამყარება დაიწყო, რადგან სავალუტო შემოდინებები მაღალ დონეზე შენარჩუნდა და გაურკვევლობები თანდათანობით შენელდა. 2025 წლის მარტის ბოლოს ლარი აშშ დოლართან მიმართებით 2.77-ის ფარგლებში ივაჭრებოდა, რაც იანვრის ბოლოს არსებულ გაცვლით კურსთან შედარებით 3.8%-იანი გამყარებაა, ხოლო ევრო მიმართ ლარის გაცვლითი კურსი აღნიშნულ პერიოდში 0.4%-ით გაუფასურდა, რაც საერთაშორისო ბაზარზე ევროს აშშ დოლარის მიმართ გამყარებამ გამოიწვია.

ის ფაქტი, რომ ლარი ევროს კურსზე მხოლოდ ლარი დოლარის გაცვლითი კურსი არ მოქმედებს, ამ უკანასკნელის ცვლილებები ძალზედ მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2019 წელს 4.9%, 2020 წელს 5.2%, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9% და 2023 წელს 2.5% იყო. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მარტი-დეკემბრის პერიოდში ოთხჯერ გაზარდა, ჯამურად 250 საბაზისო პუნქტით 10.5%-მდე. 2022 წლის დასაწყისიდან, წინა წლის ბაზის გავლენისა და საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უძრავ ქონებაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი კიდევ 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე გაზარდა და აღნიშნულ ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში, მიუხედავად იმისა, რომ სებ-ი უმეტესწილად მოთხოვნის ფაქტორებიდან ინფლაციაზე მომდინარე ზეწოლის შემთხვევაში რეაგირებს. ხოლო შემდეგ, როცა საშინაო ფაქტორების კონტრიბუცია გაიზარდა ინფლაციაში, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში ინფლაციამ 0.4% შეადგინა. დაბალი ინფლაციური გარემო შენარჩუნდა 2024 წელსაც - წლიურმა საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა 2024 წელს. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2025 წლის დასაწყისიდან წლიური ინფლაციის ტემპი დაჩქარდა და 2025 წლის მარტში 3.5% შეადგინა, რაზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდამ. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. არის რისკი რომ ეს შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამ რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- 1) რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- 2) ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- 3) ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- 4) რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- 5) რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

1.4. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს;

კომპანიის შემოსავლები სრულად დამოკიდებულია საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: მშპ, ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით.

ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით ზრდა 3.7% იყო. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე

მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, მაღალი ეკონომიკური ზრდა 2023 და 2024 წლებშიც გაგრძელდა. 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა წლიურად 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2024 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.4% შეადგინა. ინფორმაციისათვის, საქართველოს ეკონომიკა 2019 წელს 5.4%-ით, 2018 წელს 6.1%-ით, 2017 წელს 5.2%-ით, ხოლო 2015 და 2016 წლებში 3.4%-ით იზრდებოდა.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე.

2. მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონთან დაკავშირებული რისკები:

2.1. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე;

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და პოლიტიკურმა დამაბულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში მასზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს კონფლიქტები აქვს აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან და რუსეთთან. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გამწვავდა. საქართველოს სამხედრო ძალები ბრძოლაში ჩაებნენ ადგილობრივ შეიარაღებულ ჯგუფებსა და რუსეთის არმიასთან, საქართველომ საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. აღნიშნულ რეგიონებთან დაკავშირებით დამაბულობა გრძელდება, რადგან რუსეთის არმიას კონტროლის ქვეშ აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი და აღიარებული აქვს აღნიშნული რეგიონების დამოუკიდებლობა. საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამ ნაბიჯებს დღეისათვის რაიმე ოფიციალური ან იურიდიული ცვლილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არ მოუტანია.

2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. ამასთან, აღნიშნული შოკის მიუხედავად, საქართველოს საგარეო ბალანსი 2019 წელს გაუმჯობესდა 2018 წელთან შედარებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, უარყოფითად მოქმედებდა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, თუმცა 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. აზერბაიჯანმა სომხეთი ღამით დიდ ქალაქებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და მიუთითა, რომ მან დაარღვია მოსკოვში 10 ოქტომბერს მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება. საბოლოოდ, 10 ნოემბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო კონფლიქტის მორიგი ესკალაცია 2022 წლის 12 სექტემბერს დაფიქსირდა. 14 სექტემბერს ევროპის საბჭოს შუამდგომლობით მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ. ამჟამად, სიტუაცია დასტაბილურებულია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საზღვრების დადგენაზე. ის, რომ სამომავლოდ ისევ დაიძაბოს სიტუაცია ამის ალბათობა ამ ეტაპზე შემცირებულია.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 2022 წლის თებერვალში შეიძლება ასევე მოახდინოს არსებითად უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მოუტანა უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი არამხოლოდ ომში ჩართულ ქვეყნებს, არამედ რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკასაც. ომის დაწყებიდანვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა რუსეთს არაერთი სანქცია დაუწესა, რომელთა მიზანიც რუსეთზე წნეხის გაზრდა იყო, რათა მას შეეჩერებინა საომარი მოქმედებები. მოსალოდნელია, რომ ამ ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის უარყოფითი ეფექტები რეგიონულ და გლობალურ ეკონომიკას ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალებს. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე არსებული გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლური ცენტრალური ბანკები 2023 წლის ბოლომდე ახორციელებდნენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რამაც გაართულა გლობალური ფინანსური მდგომარეობა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია, რაიმე დამატებითი სანქციები რუსეთზე, გაზრდილი გაურკვევლობის დონე, რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ნებისმიერი სამომავლო გაუარესება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობისა, შეიძლება გახდეს უარყოფითი ეფექტის მქონე საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე.,

2023 წლის ოქტომბერში ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის გაღვივება ახლო აღმოსავლეთში შესაძლოა ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდოს. ამას კი შესაძლოა მოჰყვეს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და მსოფლიო ეკონომიკების უმრავლესობა რეცესიაში გადავიდეს. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოა აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა გარემოებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების, მათ შორის, სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2.2. საქართველოს მეზობელი ბაზრების დესტრუქციას შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;

საქართველოს ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის რეგიონში არსებული ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი) ეკონომიკებთან. აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის და საქსტატის მიხედვით, მათმა წილმა საქართველოს მთლიან საქონლის ექსპორტში 2019 წელს შეადგინა 13.4% და 11.4%, შესაბამისად. პანდემიის შემდგომ პერიოდში აზერბაიჯანის წილი მცირედით, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს საქონლის მთლიან ექსპორტში და 2021 წელს, შესაბამისად, შეადგინა 12.5% და 6.0%. 2022 წელს აზერბაიჯანის წილი კვლავ შემცირდა, ხოლო სომხეთის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და შესაბამისად 12.0% და 10.5% შეადგინა. 2023 წელს ორივე ქვეყნის წილი გაიზარდა - აზერბაიჯანის წილმა მთლიანი ექსპორტის 14.2%, ხოლო სომხეთის წილმა 12.9% შეადგინა. 2024 წელს აზერბაიჯანზე და სომხეთზე მოდიოდა საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის 11.0% და 9.4%, შესაბამისად. 2025 წლის იანვარ-მარტი მონაცემებით საქართველოდან საქონლის ექსპორტმა აზერბაიჯანში მთლიანი ექსპორტის 10.0%, ხოლო სომხეთში 8.1% შეადგინა. რუსეთი არის ასევე ერთ-ერთი უდიდესი ბაზარი საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიანი საქონლის ექსპორტში 2019 წელს 13.1%-ს, 2020 წელს - 13.2%-ს, 2021 წელს - 14.4%-ს, 2022 წელს 11.5%-ს, 2023 წელს - 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%, ხოლო 2025 წლის იანვარ-მარტში 9.3%-ს შეადგენდა. თურქეთი წარმოადგენს უდიდეს საიმპორტო ბაზარს საქართველოსთვის და საქსტატის მიხედვით მისი წილი საქართველოს მთლიან საქონლის იმპორტში შეადგენდა 17.0%-ს 2019 წელს, 17.5%-ს 2020 წელს, 18.1%-ს 2021 წელს, 17.5%-ს 2022 წელს, 16.5%-ს 2023 წელს, 16.4%-ს 2024 წელს, ხოლო 13.9%-ს 2025 წლის იანვარ-მარტში. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია უკრაინაც, რომლის წილმაც 2021 წელს ექსპორტში - 7.2%, ხოლო იმპორტში - 4.5% შეადგინა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა უკრაინასთან მნიშვნელოვნად შემცირდა და საქართველოს ექსპორტმა უკრაინაში მთლიანი ექსპორტის 4.2% შეადგინა 2022 წელს, რომელიც 2023 წელს კიდევ შემცირდა 1.7%-მდე, ხოლო 2024 წელს 1.6% შეადგინა. შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები წარმოადგენს პოტენციურ დაბრკოლებებს შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის დამოკიდებულება რუსეთზე ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით საგრძნობლად გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ რუსი მიგრანტების ტალღამ განაპირობა. თუკი 2021 წელს რუსეთიდან მიღებული ტურისტული შემოსავლები და ფულადი გზავნილები მშპ-ის 3.0%-ს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს 11.8%-მდე გაიზარდა, 2023 წელს 8.0%-მდე, ხოლო 2024 წელს 4.1%-მდე შენედა, თუმცა მაინც მაღალია. ასეთი მაღალი დამოკიდებულება ერთ ქვეყანაზე რისკების მატარებელია, რადგან ზემოთ მოცემული ნაკადების შეწყვეტის შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზიანდება, რასაც, თავის მხრივ, ექნება უარყოფითი არსებითი გავლენა კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ნებისმიერმა შემდგომმა ეკონომიკურმა ჩავარდნამ ან კრიზისმა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, შესაძლოა ძლიერი ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

3. საკანონმდებლო და სასამართლო სისტემებთან დაკავშირებული რისკები:

3.1. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს;

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას (შემდგომში

„ასოცირების შეთანხმება“) და შექმნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის, პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

(I) **საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“:** 2021 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 1 იანვრიდან. განახლებულმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

(II) **ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა:** ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ხდება ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ამოქმედდა მთელი რიგი ცვლილებები ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ჩარჩოში, რომლებიც სწორედ ჰარმონიზაციის მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცდა წესი ინსაიდერული ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების აკრძალვის შესახებ, ასევე - დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ წლიური თუ ნახევარწლიური ანგარიშების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. მაგალითისთვის, შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებები დამსაქმებლებს ავალდებულებდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთი ან ორი თვის ხელფასის ოდენობით), ამყარებდა მუშაკთა უფლებებს მკაფიო მიზეზის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, და ქმნიდა გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული ან მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად, კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოსასვლელად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

3.2. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა;

უფრო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს. ეს პრობლემებს ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებისას, რადგან აღნიშნული კანონმდებლობა ბუნდოვანია ან განსხვავებულ ინტერპრეტაციას ექვემდებარება, რაც რისკს უქმნის კომპანიებს, რომ საგადასახო კანონმდებლობასთან შესაბამისობის მათი მცდელობა შესაძლოა ეჭვს ექვემდებარებოდეს დააყენონ საგადასახადო ორგანოებმა.

გარდა ამისა, აღნიშნული საგადასახადო კანონმდებლობა ცვლილებებს და დამატებებს განიცდის, რამაც უზვეულო სირთულეები შეიძლება შეუქმნას კომპანიას და მის საქმიანობას. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში. საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრები არსებობს სახელმწიფო სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის და მათ შიგნითაც, მათ შორის საგადასახადო ორგანოებშიც, რაც ქმნის გაურკვევლობას, არათანმიმდევრულობას და კოლიზიურ შემთხვევებს. ამასთან, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების მიღებას გადასახადის გადამხდელის მიერ წამოჭრილ საგადასახადო საკითხებზე. მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია, რომ კომპანია ამჟამად ასრულებს საგადასახადო კანონმდებლობას, შესაძლებელია, რომ სათანადო ორგანოებმა განსხვავებული პოზიცია დაიჭირონ მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს საგადასახადო კორექტირებები ან ჯარიმები. იმის რისკიც არსებობს, რომ რეგულარული საგადასახადო შემოწმებების შედეგად კომპანიას ჯარიმები და საურავები დაეკისროს.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის შეცვლის შედეგად. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი გადასახადების შემოღებას ან კომპანიის ან მისი მომხმარებლების მიმართ გამოყენებული გადასახადების განაკვეთის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე.

2016 წლის მაისიდან ამოქმედდა ცვლილებები კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებულ წესებში. დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ განაწილებული მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ფულადი ან არაფულადი დივიდენდი, განაწილებული მფლობელებს - კერძო პირებს ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებს - შორის - რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება არ მოქმედებს ფინანსური სექტორის კომპანიებზე და მათთვის ძველი მეთოდით ხდება მოგების დაბეგვრა (დასაბეგრი მოგების 20%-ის ოდენობით). საგადასახადო კოდექსის ყველა მნიშვნელოვანი ცვლილება ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.3. საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლო გაურკვევლობამ , შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს საინვესტიციო გარემოზე.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა და სასამართლო სისტემა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამოქმედდა ან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სხვა საბაზისო კანონმდებლობა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ექვემდებარების კანონმდებლობის ხარისხსა და აღსრულებადობასთან დაკავშირებით, ასევე - გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის საკმარისი კადრებისა და პროფესიონალების ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებთან, შედარებით, მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა სირთულეებმა და გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

3.4. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან;

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტიკპოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, მომხმარებლები და მომწოდებლები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

3.5. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ

რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

3.6. კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგების/რეპორტირების წარდგენის კუთხით;

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან თბილისის საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს ან თბილისის საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

4. მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

4.1. ახალმა რეგულაციებმა ამ და სხვა ინდუსტრიაში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე;

კომპანია ექვემდებარება კანონებს და რეგულაციებს, რომლებიც არეგულირებს პროდუქტების მიმოქცევას და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებას, დასაქმების სტანდარტებს, გარემოსდაცვით საკითხებს, გადასახადებს და სხვა საკითხებს. შესაძლებელია, რომ მომავალმა ცვლილებებმა მოქმედ რეგიონულ, ტერიტორიულ, ადგილობრივ კანონმდებლობასა და რეგულაციებში ან ცვლილებებმა მათ აღსრულებასა და ინტერპრეტირებაში გამოიწვიოს იმ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებები, რომლებიც კომპანიას ეხება. გარდა ამისა, ევროკავშირთან დაახლოების გეგმებთან დაკავშირებით საქართველოში მუდმივად ტარდება ახალი რეფორმები, რაც შესაძლოა ნეგატიური გავლენის მომტანი აღმოჩნდეს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებისთვის.

შეუძლებელია წინასწარმეტყველება, შეიცვლება თუ არა მომავალში ის მარეგულირებელი რეჟიმები, რომლებიც კომპანიაზე ვრცელდება და ასევე რთულია ამ ცვლილებების მონეტარული გავლენის შეფასება კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა ახალმა რეგულაციებმა რომლებიც არეგულირებს პროდუქტების მიმოქცევასთან, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასა, თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ინვესტიციებზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „მარეგულირებელი გარემო“.

2022 წელს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები:

- (i) ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები

მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვრა კონკურენციის სააგენტო, რომელმაც 2022 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო კანონის აღსრულების კონტროლი.

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნეს-სუბიექტებს ჯერ გააფრთხილებენ, შემდეგი ნაბიჯი კი ჯარიმაა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის წინა ფინანსური წლის ბრუნვის 2%-ს. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.

4.2. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

5.1 „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ისეთი სწრაფად ბრუნვადი პროდუქტებისგან, რომელთაზეც „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა დაკავშირებული. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზრდილი ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისთავად, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

5.2 „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე

2024 წლის მდგომარეობით, „ნიკორა“ 16.4%-იანი ბაზრის წილით ბრენდულ ქსელებში, ორგანიზებული FMCG ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზებულ FMCG ბაზარზე მძაფრი კონკურენცია შეინიშნება, რაც საკმაოდ მოკლე დროში, 2024 წელს კომპანიების კონსოლიდირებითა და ბაზრის წილების მნიშვნელოვანი რყევებით დასტურდება. 2024 წელს სპარი, მაგნიტი, დეილი და გვირილა გაერთიანდნენ დეილი ჯგუფის ჰოლდინგის ქვეშ და გახდნენ საქართველოს ბაზრის ლიდერები 27.6%-იანი წილით. ამავე წელს, ბაზარზე 17.0% ბაზრის წილით, მეორე ადგილი დაიკავა ქსელმა „ორი ნაბიჯი“. ისტორიულად მოწინავე პოზიციის მიუხედავად, 2024 წელს „ნიკორამ“, გამაფრებული კონკურენციისა და დეილი ჯგუფის კონსოლიდაციის ფონზე, 16.4% ბაზრის წილით მესამე ადგილი დაიკავა.

ამასთან, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით, არსებული მოთამაშეების გასვლითა და მოთამაშეების კონსოლიდაციით/გაერთიანებით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 27 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლად გამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“.

5.3 „კომპანია“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები

„კომპანია“ სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, წარმოდგენილი შვილობილი „ნიკორა ტრედიტ“, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 579 მაღაზიას. ხოლო 2024 წლის ბოლოს წარმოდგენილი იყო 634 მაღაზიით.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშექმნილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა.

5.4 „კომპანიას“ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა „კომპანიას“ მომწოდებელთან ურთიერთობის გაუარესების ან მომწოდებლის ბაზრიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა ისეთი სირთულეები შეუქმნას, როგორებიცაა წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რეალიზაციების შემცირება, მომხმარებელთა დაკარგვა, დამატებითი ლიკვიდური სახსრების მიმართვა საბრუნავ კაპიტალში და სხვა. აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ აქვს მომწოდებლების ფართო და მრავალფეროვანი ბაზა, რომელიც მოიცავს დისტრიბუტორებს, იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს. დივერსიფიცირებული მომწოდებლების ბაზა საშუალებას აძლევს „კომპანიას“ უზრუნველყოს სტაბილური მომარაგება და მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოთ ხსენებული რისკები, დაკავშირებული ერთ ან რამდენიმე მომწოდებელთან შესაძლო შეფერხებებთან. მიმდინარე მდგომარეობით უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 8%-ზე. გარდა ამისა, თითოეული პროდუქტისთვის მიწოდებას რამდენიმე კონკურენტი კომპანია ახორციელებს, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანიას ჰყავს მომწოდებლები როგორც რუსეთიდან, რომელთა წილი 2024 წლის იმპორტებში 19%-ია. კომპანიის შეფასებით, დამოკიდებულება კრიტიკული არა არის ვინაიდან კომპანიას ჰყავს ალტერნატიული მომწოდებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, და აქვს გამოცდილება გაუმკლავდეს აღნიშნულ რისკ ფაქტორს - კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის საწყის პერიოდში მყისიერად იქნა ჩანაცვლებული შესაბამისი მომწოდებლები და კომპანიის ოპერაციებს, არსებითი შეფერხება არ შეჰქმნია. თუმცა, აღნიშნული ბუფერების მიუხედავად, მსხვილი მომწოდებელი ქვეყნის ჩანაცვლების საჭიროებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი ხარჯები და მარაგების შევსების პრობლემები, რაც უარყოფით აისახება კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

იმპორტის ქვეყნებზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კომპანიის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები“

5.5 „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო

იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ დაიცავს პროდუქციის შენახვის ნორმებს, შესაძლოა იგი დადგეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე. ამასთან ერთად, თუ „კომპანია“ სწორად ვერ მართავს პროცესებს და მოხდება ვადაგასული პროდუქციის რეალიზაცია, შესაძლოა მიაღწეს რეპუტაციული და სამართლებრივი ზიანი, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მის საოპერაციო შედეგებზე. ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება საოპერაციო განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. გარდა ამისა, მაღაზიებში პროდუქციის განლაგება და რეალიზაცია ხდება „FIFO“ მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებასა და გაყიდვას. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უზრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

5.6 „კომპანიას“ არ აქვს დაზღვევა იჯარით აღებულ კომერციულ ფართებზე და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე

„კომპანიის“ მაღაზიები ძირითადად განთავსებულია იჯარით აღებულ ფართებში. შესაბამისად, არც თვითონ უძრავი ქონება, სადაც მაღაზიებია განთავსებული და არც მათში განთავსებული მარაგები თუ მანქანა-დანადგარები არ არის დაზღვეული. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დადგება სადაზღვევო რისკი ობიექტების მნიშვნელოვან

რაოდენობაში ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებსა და ზოგადად, მის საქმიანობაზე.

„კომპანიას“ მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი მეტწილად დივერსიფიცირებულია, ვინაიდან მაღაზიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ერთი კონკრეტული ლოკაციის დაზიანებამ (თუნდაც სრულმა) არ შეიძლება მოიტანოს იმხელა ზიანი, რაც ფინანსურად მომგებიანს გახდიდა შესაბამისი ობიექტების დაზღვევას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქსელში არსებული მაღაზიების 73% 200 კვ.მ-ზე ნაკლები ფართობისაა.

აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ დაზღვეული აქვს კუთვნილი უძრავი ქონება და მასში არსებული პროდუქცია.

5.7 „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე

„კომპანიას“ აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ჯგუფში შემავალ სადისტრიბუციო განყოფილებას, რომელიც ამარაგებს „ემიტენტს“. დისტრიბუციის არხებში შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება, მომხმარებლის დაკარგვა და სხვა უარყოფითი გავლენები „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

5.8 საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“

ამჟამად საცალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში დაყოფილია ორგანიზებულ და არაორგანიზებულ სეგმენტებად. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ორგანიზებულ სეგმენტში წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და ბაზარზე შედეგად გამოჩნდეს დამატებით ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება.

2024 წლის ივლისში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ თანხმობა განაცხადა შპს „დეილის“ (ს/ნ: 406088638) მიერ შპს „ფუდმარტის“ (ს/ნ: 404460187) 100%-იანი წილის შესყიდვაზე რომლის შედეგადაც გაერთიანდება სპარის (მათ შორის იოლი), დეილის და გვირილას ქსელები. არაორგანიზებული სეგმენტი დანაწევრებულია ინდივიდუალურ მოთამაშეებად და მათ კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული სეგმენტის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება ორგანიზებული ბაზრის წილობრივი ზრდით, ხოლო არაორგანიზებული ბაზრის წილის შემცირებით - 2019 წელს ორგანიზებული ბაზრის წილი FMCG ბაზარზე 30%-ს, ხოლო 2023 წელს 36%-ს წარმოადგენდა. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის აღწერა“ – „FMCG ბაზრის ჩამლა ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ნაწილებად“.

5.9 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან განხორციელებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული, კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“.

გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკუროსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა მალევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია.

„კომპანიის“ საიჯარო კონტრაქტების 70%-მდე აშშ დოლარშია დენომინირებული. უცხოური ვალუტის იჯარები ფიქსირებული განაკვეთისაა, ხოლო ლარის იჯარები უმეტესად კონკრეტული მაღაზიის ბრუნვაზეა დაკავშირებული. იჯარების უმეტესობის საშუალო ხანგრძლივობა 2-12 წელს შეადგენს. „კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანიის“ სავალუტო პოზიციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „სარეგისტრაციო დოკუმენტი - ფინანსური რისკის მართვა - სავალუტო რისკი“.

5.10 „კომპანიას“ აქვს არასაკმარისი ლიკვიდურობა, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ გადახდისუნარიანობაზე

სარეიტინგო სააგენტოს შეფასების თანახმად კომპანიის ლიკვიდურობა არასაკმარისია. სარეიტინგო სააგენტოს პროგნოზში „კომპანიის“ თავისუფალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითი იქნება მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული განპირობებულია „კომპანიის“ მასშტაბური CAPEX გეგმიდან, რის დაფინანსებასაც „კომპანია“ თავისი და მისი შვილობილის, „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების გამოშვებით აპირებს.

აღსანიშნავია, „ჯგუფის“ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მოკლევადიან ვალდებულებებზე. კომპანიას აქვს უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი, ვინაიდან საცალო ვაჭრობის სეგმენტში, კომპანია მომხმარებლებისგან მომენტალურად იღებს შემოსავლებს, ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საცალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლებთან კონსიგნაციის დღეები შემცირდება, „კომპანია“ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მდგომარეობით, ფულის ამოღების ციკლი გაიზარდა და შეადგინა 4.5 დღე (2023: -4.4), რაც მიუთითებს შენელებულ ფულის ამოღებაზე, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გაზარდოს კომპანიის ლიკვიდურობის რისკი. ფულის ამოღების ციკლის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“.

აღნიშნულმა ლიკვიდურობის რისკმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

5.11 „კომპანიის“ შესაძლებელია წარმოშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურისა და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. ზემოთ აღწერილმა ფაქტორებმა, შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ფულადი ნაკადების შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს კომპანიის შესაძლებლობას მოემსახუროს ვალდებულებებს და გაზარდოს ლევერიჯს (გამოხატული Debt/EBITDA კოეფიციენტებით, რომელიც ფიგურირებს საბანკო კოვენანტებში). აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

5.12 შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შეწყვეტა, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება, რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შეწყვეტამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

5.13 უმაღლესი ხელმძღვანელობისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორებიცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ მენეჯმენტის ბევრ წევრს აქვს დიდი გამოცდილება საცალო ვაჭრობის და საკვების წარმოების სფეროებში. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ FMCG სექტორის მზარდი კონკურენციის პირობებში, ახალ და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ტოპ მენეჯმენტის წევრებისა და ძირითადი პერსონალის დროულად მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს სახელფასო ხარჯების ზრდა, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. „კომპანია“ იცავს რა კორპორატიული მართვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, 2023 წელს პირველად წარადგინა კორპორაციული მართვის ანგარიში. იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო დონეზე დაწესდება დამატებითი მოთხოვნები შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში, აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა გაზარდოს „კომპანიის“ სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

5.14 2014-2024 წლების აუდიტის დასკვნა მოდიფიცირებულია, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები, რომელზეც აუდიტორმა პირობითი მოსაზრება გამოხატა, შესაძლოა ზუსტად არ ასახავდნენ ეკონომიკურ რეალობას. ასევე, ახალი ან არსებული ანგარიშგების სტანდარტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ასახოს „კომპანიის“ არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი შედეგები და „კომპანიის“ ფინანსების ეკონომიკური რეალობა

აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო 2015 წელს შპს „ნუგემის“ 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულება. შპს „ნუგემის“ შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

აუდიტორის მოდიფიცირებული დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება ზუსტად არ ასახავდეს მის ეკონომიკურ რეალობას და რომ ანგარიშგებაში ნაჩვენები რიცხვები რომლებზეც აუდიტორმა მოდიფიცირებული დასკვნა გამოხატა მატერიალურად განსხვავდებოდნენ რეალური მონაცემებისგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ დროულად მოახდენს ჯგუფის საანგარიშგებო პოლიტიკაში შესაბამისი ახალი თუ უკვე არსებული სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ასახვას.

5.15 „კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე

ადგილობრივ, ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით, შესაბამისად, კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ჯანმრთელობისთვის უვნებლობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

სს ნიკორა ტრეიდს დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის, ხარისხის და გარემოდსაცვითი მენეჯმენტის სისტემები და მიღებული აქვს შესაბამისი ISO სერთიფიკატი: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე; ISO 14001:2015 ვადიანობით 2026 წლის 14 ნოემბრამდე. ემიტენტის ჯგუფში შეავალი კომპანიები შპს ნიკორა, შპს ჩვენი ფერმერი, შპს ოკეანე, შპს მზარეული 1, შპს კორიდა ფლობენ, ISO სერთიფიკატს: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეელახოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე“

5.16 „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.

„კომპანიის“ ან მისი შვილობილი „ნიკორა ტრეიდს“ საკრედიტო რეიტინგის გაუარესებამ, შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ დაფინანსების მოპოვების ღირებულება, ან შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს დაფინანსება, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ კაპიტალური დანახარჯების გეგმებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია „კომპანიის“ მიერ სესხების სახსრების ღირებულების განსაზღვრაში. ამ დოკუმენტის მომზადების დღისთვის, ემიტენტს Scope-ის მიერ მინიჭებული აქვს ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგი BB- უარყოფითი პერსპექტივა.

უახლეს, 2025 წლის 29 აგვისტოს საკრედიტო რეიტინგის ანგარიშში (Scope Ratings) აღნიშნულია, რომ კომპანიის სამომავლო რეიტინგის და პერსპექტივის (Outlook) შესაძლო გაუარესების სცენარისთვის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იქნებოდა სარეიტინგო სააგენტოს მიერ კორექტირებული ვალი/EBITDA მაჩვენებლის სტაბილურად/მდგრადად დაფიქსირება 3.5x ნიშნულზე მაღლა; Pro-Forma 3 სცენარში წარდგენილი ვალი/EBITDA კოეფიციენტები აჭარბებს ხსენებულ ნიშნულს, რაც ბაზებს რისკს, რომ „ობლგაციებით“ მოზიდულმა ვალდებულებებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეიტინგის გაუარესება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ Pro-Forma მაჩვენებლები დათვლილია 2024 წლის რიცხვებით და წარმოდგენილია მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის. სარეიტინგო სააგენტო კოეფიციენტების კალკულაციისთვის იყენებს ისტორიულ და სამომავლო დაპროგნოზებულ მაჩვენებლებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიის მენეჯმენტი გრძელვადიან პერსპექტივაში არ მოიაზრებს აღნიშნული კოეფიციენტის 3.5x ნიშნულზე ზემოთ შენარჩუნებას და მენეჯმენტი გადააფასებს დამატებითი სასესხო

ვალდებულებების ათვისების საჭიროებას, თუ ეს უკანასკნელი რისკს შეუქმნის კოვენანტების შესრულებას თუ რეიტინგის შენარჩუნებას. ასევე აღსანიშნავია, რომ „კომპანია“ 2019 წელს რეიტინგის პირველი მინიჭებიდან წარმატებით ინარჩუნებს BB- რეიტინგს.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავები „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“ და „კომპანიის საკრედიტო რეიტინგი“

5.17 უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებისგან

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის სს „სავის“ მიერ მომზადებული უძრავი ქონების შეფასების ანგარიში. უძრავი ქონების საშემფასებლო საქმიანობა არ არის რეგულირებადი საქართველოში, არ მოითხოვს სახელმწიფო ლიცენზირებას და არ ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას.

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს. შეფასების პროცესში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებისგან.

5.18 კომპანიას შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ აამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

5.19 შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ საწარმოს, რომლის შვილობილები კონცენტრირდებიან ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. შესაბამისად, შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. უშუალოდ სს „ნიკორა“ ასევე ფლობს უძრავ ქონებას, მიწისა და შენობების სახით, რომლებსაც აქირავებს შვილობილ კომპანიებზე და შედეგად საიჯარო შემოსავალი ასევე წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ ერთ ძირითად წყაროს. კომპანია ასევე აგენერირებს საპროცენტო შემოსავალს, შემოსავალს შვილობილების მომსახურებიდან და შემოსავალს როიალტიდან. ჯგუფის სტრუქტურიდან გამომდინარე, შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას.

შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი რისკები

6. ობლიგაციების საბაზრო ფასთან, ლიკვიდურობასთან და სარგებელთან დაკავშირებული რისკები:

6.1. ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება ცვალებადი იყოს;

ობლიგაციების საბაზრო ფასი შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს ისეთი მიმდინარე ან მოსალოდნელი ცვლილებების საპასუხოდ, როგორებიცაა: კომპანიის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; კომპანიის კონკურენტების საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილებები; ბიზნესის არასახარბიელო განვითარება; კომპანიის მარეგულირებელი გარემოს ცვლილება; ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსის ფინანსური შეფასების ცვლილება; ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა ან მოსალოდნელი გაყიდვა; ასევე ბევრი სხვა ფაქტორი, რომელიც კომპანიაზე ახდენს გავლენას, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური და საბაზრო პირობები. გარდა ამისა, ბოლო წლებში გლობალური ფინანსური ბაზრების ფასმა და მოცულობამ მნიშვნელოვანი რყევები განიცადა. თუ ასეთი რამ მომავალშიც განმეორდა, ეს, კომპანიის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის და ოპერაციის შედეგების მიუხედავად, უარყოფითად იმოქმედებს ობლიგაციების საბაზრო ფასზე. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ საქართველოში თუ სხვაგან განვითარებული მოვლენები არ გამოიწვევს ბაზარზე რყევებს ან ეს რყევები უარყოფით გავლენას არ მოახდენს ლიკვიდურობასა თუ ობლიგაციების ფასზე ან/და ეკონომიკური და საბაზრო პირობები რაიმე სხვა სახის უარყოფით გავლენას არ მოახდენს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად გაიყიდოს იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობების, კომპანიის ფინანსური პირობების ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს.

6.2. ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი;

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

6.3. ინვესტორებმა, რომელთა ფინანსური საქმიანობა დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში, ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ ნაკლები პროცენტი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან, გაცვლის კურსებში რყევების ან სავალუტო ოპერაციების რეგულირების შედეგად;

კომპანია ობლიგაციებზე საპროცენტო სარგებელსა და ძირითად თანხას გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ან/და შემოსავალი ძირითადად დენომინირებულია ობლიგაციების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში ან ფულად ერთეულში

(„ინვესტორის ვალუტა“). ეს მოიცავს იმის რისკსაც, რომ ვალუტის კონვერტაციის კურსები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (იგულისხმება ის ცვლილებებიც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ლარის დევალვაციამ ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციამ) და ასევე იმის რისკს, რომ ხელისუფლებამ, რომლის იურისდიქციაშიც არის კომპანიის ან ინვესტორის ვალუტა, შეიძლება დააწესოს ან შეცვალოს სავალუტო ოპერაციების რეგულირება. ინვესტორის ვალუტის გამყარება ევროსთან მიმართებით შეამცირებს (i) ობლიგაციებზე ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ შემოსავალს, (ii) ობლიგაციებზე გადასახდელი ძირითადი თანხის ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურ ოდენობას და (iii) ინვესტორის ვალუტის ეკვივალენტურად ობლიგაციების საბაზრო ღირებულებას.

ხელისუფლებამ და ფისკალურმა/ფულად-საკრედიტო სისტემაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა შეიძლება დააწესონ (მსგავსი გამოცდილება არსებობს სხვა ქვეყნებშიც) სავალუტო ოპერაციების იმგვარი რეგულირება, რომელიც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს შესაბამის გაცვლით კურსზე. შედეგად, ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ან ძირითადი თანხა, ვიდრე ელიან.

6.4. საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი;

„ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და ცვლადია. როგორც ობლიგაციების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებული იქნება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს იმის რისკს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ ღირებულებასა და გადაყიდვის ფასზე.

გარდა ზემოთხსენებულისა, „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შემცირდეს სარეიტინგო სააგენტოს მიერ „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების გამო (კუპონის რეიტინგის მიხედვით ცვლილების ცხრილი მოცემულია ობლიგაციების დათქმების 1.6.1 (3) პუნქტში). ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის შემცირებით, ინვესტორებმა ობლიგაციებზე შესაძლოა მიიღონ იმაზე ნაკლები საპროცენტო სარგებელი ვიდრე ელიან.

7. ობლიგაციების უფლებებთან დაკავშირებული რისკები:

7.1. „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს;

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირითადი და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

7.2. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი;

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანია“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

7.3. ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს;

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონმდებლობით, უზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ მათ, ანუ უზრუნველყოფილი კრედიტორების, სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. ემიტენტის არსებული სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნათა კატეგორიას. აღნიშნული კანონის მიხედვით, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში გადახდისუუნარობის მასა შემდეგი თანამიმდევრობით განაწილდება: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ ემიტენტის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები - გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის - არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით); დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ კატეგორიას მიეკუთვნება „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები.

კომპანიის უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მის ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივები საბალანსო ღირებულებით 511,822 ათასი ლარი (ჯამური აქტივების 63%) წარმოადგენდა კომპანიის მიერ, კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ზღუდავს კომპანიის მიერ აქტივების უზრუნველყოფაში ჩადებას, გარდა „ნებარდართული უზრუნველყოფისა“. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ობლიგაციების გამოშვების პირობები - „2.6. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა, პუნქტი (ბ) - უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა“

7.4. ობლიგაციების გასხვისება ექვემდებარება გარკვეულ ტერიტორიულ/სხვა ქვეყნის ინვესტორებზე დაწესებულ შეზღუდვებს;

ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პროსპექტის გავრცელება და ობლიგაციების შეთავაზება ზოგიერთ იურისდიქციაში ან ამ იურისდიქციის რეზიდენტი პირებისთვის ობლიგაციების მიყიდვა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით იყოს აკრძალული ან შეზღუდული. შესაბამისად, დაუშვებელია წინამდებარე პროსპექტის გამოყენება ამგვარ იურისდიქციებში ან ამგვარი პირებისათვის ობლიგაციების შესთავაზებლად. პირები, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება წინამდებარე პროსპექტი და პოტენციური ინვესტორები ვალდებული არიან, თავად მოიპოვონ ინფორმაცია ამგვარი აკრძალვების შესახებ და უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და გასხვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნებს შესაბამის იურისდიქციაში.

ობლიგაციები არ ყოფილა და არ იქნება რეგისტრირებული აშშ-ის 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის (US Securities Act of 1933) (შემდგომში „აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონი“) ან აშშ-ს რომელიმე შტატის კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, პოტენციურ ინვესტორებს არ შეეძლება ობლიგაციების შეთავაზება ან რეალიზაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც თავისუფლდება აშშ-ის ფასიანი ქაღალდების კანონის ან რომელიმე შტატის ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგისტრაციის მოთხოვნებისგან ან/და იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ ექვემდებარება ამგვარ მოთხოვნებს. პოტენციური ინვესტორების ვალდებულებათა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ობლიგაციების შეთავაზება და რეალიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ სხვა ქვეყნებში აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

7.5. საკრედიტო ხელშეკრულებითა და „ობლიგაციების“ პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;

„კომპანია“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

7.6. „ობლიგაციების“ არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები;

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირითადი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ.

ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ სექციაში: „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

7.7. მომავალში ობლიგაციების პირობები შეიძლება შეიცვალოს ან უარი ითქვას ობლიგაციების პირობების დარღვევიდან გამომდინარე უფლებებზე;

ობლიგაციების პირობები მოიცავს ობლიგაციონერების კრების მოწვევის წესებს, რათა განხილული იქნეს ის საკითხები, რომლებიც ზოგადად გავლენას ახდენს ობლიგაციონერების ინტერესებზე. აღნიშნული პირობები უშვებს განსაზღვრული უმრავლესობის მიერ დანარჩენი ობლიგაციონერებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას, იმ ობლიგაციონერების ჩათვლით, რომლებიც არ ესწრებოდნენ კრებას და რომლებმაც ხმა მისცეს უმრავლესობის წინააღმდეგ. (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ქვეპუნქტი 11. „ობლიგაციონერების კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა“)

7.8. შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (ან ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ განთავსებიდან ერთი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს. „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოსყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 101%-ს 1 წლის შემდეგ, 100.5%-ს 2 წლის შემდეგ, 100.25%-ს 3 წლის შემდეგ, 100%-ს 4 წლის შემდეგ, რასაც ემატება ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ობლიგაციების განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე, ობლიგაციონერებისთვის ჩნდება იმაზე ნაკლები შემოსავლის/მოგების მიღების რისკი, ვიდრე მოელოდა. ამავ დროს, შეიძლება შეზღუდული იყოს გამოთავისუფლებული სახსრების სხვა მსგავსი ტიპის ფინანსურ ინსტრუმენტებში რეინვესტირების შესაძლებლობა.

დეტალური ინფორმაცია ობლიგაციების ვადამდე დაფარვის ან გამოსყიდვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“-ქვეთავი 2.1.3. „გამოსყიდვა“.

8. ობლიგაციების და მათი ფლობის საკანონმდებლო/მარეგულირებელ ჩარჩოსთან დაკავშირებული რისკები:

8.1. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციებზე, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და ობლიგაციების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე;

ობლიგაციების გამოშვების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ

ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

8.2. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის კალკულაციის აგენტისა და, შესაბამის შემთხვევებში, ობლიგაციების ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს;

„კომპანია“ „ობლიგაციონერთათვის“ შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „დეპოზიტარის“ მეშვეობით, „კალკულაციის აგენტის“ მიერ განხორციელებული კალკულაციების/გამოთვლის საფუძველზე დადგენილი ოდენობების შესაბამისად. „ობლიგაციონერი“ ვალდებულია დაეყრდნოს „დეპოზიტარის“, „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

8.3. ობლიგაციებში კაპიტალდაბანდება გულისხმობს ინვესტიციის კანონიერებასთან დაკავშირებული მოსაზრებების გათვალისწინებას;

ცალკეული ინვესტორების საინვესტიციო საქმიანობა ექვემდებარება ინვესტიციების კანონიერების მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ნორმატიულ აქტებს, ან ცალკეული უწყებების ზედამხედველობას ან რეგულირებას. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა კონსულტაციები უნდა გაიაროს საკუთარ იურიდიულ მრჩეველთან იმის გადასაწყვეტად, თუ რამდენად და რა მოცულობით (i) არის ობლიგაციები მათთვის კანონიერი კაპიტალდაბანდება, (ii) შეიძლება ობლიგაციების გამოყენება გიაროს სახით სხვადასხვა ტიპის კრედიტის უზრუნველსაყოფად და (iii) ეხება სხვა შეზღუდვები ობლიგაციების შეძენას ან დაგირავებას. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ იურიდიულ მრჩეველებთან ან შესაბამის მარეგულირებლებთან იმის დასადგენად, თუ როგორ კლასიფიცირდება ობლიგაციები მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ან მსგავსი რეგულაციების მიზნებისათვის.

8.4. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციის გამოშვების პირობები“.

შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამურად 120,000,000 ლარამდე ნომინალური ღირებულების ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 98%-ისა.

„ემიტენტი“ შეთავაზებიდან მიღებულ წმინდა სახსრებიდან, პირველი ტრანში, საინდიკაციოდ 60 მლნ ლარი მოხმარდება:

- 35 მლნ ლარი - 2025 წლის 28 ნოემბერს ვადამოსული ობლიგაციების (ISIN: GE 2700604210) რეფინანსირებას;
- 25 მლნ ლარი - მრავალფუნქციური ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობის პირველ ეტაპს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ცენტრალური მაგისტრალური კვანძის მახლობლად;

დარჩენილი ტრანშ(ებ)ი, კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე მოხმარდება ზემოთხსენებული ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობას. პირველი ტრანშიდან მიღებული 25 მლნ ლარის უტილიზაცია მეტწილად მოხდება 2026 წლის პირველ ნახევარში. მეორე ტრანშიდან მოზიდული სახსრების უტილიზაცია საინდიკაციოდ მოხდება 2026 წლის მეორე ნახევარში - 2027 წელს. არსებული მოცემულობით, შეთავაზებიდან მოზიდული სახსრები საკმარისი იქნება პროექტის სრულად დასაფინანსებლად. აღნიშნული ლოგისტიკური ცენტრი მოემსახურება და ხელს შეუწყობს „კომპანიის“ ოპერაციების განვითარებას დასავლეთ საქართველოში. კომპანიის მიერ დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილით ქეთავი „სარეგისტრაციო დოკუმენტი - ინვესტიციები“.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

სს „ნიკორა“ (ს/ნ: 200050675)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა.“

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს “ბეიკერ ტილი ჯორჯია“, ს/ნ: 211325056, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ზამბის რიგი, N 7/ზვიად გამსახურდიას სანაპირო, N6, ტელ: +995 32 243 89 99, ვებ-გვერდი: bakertilly.ge

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: scoperatings.com

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ კალკულაციის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206), მისამართი: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ელ. ფოსტა: gt@gt.ge , ვებგვერდი: www.gt.ge, ტელ.: (+995 32) 2444-132; (+995 32) 24401-111 რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

„ემიტენტის“ განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206), მისამართი: ქ. თბილისი, 0105, პუშკინის ქუჩა N3, ელ. ფოსტა: gt@gt.ge , ვებგვერდი: www.gt.ge, ტელ.: (+995 32) 2444-132; (+995 32) 24401-111 რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. სს „გალტ ენდ თაგარტი“ („განთავსების აგენტი“), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძვლით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

ძირითადი საქმიანობა


კომპანიის მიმოხილვა

„ემიტენტი“ არის სს „ნიკორა“, მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ა. მრევლიშვილის ქუჩა, N2 ; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა; დაარსების თარიღი 1998 წელი.

სს „ნიკორა“ არის საქართველოს უდიდესი საკვების მწარმოებელი და ერთ-ერთი უდიდესი საცალო მოვაჭრე. იგი 1998 წელს დაარსდა როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია და მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ლორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ნიკორა ჯგუფში“ დასაქმებულია 10,600-მდე თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანია ყიდის 10,000-მდე სახის პროდუქციას და თავად აწარმოებს 500-მდე სახეობის ხორცპროდუქტს, აგრეთვე რძის, ზღვის და გამომცხვარ პროდუქციას.

„ჯგუფში“ შემავალი ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირდებიან ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამავდროულად, „ნიკორა ტრეიდი“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს:



- 1) **კვების პროდუქტების წარმოება**, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათებისა და ღვინის წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს კორიდა, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე და შპს ნაფარეულის ძველი მარანი;
- 2) **საგალო ვაჭრობა**, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით;
- 3) **დისტრიბუცია**, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი;;
- 4) **სასმელების**, სხვადასხვა საკვები პროდუქციის და საწარმოო ნედლეულის **იმპორტი**, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტი ტრეიდი ახორციელებენ.

„კომპანიას“ მოპოვებული აქვს BB- რეიტინგი უარყოფითი პერსპექტივით Scope Ratings-სგან.

ორგანიზაციული სტრუქტურა

პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „ნიკორა“ ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:



შენიშვნა: ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემულია მხოლოდ მოქმედი კომპანიები და სს „ნიკორას“ კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები;

„ემიტენტის“ შვილობილი კომპანიები და მეკავშირე საწარმოები:

ემიტენტის შვილობილი კომპანიები, მათ შორის უმოქმედო კომპანიები და მეკავშირე საწარმოები, შეჯამებულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

#	დასახელება	ს/ნ	რეგისტრაციის ქვეყანა	წილი % (პროსპექტის მომზადების თარიღი)	წილი (31.12.2024)	წილი (31.12.2023)	ბირთვადი საქმიანობა
1	სს ნიკორა ტრეიდი	206255808	საქართველო	96.6%	96.6%	96.6%	საცალო ვაჭრობის ქსელი
2	შპს მილა საქართველო	400095008	საქართველო	50%	50%	50%	იმპორტი
3	შპს ნიკორა	400132183	საქართველო	100%	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
4	შპს კორიდა	215133193	საქართველო	100%	100%	100%	ხორცპროდუქტების წარმოება
5	შპს ოკეანე	200265239	საქართველო	100%	100%	100%	ზღვისპროდუქტების წარმოება
6	შპს ჩვენი ფერმერი	200265220	საქართველო	100%	100%	100%	რძის პროდუქტების წარმოება
7	შპს მზარეული I	200104699	საქართველო	90%	80%	80%	პურპროდუქტების წარმოება

8	შპს კულინარი	405099389	საქართველო	100%	100%	50%	სალათების წარმოება
9	შპს პარტნიორი	400132192	საქართველო	100%	100%	100%	დისტრიბუცია
10	შპს ინტრიდი	200115883	საქართველო	100%	100%	100%	იმპორტი
11	შპს მულტიტრიდი	200273765	საქართველო	100%	100%	100%	იმპორტი
12	შპს ვაკოჯერის კალმახი	237074857	საქართველო	94%	94%	94%	კალმახის ფერმა
13	შპს ნაფარეულის ძველი მარანი	231260827	საქართველო	100%	100%	100%	ვენახები
14	შპს ნიკორა ბაკურიანი	426112823	საქართველო	50%	50%	50%	უმრავი ქონების მენეჯმენტი
15	შპს რეფ ელ	400387149	საქართველო	50%	50%	0%	უმრავი ქონების მენეჯმენტი
16	შპს რეფ ბი	400402872	საქართველო	80%	80%	0%	უმრავი ქონების მენეჯმენტი
17	შპს დენ ბრავენ ჯორჯია	205026498	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
18	შპს ინტრიდი ფოთი	215149097	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
19	შპს ნიკორა კახეთი	231278131	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
20	შპს ნიკორა აგრო	200271482	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
21	შპს ვებ ტრიდი	400178017	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
22	შპს კრწანისი 14	404561620	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
23	შპს როიალ კასპია	200255721	საქართველო	50%	50%	50%	უმოქმედო
24	შპს ლაზი-ჰოლდინგი	419982308	საქართველო	67%	67%	67%	უმოქმედო
25	შპს ნუგეში	404865231	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
26	შპს ნიკორა 1	200178155	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
27	შპს ფუდ ენდ დრინქ	204514515	საქართველო	100%	100%	100%	უმოქმედო
28	შპს იბერთი	200109140	საქართველო	0%	50%	0%	უმოქმედო
29	შპს რეფ ენ	400345195	საქართველო	0%	0%	50%	ერთობლივად კონტროლირებადი კომპანია
30	შპს რენტ ჰაუსი	204863576	საქართველო	0%	100%	48%	მეკავშირე საწარმო
31	შპს ალმა ვეკო ჯორჯია	400358741	საქართველო	40%	50%	50%	მეკავშირე საწარმო

შვილობილი და დაკავშირებული კომპანიების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები წარდგენილ პერიოდებში აღწერილია ქვემოთ:

- 2024-ში მოხდა შპს კულინარის 50%-იანი წილის შესყიდვა;
- 2023-ში მოხდა შპს მზარეული 1-ში 20% წილის გასხვისება, ხოლო 2025-ში, 10% წილის დაბრუნება;
- 2025 ში მოხდა შპს იბერთის 50% წილის გასხვისება;
- 2025 ში მოხდა შპს ალმა ვეკოს 10% წილის გასხვისება;
- 2023 წელს მოხდა შპს რენტჰაუსის 48% წილის შესყიდვა, 52%-ს დამატებით შესყიდვა მოხდა 2024-ში; ასევე 2024-ში გასხვისდა 100% წილი;
- 2023-ში მოხდა შპს დენ ბრავენის 100%-იანი წილის შესყიდვა;
- 2022-ში დაფუძნდა შპს რეფ ენ 50%-იანი თანამონაწილეობით და გასხვისდა 2024-ში;
- 2023-ში დაფუძნდა შპს რეფ ელ 50%-იანი თანამონაწილეობით;
- 2024-ში დაფუძნდა შპს რეფ ბი 80%-იანი თანამონაწილეობით;

სს „ნიკორას“ შვილობილებზე დამოკიდებულება განისაზღვრება: იჯარების, მომსახურებების, საპროცენტო შემოსავლების და დივიდენდების მიღების კუთხით. „კომპანია“ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სს „ნიკორა ტრიდიზე“, შპს „პარტნიორზე“, შპს „ნიკორაზე“ და შპს „კორიდაზე“ რომლებიც უზრუნველყოფენ სს „ნიკორას“ შემოსავლების 97%-ს.

1. სს „ნიკორა ტრეიდი“ - ნიკორა ჯგუფში შემავალი ყველაზე მსხვილი სუბიექტია, რომელიც სუპერმარკეტების ქსელს ოპერირებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია 634 მაღაზიით იყო წარმოდგენილი საქართველოს ბაზარზე. გაყიდვები სს ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტებში ხორციელდება შემდეგი სავაჭრო ნიშნის მქონე მარკეტებში:	
	სუპერმარკეტები უმეტესად მორგებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებზე.
	ე. წ. დისქაუნთერი მარკეტები.
2. შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და ნედლად შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 113-მდე სახეობის პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.	
	შპს „ნიკორა“-ს მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: 40-ზე მეტი დასახელების მოხარშული და შებოლილი ძეხვეული, 14-მდე სახეობის სოსისები და სარდელები, შაშხი და 27-მდე სახეობის ნედლად შებოლილი ხორცპროდუქტსა და დელიკატესს.
	შპს „ნიკორა“-ს მიერ წარმოებული პრემიუმ ხაზის ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდელები, შაშხი და სხვა.
	შპს ნიკორას მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატები (ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციული კერძები - ხინკალი, პელმენი, ვარენიკი, ბლინები, კატლეტები და სხვა), აგრეთვე შპს ოკეანეს მიერ წარმოებული სოუსები.
3. შპს „კორიდა“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს (დასავლეთ საქართველოში).	
	 შეფმასტერი - კორიდას ხორცპროდუქტების პრემიუმ ხაზია.
	4. შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას შიდა და გარე ქსელში.


	5. შპს „ოკეანე“ – აწარმოებს ზღვის პროდუქტებს და პრესერვებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს.
	ძირითადად ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად და ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვები და ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმახის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის.
	6. შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე “დღის პროდუქტის” სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი - „პალომა“-ს სავაჭრო სახელით.
	შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული რძის პროდუქტებია: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, რამდენიმე სახეობის კარაქი და ყველი - როგორც ქართული, ასევე ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული.
	პალომას ბრენდის ქვეშ წარმოებული 20-მდე დასახელების ნაყინი, რომელიც 2005 წლიდან იწარმოება. ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება და უდავოდ გამორჩეული გემოთი და რბილი კონსისტენციით ხასიათდება.
	7. შპს „მულტიტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე სარეალიზაციოდ, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „კორიდასთვის“.
	8. შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის (ბრენდი “პანე”) და სხვა გამომცხვარი პროდუქციის წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.
	პანე-ს სავაჭრო ნიშნით წარმოებული პურ-ფუნთუშეული და სხვადასხვა გამომცხვარი ნაწარმი.

	9. შპს „ინტრედი“ – კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ტკბილეულის, ბაკალეას, ხორცპროდუქტების, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. “ გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს, კერძოდ: i. წვენები: „VitaGo“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ალოე“, „ჯაფა“; ii. ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Bud, 5.0, Zhigul, Benediktiner, Praga, Schofferhofer, Estrella Galicia, Bitburger, Stiegl iii. არყები: Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, Russian Standard, Punchclub; Gustav, iv. მაღალ ალკოჰოლური სასმელები: Gibson’s, Glen Moray, Label 5, Old Virginia; Cutty Sark, Gautier, Busnel, Bardinet, Sombbrero v. დაბალ ალკოჰოლური სასმელი Shake, Royal, Punchclub; Somersby vi. სნეკები Lorenz, Master, Gusto, YAW, RiceUp Boomza, Bob Snail; Mogyi, vii. ხორცპროდუქტები: Campofrio, Greisinger, Negroni, Tarczynski, Snack It, Sokolow; viii. ტკბილეული: Bahlsen, Leibniz, HIT, Kellog’s, Millano, Flis, Wedel, Confectum, Gurmex, Freddi, 4You, Jules Destrooper,, Bogutti; ix. ბაკალეა: Yonca, Rio Santo, Santa Sophia, Rollton, Oyakata, Uvelka, Sante, Dr. Benner, Loid, და სხვა. x. რძის პროდუქტი: Creamburg, მლეკოვიტა, მლეკპოლი, სამი დათვი, Monaco, Gran Biraghi
	10. შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - ფლობს საკუთარ ვენახებს და მხოლოდ ყურძნის მოყვანითა და რეალიზაციითაა დაკავებული.
	11. შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი შპს „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში დაახლოებით 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანე“- ს საფირმო სახელწოდებით.
	12. შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება სს „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.
	ბრენდის ქვეშ იწარმოება 27 ტიპის სალათი, 19 სახეობის სხვა მზა კერძი და 5 სახეობის მწნილის სალათა.
	13. შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - დაბა ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების დეველოპმენტი.
	14. შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.
	15. შპს „რეფ ელ“ - უძრავი ქონების მენეჯმენტი.

„კომპანიის“ ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლები


„კომპანია“, შვილობილი „ნიკორა ტრეიდის“ საშუალებით, ყოველწლიურად აქტიურად ხსნის ახალ მაღაზიებს ქვეყნის მასშტაბით. ბოლო სამი წლის განმავლობაში სავაჭრო ქსელს 261 ახალი მაღაზია დაემატა და 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით ნიკორა ტრეიდი სხვადასხვა ფორმატის 634 მაღაზიას მოიცავდა, რომელთა ზომა მცირე კიოსკებიდან 1,000 კვ.მ-მდე მერყეობს და ქვეყნის მთელს ტერიტორიას ფარავს.

„ნიკორა ტრეიდის“ სავაჭრო ობიექტების რაოდენობა



„კომპანიაში“ სტრატეგიული აქცენტი კეთდება შედარებით დიდ და საშუალო ზომის მალაზიებზე. „ემიტენტს“ აქვს 172 200 კვ.მ.-ზე დიდი ფართობის მალაზია, ხოლო სუპერმარკეტების დაახლოებით 54% 100-200 კვ.მ. დიაპაზონში ხვდება.

სავაჭრო ობიექტების გადანაწილება ფართობის მიხედვით მოცემულია ქვედა გრაფიკზე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:




სავაჭრო ფართი წლების მიხედვით:


	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
სავაჭრო ფართი პერიოდის ბოლოს მდგომარეობით, კვ.მ	23,757	36,625	47,419	56,753	64,917	81,074	101,176	109,610

“ნიკორა თრეიდის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საოპერაციო მაჩვენებელია საშუალო გაყიდვები 1 კვ.მ.-ზე. აღსანიშნავია, რომ 2017 წელთან შედარებით, სავაჭრო ფართის თითქმის გახუთმაგებასთან ერთად, გაზრდილია საშუალო გაყიდვები ერთ კვადრატულ მეტრზე. 2024 წელს უმნიშვნელო კლება გამოწვეულია ნაწილობრივ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების“ კომენტარსა და „საოპერაციო მიმოხილვაში“ აღწერილი ეფექტით შემოსავალზე, ხოლო ნაწილობრივ ქსელების გაფართოების პროცესში გარდაუვალი კანიბალიზაციის ეფექტით.

საშუალო გაყიდვების მოცულობა ერთ კვადრატულ მეტრზე, ათასი ლარი



2024 წლის მდგომარეობით, „კომპანიის“ მიერ იმპორტის წარმომავლობის ქვეყნების განაწილება წარდმოგენილია გრაფიკზე:



მიუხედავად გარკვეული ქვეყნების მატერიალური წილებისა, დამოკიდებულება კონკრეტულ ქვეყნებზე არამატერიალურია, რადგან კომპანიას მუდმივად ჰყავს ალტერნატიული მომწოდებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კომპანიას ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს მომწოდებელი ქვეყნების ჩანაცვლების კუთხით, კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის საწყის პერიოდში მყისიერად იქნა ჩანაცვლებული შესაბამისი მომწოდებლები და კომპანიას არსებითი შეფერხება ოპერაციებში არ შექმნია.

კომპანიის ისტორია და განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1998 დეკემბერი

- კომპანიის დაარსება

1999 იანვარი

- პირველი პროდუქცია

2000

- პირველი მაღაზიის გახსნა

2001-2004

- სადისტრიბუციო ქსელის შექმნა, პირუტყვის ფერმის გახსნა;
- თევზისა და რძის პროდუქტების წარმოება, საკალმახე მეურნეობის გაშვება, „ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია“;
- „მზარეული“ იწყებს ნახევარფაბრიკატების წარმოებას, ნაყინის წარმოება, „წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია“ ჯილდო;

2005-2008

- დასავლეთ საქართველოში გაფართოება, შპს „ინტრეიდის“ დაარსება, „რეპუტაცია და ნდობა“ ჯილდო;
- გაფართოება აღმოსავლეთ საქართველოში, ღვინის წარმოების შესყიდვა, „პალომას“ საფირმო მაღაზიის გახსნა, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- სს ნიკორას დაარსება, ფოთის ოფისის გახსნა, „დარგის ლიდერი“ ჯილდო;
- ჩვენი ფერმერისა და ოკეანის ბრენდების გაშვება, საკონდიტრო წარმოების ხაზის შესყიდვა, ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სისტემების დანერგვა

2009-2013

- ხიზილალის წარმოების დაწყება, „ოქროს ბრენდი“ და „წამყვანი კომპანია“ ჯილდოები;
- მასივი ქსელის შესყიდვა, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- მაღაზიების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისისა და რეგიონებში;

2014 -2017

- სანდის, კი „ბატონოსა“ და „ჰომმარტის“ შემენა კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მაღაზიების მოდერნიზება, „წლის ლიდერი კომპანია“ და „წლის საუკეთესო კომპანია“ ჯილდოები;
- ნუგეშისა და ლიბრეს შემენა - ყველაზე დიდი ქსელის სტატუსი, ცელოფანის პარკების ბიო პარკებით ჩანაცვლება, „დარგის ლიდერი“ და „ოქროს ბრენდი“ ჯილდოები;
- \$5 მლნ. მოზიდვა ობლიგაციების საჯარო შეთავაზებით, ნიკორა ტრეიდის აღიარება უმსხვილეს ქსელად, „ოქროს ბრენდი“ ჯილდო;
- \$10 მლნ. დოლარის წარმატებული ემისია და განთავსება სს "ნიკორას" მიერ საქართველოს საფონდო ბირჟაზე;

2018-2021

- ნიკორა ტრეიდის მიერ 5 მლნ \$ ობლიგაციების წარმატებით რეფინანსირება და 25 მლნ ლარი ახალი ობლიგაციის გამოშვება, „B+“ საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტოსგან Scope Ratings GmbH;
- ქსელის მასშტაბური გაფართოება, 100 ზე მეტი ახალი ობიექტის გახსნა;
- ბაზრის ლიდერის პოზიციის მოპოვება, არა მხოლოდ მაღაზიების რაოდენობით არამედ გაყიდვებითაც; ჯილდოები - „ოქროს ბრენდი“ (ნიკორას და ნიკორა ტრეიდის ბრენდებს);
- ნიკორა ტრეიდის მიერ 25 მლნ ლარის ობლიგაციების რეფინანსირება და 10 მლნ ლარის ახალი ობლიგაციების გამოშვება. ნიკორა კვლავ რჩება ბაზრის ლიდერად როგორც ორგანიზებული საცალო ვაჭრობის, ასევე ხორცპროდუქტების წარმოებაში. 2021 წელს ჯგუფს სახელმწიფოსგან გადაეცა მიწა შემდგომი საინვესტიციო ვალდებულებების პირობით. საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვრება 14,485 ათასი ლარის ოდენობით 2022-2023 წლების განმავლობაში და მოხმარდება საწარმოო სიმძლავრეების ზრდას

2023-2025

- შპს "ნიკორა"-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა;
- სს "ნიკორა ტრეიდის" მიერ 120 000 000 ლარის ობლიგაციების პირველი ნაწილის წარმატებით გამოშვება; სს „ნიკორა ტრეიდი“ - წლის საუკეთესო დამსაქმებელი;
- საკრედიტო რეიტინგი ნარჩუნდება BB- ნიშნულზე;

ბიზნესის სეზონურობა

სადავო ვაჭრობის და საკვები პროდუქტების წარმოების ბაზრები არ ხასიათდებიან მკვეთრი სეზონურობით. „კომპანიის“ გამოცდილებით, შედარებით აქტიური არის ივლისი და აგვისტოს თვე რაც განპირობებული ტურისტული სეზონის აქტიური ფაზით, წლის ყველაზე აქტიური პერიოდი დეკემბრის თვის ბოლო დღეებია, რაც გამოწვეული საახალწლო გაყიდვებით.

სტრატეგია და ამოცანები

„ნიკორა ჯგუფი“ უმთავრესად მისი შვილობილი კომპანია სს „ნიკორა ტრეიდი“, რომელიც წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობისა და გეოგრაფიული განშლის მიხედვით, გეგმავს ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. ასევე აქტიურად მიმდინარეობს ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობა და სრული გადაიარაღება, რაც წარმადობას და ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ასევე, დღეისთვის „ნიკორა ტრეიდი“ წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად ნიკორა ტრეიდს მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით კომპანია მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით, კომპანიას, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. 2024 წელს კომპანიამ 59 ახალი მაღაზია გახსნა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

უძრავი ქონების სეგმენტში ჰოლდინგისა და შვილობილების მიზანია საცალო სავაჭრო ქსელების განვითარებისთვის, უძრავი ქონების შეძენა-მართვა და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში გაყიდვა. „კომპანიის“ სტრატეგია მოიცავს უძრავი ქონების ხელსაყრელი პირობებით შეძენას, ხოლო შესაბამისი მყიდველის პოვნის შემდეგ, „კომპანია“ ქონებას ყიდის გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტით (Sell-leaseback ტრანზაქციით).

გარდა ამისა, „კომპანია“ გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- **ლოგისტიკა:** ამ ეტაპზე „კომპანია“ ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. ახალი ლოგისტიკური ცენტრი საშუალებას მისცემს კომპანიას პროდუქციის 80%-მდე ცენტრალიზებული წესით შეისყიდოს და თავად განახორციელოს დისტრიბუცია მაღაზიებში. ცენტრალიზაციის გაზრდა „კომპანიას“ მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას. ასევე „კომპანია“ გეგმავს მაღაზიების ღამით მომარაგების რეჟიმზე გადასვლას, რაც შეამცირებს ლოგისტიკურ ხარჯებს, მათ შორის საწვავის მოხმარებას და გარემოზე მავნე ზეგავლენას.
- **„დისკაუნთერი მაღაზიები“ (soft discounter store):** ამ კონცეფციის მაღაზიებით „კომპანია“ უკვე რამდენიმე წელია წარმატებების ოპერირებს ბაზარზე. 2023/2024 წლები კომპანია აქტიურად მუშაობდა ამ ფორმატის მაღაზიების დახვეწაზე და ტრანსორმაციაზე შედეგად 2024 წლის მაისიდან მომხმარებლებს შესთავაზა ახალი ფორმატის „ლიბრეს“ ბრენდის მაღაზიები. განახლდა ფილიალების იერსახე, ცვლილებები შევიდა ასორტიმენტში, მეტი

აქცენტი დაეთმო ფრემ და ადგილზე გამომცხვარ პროდუქტებს და კიდევ უფრო კომფორტული გახდა მომხმარებლისთვის ყოველდღიური სტუმრობა ტრანსფორმირებულ ფილიალებში. გადაიხედა საფასო პოლიტიკა და მომხმარებლისთვის პროდუქცია უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ყველა ფილიალის განახლება და უფრო მეტი კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ბაზარზე. უახლოეს მომავალში იგეგმება ლიბრეს ლოიალობის პროგრამის დანერგვა ასევე აპლიკაციისა და საიტის შექმნა.

- **საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (Private Label):** პროდუქციის საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვება/გაყიდვა იძლევა ფასების ოპტიმიზაციის საშუალებას. „კომპანიას“ უკვე აქვს საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები, რომელიც „N1“-ის ბრენდის სახელით გამოდის. „N1“ ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფასის მქონე, რაც ზრდის მომხმარებლისთვის ასორტიმენტის ამ ნაწილის ხელმისაწვდომობას, „კომპანიას“ კი საშუალებას აძლევს მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. მიმდინარე წლიდან კომპანიამ დაამატა ახალი ბრენდი “Bonna” რომელიც გათვლილი არის საშუალო და მაღალ შემოსავლიან მომხმარებელზე. ახალი ბრენდი სთავაზობს მომხმარებელს კატეგორიის ცნობილი ბრენდების მსგავს პროდუქტების იდენტური ხარისხით და უფრო ხელმისაწვდომ ფასად. „ნიკორა ტრეიდის“ მიზანია დამატებით განავითაროს საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები.
- **ხილბოსტნის მიმართულების განვითარება - 2023 წელს** კომპანიამ შეიძინა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ხილ-ბოსტნის საწყოები რომლის საერთო ფართი შეადგენს 6 ათასი კვ.მ. და აღჭურვილია თანამედროვე მაცივრებით და მოსამწიფებელი კამერებით. ახალმა საწყოებმა საშუალება მისცა კომპანიას დაეწყო ტროპიკული ხილის იმპორტი და განეხორციელებინა პროდუქციის ცენტრალიზებული მიწოდება მაღაზიებში უწყვეტი ცივი ჯაჭვის შენარჩუნებით. ცენტრალიზაციამ გაზარდა პროდუქციის ხარისხი ასევე შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ ფერმერებს პროდუქტი მიეწოდებინათ ერთ ლოკაციაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად ხილ-ბოსტნის გაყიდვები 2024 წლის 6 თვის მონაცემებით 200%-ზე მეტით არის გაზრდილი 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. სამომავლოდ კომპანია გეგმავს ფერმერებისგან შესყიდული პროდუქციის შეფუთვის და მაღაზიებში მიწოდებას რაც გაზრდის პროდუქციის ვარგისიანობის პერიოდს, შეუნარჩუნებს პროდუქტს ხარისხს და იერსახეს. საერთო ჯამში ზემოთხსენებული ქმედებები შეამცირებს ხილბოსტნის დანაკარგებს.
- **კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია:** „კომპანია“ აქცენტს აკეთებს პროცესების ავტომატიზაციასა და მათი მართვის ციფრულ ფორმატში გადატანაზე. კომპანიამ დაასრულა SAP-ის დანერგვის პროცესი და რამდენიმე მსხვილი ფორმატის მაღაზიაში დაამატა თვითმომსახურების ტერმინალები. ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საწყოების მართვის EWM პროგრამის დანერგვაზე, რომელიც წარმატებით გაეშვა ორხევიში.
- **განახლებადი ენერგია:** 2024 წლიდან კომპანიამ 350 KW მეტი მზის პანელები დაამონტაჟა მაღაზიების სახურავებზე. სამომავლოდ კომპანია აქტიურად აქტიურად გააგრძელებს გარემოზე ზრუნვას და მზის პანელების განთავსებას მაღაზიებსა და საწყოებებზე.
- **ხორცპროდუქტების წარმოების განვითარება:** „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანია - შპს „ნიკორა“ მნიშვნელოვან ინვესტიციას ჩადო ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობაში. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. პროექტი დასრულებულია და საწარმო ეტაპობრივად გადადის სრულ სიმძლავრეზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ინვესტიციები“

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

„ემიტენტის“ პროდუქციის საბოლოო მომხმარებლები ძირითადად ფიზიკური პირები არიან, რომლებიც პროდუქტებს პირადი მოხმარებისთვის ყიდულობენ. ეს ნიშნავს, რომ არცერთი კლიენტი არ წარმოადგენს „კომპანიის“ საერთო გაყიდვების მნიშვნელოვან ნაწილს, რაც უზრუნველყოფს მაღალ დივერსიფიკაციას და ამცირებს ცალკეულ კლიენტებზე დამოკიდებულებას.

პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

კომპანიას ასეულობით სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

ანალოგიურად მომხმარებლებისა, კომპანიას არ აქვს 10% ან უფრო მაღალი კონცენტრაცია რომელიმე მომწოდებელთან.

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები

ამჟამად „კომპანია“ თავის სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელს 20,000-ზე მეტი სახეობის პროდუქციას სთავაზობს, მათ შორის 500-მდე დასახელების პროდუქტი „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების მიერაა წარმოებული. პროდუქცია მოიცავს ფართო ასორტიმენტს და მასში შედის საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები და საცალო ვაჭრობის სხვა სახეობები. მათი ფასების ცვლილება დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე, გაცვლით კურსზე, მსოფლიო ფასების დონეზე, ადგილობრივ ინფლაციაზე და ა.შ. „კომპანიის“ მიერ გაყიდული საქონლის ფასებზე ძირითად გავლენას ახდენს გლობალური ფასების დონეები: ისეთი ფაქტორები როგორებიცაა ხორცის, შაქრის, ფქვილის და სხვა ინგრედიენტების ფასები, საწვავის და ელექტრო-ენერგიის ფასები, უცხოეთიდან შემენილი პროდუქციის შემთხვევაში გაცვლითი კურსების დინამიკა და ა.შ.

„კომპანიის“ მიერ გაყიდვადი პროდუქციის ღირებულებაზე ასევე გავლენას ახდენს ტარიფებისა და გადასახადების დონეები, შრომით ბაზარზე ხელფასების ზრდის დინამიკა და მსგავსი ფაქტორები. „კომპანიის“ მიერ გაყიდვადი პროდუქციის ფართო ასორტიმენტიდან გამომდინარე, ბაზარზე საერთო ფასების ცვლილება და ინფლაციის დონე ყველაზე კარგი ინდიკატორია „კომპანიის“ პროდუქციის ფასების დინამიკისთვის.

საცალო ქსელში გასაყიდ პროდუქციას „კომპანია“ ღებულობს როგორც ჯგუფში შემავალი ერთეულებისგან, ასევე გარე მომწოდებლებისგან. პროდუქციის დიდი ასორტიმენტის გამო „კომპანია“ არ არის პირდაპირ დამოკიდებული რომელიმე მომწოდებელზე და მარტივად შეუძლია მათი ჩანაცვლება. „კომპანიის“ მიერ შესყიდული გასაყიდი საქონლის ფასი დამოკიდებულია მსოფლიო ფასების დონეზე და ფასების ცვლილება მსგავსია როგორც „კომპანიისთვის“ ისე მისი კონკურენტებისთვის.

- **ადამიანური რესურსი** - „კომპანიისთვის“ მომხმარებელთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომელი, 2024 წლის ბოლო მდგომარეობით „ჯგუფში“ დასაქმებული იყო 10,000 ადამიანზე მეტი. სს „ნიკორა“ უწყვეტად მუშაობს მათი კმაყოფილების და ერთგულების ზრდაზე. ასევე მათ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე.

კომპანია დღეს შრომით ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი. ის ქსელის განვითარებისა და სწრაფი გაფართოების ტემპიდან გამომდინარე ქვეყანაში სამუშაო ადგილებს აქტიურად

ქმნის და ხელს უწყობს უფრო და უფრო მეტი მოქალაქის დასაქმებას. ასევე, მიმდინარე მდგომარეობით რითეილ სექტორში შრომით ბაზარზე არსებული სახელფასო მდგომარეობის გათვალისწინებით, „კომპანია“ ახერხებს სწორად შეაფასოს კომპანიის წარმატებით ფუნქციონირებისათვის თანაგუნდელებს მიერ გაწეული შრომა და დატვირთვა. აქედან გამომდინარე, სს „ნიკორა ტრეიდი“ დასაქმებულ თანამშრომლებს აქვთ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანაზღაურება სექტორში.

ადამიანური რესურსების მიმართულებით „კომპანიის“ სხვა მიღწევები:

- **საუკეთესო დამსაქმებლის ჯილდო** - სს „ნიკორა ტრეიდი“ „სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ მიერ არაერთხელ დასახელებულა და მიუღია „საუკეთესო დამსაქმებლის“ ჯილდო მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობაში დიდი წვლილისათვის. ყოველწლიურად სს „ნიკორა ტრეიდი“ აქტიურად იზრდება და შესაბამისად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.
- **რეგიონში მცხოვრები პირების დასაქმების ხელშეწყობა** - „კომპანია“ აქტიურად არის რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობაში ჩართული. კომპანიის შვილობილი სს „ნიკორა ტრეიდი“ თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მუნიციპალიტეტთა მერიის სამსახურებთან და მათი დახმარებით ხვდება მოსახლეობას დასაქმების რეალური შესაძლებლობის შეთავაზებით. „კომპანია“ რეგიონის მოსახლეობას სთავაზობს დასაქმებას როგორც ადგილზე, ასევე დედაქალაქში. რეგიონებში დასაქმების შესაძლებლობის სიმწირის გამო, „კომპანია“ თბილისის გარშემო მყოფ რეგიონებში მაცხოვრებლებს დასაქმებას თბილისში სთავაზობს რეგიონთან შედარებით უფრო მაღალ ხელფასზე მათზე მორგებული გრაფიკით და ტრანსპორტირების უზრუნველყოფით. აღნიშნული პროექტი წარმატებით ხორციელდება და მოქალაქეები მასში აქტიურად არიან ჩართულები.
- **ტექნოლოგიური რესურსები**
„კომპანია“ იყენებს შესაბამის IT აპლიკაციებს მარაგების, მოთხოვნების, ვალდებულებების და ძირითადი საშუალებების სამართავად. ამ ეტაპისთვის ძირითადი საოპერაციო პროგრამა არის Apex, პერსონალის და ხელფასების ადმინისტრირებისთვის - ვაბაკოს და კომპანიის მიერ დაწერილი პროგრამა. კომპანიამ წარმატებით დანერგა SAP S/4 HANA-ს ERP ფუნქციონალი და მის სასაწყობო ოპერაციების მართვის მოდული - SAP EWM-ს.
- **მაღალი დონის ურთიერთინტეგრაცია მოდულებს შორის** - SAP-ის პროგრამისთვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მაღალი დონის ურთიერთინტეგრირებაა მის მოდულებსა, სახელმწიფო და საბანკო სერვისებს შორის. ერთი კონკრეტული ტრანზაქციის გატარებისას შედეგები ავტომატურად აისახება ყველა გააქტიურებულ მოდულში და არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით ოპერაციებს ან დამატებით ქვეპროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით მონაცემების სინქრონიზაციისთვის.
- **მონაცემების სიზუსტე და საიმედოობა** - მაღალი დონის ინტეგრაცია უზრუნველყოფს, მონაცემების ნებისმიერ მოდულში იდენტურობასა და მაღალ სიზუსტეს. ამავდროულად ამ მოდულების ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელმა პროგრამაში შეიყვანოს ის მინიმალური და სწორი მონაცემები, რის საფუძველზეც „კომპანია“ იღებს როგორც მართველობითი ასევე საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას.
- **ინფორმაციის ოპერატიულობა** - კომპანიის მასშტაბების მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს-პროცესის ყველა შესაბამის რგოლს ჰქონდეს ოპერატიული ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე. ეს ამაღლებს გადაწყვეტილებებისა და ამოცანების მიღება-განხორციელების ეფექტურობას/მოქნილობას.

- **პროცესების კონტროლი და ავტორიზაციის დონეები** - პროგრამა იძლევა საშუალებას, რომ პროცესების ავტორიზაციის მეშვეობით მოხდეს ეფექტური კონტროლის გატარება.
- **ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უფლებების გამიჯვნა** - კომპანიის ზრდასთან ერთად მატულობს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ალბათობა და რისკები. მომხმარებლების უფლებების მართვის მოქნილი მეთოდები (ე.წ. „იუზერ მენეჯმენტი“) საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს თითოეული მომხმარებლის ინფორმაციაზე დაშვებისა და პროგრამაში მუშაობის შესაძლებლობები მათი კომპეტენციის ფარგლებში.


ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები

„კომპანია“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფას და მუდმივად თანამშრომლობს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან. სწორედ ამიტომ, „კომპანია“ სისტემატიურად აკონტროლებს სამუშაო პროცესებს, იღებს რეკომენდაციებს მიმდინარე საკითხებზე და ახორციელებს მონიტორინგს, რათა კიდევ უფრო დაიხვეწოს სავაჭრო ობიექტებში სურსათის განთავსების, რეალიზაციის და მომსახურების ხარისხი უვნებელი სურსათის რეალიზაციისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლებისთვის. მიუხედავად ხარისხის კონტროლის მაღალი სტანდარტებისა, „კომპანიის“ მასშტაბიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში ხდება სურსათის უვნებლობის ნაწილში არამატერიალური დარღვევები რაც იწვევს „კომპანიისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუმცა სანქციები არამატერიალურია და ოპერირების კუთხით კომპანიას შეფერხება არ ჰქონია.

კონკურენტული პოზიცია

FMCG ბაზრის ძირითადი მოთამაშეების შემოსავალი კონცენტრირებულია თბილისში, თუმცა ბაზრის აქცენტი საქართველოს რეგიონებზე იზრდება, რაც მთლიან შემოსავლებში რეგიონების წილის ზრდით დასტურდება.

კომპანიის პოზიციონირება ბრენდული ქსელების ბაზრის საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლებში წარმოდგენილია გრაფიკით:



2024 წელს სპარი, მაგნიტი, დეილი და გვირილა გაერთიანდნენ დეილი ჯგუფის ჰოლდინგის ქვეშ და დაიკავეს საქართველოს ბაზრის 27.5% წილით. ბაზრის წილის დინამიკის მიზნებისთვის, კონსოლიდაცია ასახულია რეტროსპექტულად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ინდუსტრიის აღწერა - ბრენდული ქსელები“.

სექციაში მოცემულია „ემიტენტის“ ძირითადი ფინანსური ინფორმაციის შედარება ბაზრის სხვა მოთამაშეებთან. კერძოდ, ცხრილში წარმოდგენილია 3 კონკურენტი კომპანია, რომელთა ძირითადი საქმიანობაც „ემიტენტის“ მსგავსად საქართველოში სწრაფად რეალიზებადი სამომხმარებლო საქონლის გაყიდვაა.

- ორი ნაბიჯი:** 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 470 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. ორი ნაბიჯი უზნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.
- ფუდმარტი („სპარის“ და „იოლის“ ბრენდები):** სუპერმარკეტების ქსელი ფუდმარტი 2013 წლიდან არსებობს, როდესაც მან ორი საცალო ქსელი, პოპული და იოლი შეიძინა. 2014 წელს ფუდმარტმა საერთაშორისო ბრენდი SPAR-ის ფრანჩაიზი მიიღო და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ოპერირებდა 282 საკუთარი მაღაზიით.
- კარფური:** წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. საქართველოში კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა და, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზარზე 95 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო სავაჭრო ნიშნებით გამოშვებულ პროდუქციას და კონკურენტებთან შედარებით წარმოდგენილია შედარებით დიდი სავაჭრო ფართის მაღაზიებით.

	სს ნიკორა 2024	სს ნიკორა 2023	ორი ნაბიჯი 2023	სპარი & იოლი 2023	კარფური 2023
ათასი ლარი	კონსო.	კონსო.	კონსო.	კონსო.	ინდივიდ.
მოგება-ზარალი					
შემოსავალი	1,451,046	1,295,207	1,116,493	556,211	804,828

გაყიდვების თვითღირებულება	-1,031,193	-915,309	-906,479	-419,901	-626,363
საერთო მოგება	419,853	379,898	210,014	136,310	178,465
EBITDA (Post-IFRS 16)	134,730	145,264	86,737	61,485	-163,012
საოპერაციო მოგება (EBIT)	68,320	89,429	73,366	27,713	15,453
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
მიმდინარე აქტივები	285,971	226,252	115,451	210,367	155,309
გრძელვადიანი აქტივები	530,137	452,278	181,414	183,268	88,455
ჯამური აქტივები	816,108	678,530	296,865	393,635	243,764
მიმდინარე ვალდებულებები	321,179	287,619	209,828	139,080	412,787
გრძელვადიანი ვალდებულებები	267,982	191,717	84,709	213,302	7,932
ჯამური ვალდებულებები	589,161	479,336	294,537	352,382	420,719
კაპიტალი	226,947	199,194	2,328	41,253	-176,955
<i>საბრუნავი კაპიტალი</i>	<i>-35,208</i>	<i>-61,367</i>	<i>-94,377</i>	<i>71,287</i>	<i>-257,478</i>
ფულადი ნაკადების ანგარიშგება					
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები	65,335	111,714	106,135	36,907	56,677
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები	-94,830	-102,530	-23,268	-75,645	-18,953
წმინდა ფინანსური ფულადი ნაკადები	30,208	-27,929	-76,845	107,895	-20,280
კოეფიციენტები					
საერთო მოგების მარჟა	28.93%	29.33%	18.81%	24.51%	22.17%
EBITDA მარჟა	9.29%	11.21%	7.77%	11.05%	-20.25%
საოპერაციო მოგების მარჟა	4.71%	6.90%	6.57%	4.98%	1.92%
სესხები/EBITDA	2.75	1.89	-	2.91	4.77
გაყიდვები/აქტივები	1.78	1.91	3.76	1.41	3.30
მიმდინარე კოეფიციენტი	0.89	0.79	0.55	1.51	0.38
EBIT/ფინანსური ხარჯი (ICR)	2.32	3.47	10.09	1.24	1.30
მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	67.11	59.02	26.97	44.55	44.7
დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	11.35	9.97	3.82	3.06	2.1
სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები (DPO)	73.98	73.37	68.87	168.27	112.8
ფულის ამოღების ციკლი	4.48	-4.38	-38.09	-120.66	-66.0

როგორც ცხრილიდან ჩანს, „ნიკორა“ მომგებიანობის, ლევერიჯისა და საოპერაციო მაჩვენებლები შესაბამისობაშია ბაზრის კოეფიციენტებთან.

2023 წლის მდგომარეობით, ყველა მსხვილი სუპერმარკეტების ქსელის (გარდა შპს ფუდმარტისა) საბრუნავი კაპიტალი უარყოფითი იყო, კონკრეტულად: ნიკორას საბრუნავი კაპიტალი უარყოფით 61,367 ათას ლარს შეადგენდა, ორი ნაბიჯის უარყოფით 94,377 ათას ლარს, ხოლო კარფურის საბრუნავი კაპიტალი კი უარყოფით 257,478 ათას ლარს.

მარკეტინგული პროგრამა

სს „ნიკორა“-ს მისიაა ხელი შეუწყოს „ნიკორა ჯგუფის“ კომპანიებს, აწარმოონ უმაღლესი ხარისხის საკვები, რომელიც იქნება ორიენტირი საზოგადოებისთვის და დაამკვიდრებს მაღალ სტანდარტებს კვების ინდუსტრიაში. ამვე დროს, მნიშვნელოვანია, რომ „ნიკორა ჯგუფი“ იყოს სასარგებლო საზოგადოებისთვის, შექმნას უკეთესი ცხოვრების პირობები (მაღალი ხარისხის პროდუქცია, ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი წარმოება, რესურსების გონივრული გამოყენება, შრომითი უფლებების დაცვა, თანამშრომლების განვითარება, სოციალური პასუხისმგებლობა).

თანამედროვე ციფრულ სამყაროში სოციალური ქსელები მარკეტინგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი და საკომუნიკაციო არხია. ისინი არამარტო მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარების საშუალებაა, არამედ ძლიერი პლატფორმაა ბრენდის ცნობადობის ასამაღლებლად, პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციისთვის. სს „ნიკორა“-ს მარკეტინგის დეპარტამენტი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

სს „ნიკორას“ მარკეტინგის ჯგუფის საქმიანობა სოციალური მედიის მიმართულებით:

სს „ნიკორა“-ს მარკეტინგის ჯგუფი მართავს 5 ბრენდის გვერდს, როგორც Facebook-ზე, ასევე Instagram-ზე. ჩვენი გუნდი ქმნის მრავალფეროვან და მიზნობრივ კონტენტს, რომელიც მოიცავს:

- პროდუქციის დეტალურ აღწერას, ხარისხსა და გამოყენების წესებს
- აქტუალურ აქციებსა და სპეციალურ შეთავაზებებს;
- კულინარიულ რეცეპტებსა (რილსი, ბლოგერი) და პრაქტიკულ რჩევებს;
- საბავშვო თემატიკასა და სხვა საინტერესო ინფორმაციას.

სოციალური ქსელები არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების არხია, არამედ მომხმარებელთან ურთიერთობის უწყვეტი ჯაჭვი. „კომპანიის“ მარკეტინგული გუნდი აქტიურად ისმენს აუდიტორიის საჭიროებებსა და ინტერესებს, პასუხობს შეკითხვებს და მყისიერად რეაგირებს ნებისმიერ უკუკავშირზე. ეს კომფორტული და აუცილებელი პროცესია როგორც მომხმარებლისთვის, ისე სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგში შემავალი თითოეული ბრენდებისთვის.

2024 წლის შედეგები – Facebook მონაცემები ბრენდების მიხედვით. რამდენ ადამიანს მიწვდა „კომპანია“, რამდენჯერ ნახა მომხმარებელმა პოსტი და რამდენი ჩაერთო კონტენტში.

დღის პროდუქტები

რიჩი: 2,586,552 ადამიანი
იმფრემენი: 3,360,324 ნახვა
ინგეიჯმენტი: 637,092



შეფმისტერი (შექმნილია სექტემბერში შპს კორიდას ბრენდი, 4 თვის შედეგები)

რიჩი: 2,308,384 ადამიანი
იმფრემენი: 2,614,808 ნახვა
ინგეიჯმენტი: 67,400



პალომა

რიჩი: 2,417,178 ადამიანი
იმფრემენი: 3,108,264 ნახვა
ინგეიჯმენტი: 652,224



ოკეანე

რიჩი: 6,852,408 ადამიანი
იმფრემენი: 8,040,096 ნახვა
ინგეიჯმენტი: 828,312



კორიდა

რიჩი: 8,466,780 ადამიანი
იმფრემენი: 8,567,604 ნახვა
ინგეიჯმენტი: 269,292



ინვესტიციები

ცხრილში წარმოდგენილია „კომპანიის“ მიერ გაწეული წმინდა⁵ კაპიტალური დანახარჯების შინაარსობრივი განაწილება 2024 და 2023 წლების განმავლობაში:

(ათასი ლარი)	2024	2023
მიწა	14,873	14,653
შენობები	(1,545)	11,492
მანქანა დანადგარები	22,832	24,545
ავეჯი, საოფისე და სხვა აღჭურვილობა	10,232	10,483
ქონების გაუმჯობესება	10,690	12,683
ტრანსპორტი და სხვა	7,255	5,729
მიმდინარე მშენებლობა	29,132	10,119
სულ	93,469	89,704

2023-2024 წლების განმავლობაში, კომპანიისთვის განსაკუთრებით მატერიალურ პროექტებს წარმოადგენდა:

- **ახალი ხორცპროდუქტების საწარმო** (დასრულდა და ეტაპობრივად გადადის სრულ სიმძლავრეებზე) - აშენდა უახლესი სტანდარტების შესაბამისად და სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე, ავტომატიზებული დანადგარებით, რაც უზრუნველყოფს როგორც პროდუქციის მაღალ ხარისხს, ასევე პროცესების მაქსიმალურ ეფექტიანობას.

ინვესტიციის მთავარი მიზანი იყო წარმოების მოცულობის და წარმადობის ზრდა ისე, რომ გაზრდილიყო პროდუქციის ხარისხიც. საწარმო შექმნილია იმგვარად, რომ თითოეული ეტაპი – დაწყებული ნედლეულის მიღებიდან, დამთავრებული შეფუთვამდე – მიმდინარეობს მკაცრი კონტროლის პირობებში. აღნიშნული უზრუნველყოფს არა მხოლოდ სტაბილურად მაღალ ხარისხს, არამედ ამცირებს ნედლეულის დანაკარგებსაც, რაც საბოლოოდ ამცირებს

⁵ შეძენებს დაკლებული გასული ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება

პროდუქციის თვითღირებულებას და კომპანიას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს მაღალკონკურენტული პოზიცია ბაზარზე.

ნიკორას ახალი ქარხანა მნიშვნელოვანი ნაბიჯია კომპანიის განვითარებისთვის და ზოგადად საქართველოს კვების მრეწველობისთვისაც. ახალი ქარხნის სრულად ამოქმედების შემდეგ, წარმოების ყოველდღიური მოცულობა დაახლოებით 50%-ით იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ნიკორას უკვე შეუძლია გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება ადგილობრივ ბაზარზე და უფრო სერიოზულად იფიქროს პროდუქციის ექსპორტზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოს სივრცე და ინფრასტრუქტურა წინასწარ გათვლილია მომავლისთვის, კერძოდ არსებობს პოტენციალი წარმადობის კიდევ უფრო გაზრდისა მომდევნო წლებში. ეს სტრატეგიული ხედვა აძლევს ნიკორას მოქნილობას და აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს რეაგირება გაზრდილ ბაზარზე.

საწარმოს შექმნაზე, 2022-2025 წლებში, დაიხარჯა 44.8 მლნ ლარი (2022 – 3.0 მლნ, 2023 12.1 მლნ, 2024 – 27.1 მლნ და 2025 წლის პირველ კვარტალში 2.6 მლნ ლარი); რისი უდიდესი ნაწილიც საბანკო სესხებით იქნა დაფინანსებული (43.4 მლნ ლარი).

- **ლოგისტიკური ცენტრი და საწარმოო ინფრასტრუქტურა** ალექსეევკას დასახლების ტერიტორიაზე - 2022-2023 წლებში შეძენილ იქნა 7.3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 18 ჰა მიწის ნაკვეთები, სადაც იგეგმება მთლიანი ჰოლდინგის სამომავლო ინდუსტრიული განვითარება:

- **ლოგისტიკური ცენტრი** - 10 ჰა მიწის ფართობზე შენდება 40 ათასი კვ.მ ფართის მქონე მრავალფუნქციური ლოგისტიკური ცენტრი დამხმარე ინფრასტრუქტურით, მისი დანიშნულებაა საფუძვლიანად გაზარდოს სს ნიკორატრეიდის საოპერაციო/ლოგისტიკური პროცესების ხარჯეფექტიანობა. პროექტის მიმდინარე სტატუსი: 2024-ში დაიწყო პროექტირება, ხოლო 2025 წლის მეორე კვარტალში დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. პროექტის საინდიკაციო ბიუჯეტია 100 მლნ ლარი, საიდანაც 85 მლნ მოზიდული იქნა სს „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების ემისიით, ხოლო დარჩენილი წილი ფინანსდება კომპანიის ოპერაციებით დაგენერირებული ფულადი სახსრებით.
- **საწარმოო ინფრასტრუქტურა** - ჰოლდინგში შემავალი თევზის და ზღვის მწარმოებელი (შპს ოკეანე) და პურფუნთუშეული პროდუქტების მწარმოებელი (შპს მზარეული 1) კომპანიებისთვის ახალი საწარმოო თანამედროვე ინფრასტრუქტურის მშენებლობა. მიმდინარე სტატუსი: პროექტირების სხვადასხვა სტადია.

სასაწყობო-ლოგისტიკური ცენტრი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ცენტრალური მაგისტრალური კვანძის მახლობლად, სადაც 2024 წელს შეძენილი იქნა 9 ჰა მიწა (0.8 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნულ ფართზე მოეწყობა მრავალფუნქციური ლოგისტიკური ცენტრი შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურით რომელიც მოემსახურება ჰოლდინგის საოპერაციო საქმიანობას დასავლეთ საქართველოში. პროექტის ღირებულება წინასწარი შეფასებით 80 მლნ ლარია. „ობლიგაციების“ პირველი ტანშიდან მიღებული 25 მლნ ლარის უტილიზაცია მეტწილად მოხდება 2026 წლის პირველ ნახევარში. დარჩენილი 60 მლნ ლარამდე პროგრამის მოცულობიდან, საინდიკაციოდ, 55 მლნ ლარის უტილიზაცია მოხდება 2026-ის მეორე ნახევარი - 2027 წელს. (5 მლნ ლარი განსაზღვრულია პროექტის ხარჯების გაუთვალისწინებელი გადახრებისთვის, რისი ათვისებაც მოხდება საჭიროებისამებრ).

კომპანია ასევე აქტიურად აგრძელებს მაღაზიების ქსელის გაფართოებას. კომპანია ახალი მაღაზიების დამატებას საკუთარი სახსრებით დააფინანსებს.

„კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანი კონტრაქტები

ხელშეკრულებები სხვა მომწოდებლებთან

„კომპანია“ წარმოადგენს ჰოლდინგური ტიპის საწარმოს. შესაბამისად, ფლობს და ოპერირებს შვილობილ კომპანიებს და კომერციულ კონტრაქტებსაც, რომელსაც, თავიანთი საქმიანობის სეგმენტში, აღნიშნული კომპანიები დებენ. „კომპანია“ და მისი შვილობილი კომპანიები არ წარმოადგენენ რომელიმე არსებითი კომერციული კონტრაქტის მხარეს, რასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ჯგუფის საქმიანობაზე.

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო კომპანიის შერჩევა ხდება ყოველწლიურად ტენდერის გამოცხადების და საუკეთესო შეთავაზების/პირობების გამოვლენის გზით, სადაც ასევე ყურადღება ექცევა სადაზღვევო კომპანიის რეპუტაციას ფინანსურ სტაბილობას და გამოცდილებას. ჰოლდინგის მასშტაბით ყოველწლიურად ხდება უძრავი ქონების გადაფასება მიმდინარე საბაზრო ღირებულებით და დაზღვევა ხდება შესაბამისი ღირებულებით, ლიმიტის გარეშე; მიმდინარედ უძრავი ქონება დაზღვეულია ჯიპიაი ჰოლდინგში, თუმცა ყოველწლიურად ტენდერის საშუალებით ხდება ახალი კონტრაქტორის შერჩევა.

ხელშეკრულებები კომერციულ ბანკთან

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „ემიტენტსა“ აქვს ხელშეკრულებები კომერციულ ბანკებთან, რომლებიც წარმოადგენს სტანდარტულ საბანკო ჩარჩო ხელშეკრულებებს.

ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული საბანკო კონტრაქტების ძირითადი ფინანსური და არაფინანსური პირობებისა და შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, იხილოთ სექციაში “კაპიტალიზაცია და დავალიანება”.

სასამართლო დავები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ჯგუფს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გასაღების ბაზრები და სექტორის ტენდენციები


FMCG ბაზრის ზომა

FMCG სექტორის საცალო შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 13.2%-ით გაიზარდა და €22.7 მილიარდს მიაღწია. იგივე პერიოდში, ინფლაცია წლიურად საშუალოდ 5.4% იყო. 2025-28 წლებში მოსალოდნელია სექტორის 8.0%-იანი საშუალო წლიური ზრდა (მიზნობრივი ინფლაცია იგივე პერიოდში 3% ნიშნულზეა მოსალოდნელი), შედეგად ბაზრის ზომა გახდება €30.8 მილიარდი 2028 წლისთვის. ამ ზრდის წარმართველი იქნება მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ზრდა.

2018-24 წლებში, ჯამური შემოსავლების ძირითადი წყარო ადგილობრივი მოსახლეობა, უცხოელი ვიზიტორები და მიგრანტები იყვნენ:

- **ადგილობრივი მოსახლეობის** დანახარჯები 2018-24 წლებში საშუალოდ 14.0%-ით (CAGR) იზრდებოდა, ხოლო ბოლო წელს წლიური 8.6%-ით გაიზარდა და შედეგად, 2024 წელს და €22.1 მილიარდი შეადგინა. ეს კი მთლიანი FMCG დანახარჯების 97.4%-ია. ერთი შინამეურნეობა FMCG პროდუქციაზე საშუალოდ 1,604 ლარს ხარჯავდა 2024 წელს, 9.5%-ით მეტს წინა წელთან შედარებით. გალტ & თაგარტის პროგნოზის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობის დანახარჯები FMCG პროდუქციაზე განაგრძობს ზრდას 2025-28 წლებშიც წლიურად საშუალოდ 7.9%-ით და მიაღწევს 29.9 მლრდ ლარს 2028-ში.
- **უცხოელი ვიზიტორების** დანახარჯები 16.8%-ით გაიზარდა 2024 წელს და 0.6 მილიარდი ლარი შეადგინა (მთლიანი დანახარჯების 2.6%). აღნიშნული რიცხვი მოიცავს ვიზიტორების FMCG დანახარჯებს რესტორნებისა და კაფეების გარეთ. 2018 წლის მაჩვენებლიდან (€0.7 მილიარდი) პანდემიის დროს ტურისტული FMCG დანახარჯები საგრძნობლად შემცირდა, პანდემიის შემდგომ ტურისტების რაოდენობის აღდგენის მიუხედავად, FMCG დანახარჯები ჯერ ვერ დაუბრუნდა პანდემიამდელ მდგომარეობას. გალტ & თაგარტის პროგნოზის მიხედვით, FMCG პროდუქციაზე ტურისტული დანახარჯები 2025-28 წლებში წლიურად საშუალოდ 11.5%-ით განაგრძობს ზრდას და მიაღწევს 0.9 მლრდ ლარს 2028-ში.
- **მიგრანტების** დანახარჯები აღსანიშნავი იყო 2022-23-წლებში (€0.4 მილიარდი 2023-ში), რაც უკავშირდებოდა რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულ რუსი მიგრანტების ტალღას საქართველოში.

დიაგრამა 3: FMCG სექტორის შემოსავლები მომხმარებლების მიხედვით, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

მოვაჭრის ტიპის მიხედვით FMCG სექტორის სტრუქტურა ორ ნაწილად იყოფა - ფორმალური ვაჭრობა (ბრენდული ქსელები, არაბრენდული მაღაზიები, ავთიქები) და სხვა ფორმატები, მათ შორის არაფორმალური ბაზარი (ბაზრობები, საკუთარი მოხმარება და დაუკვირვებადი ვაჭრობა):

- **ბრენდული ქსელების** შემოსავლები 14.9%-ით გაიზარდა 2024 წელს და ლ9.2 მილიარდს მიაღწია. მათი გაყიდვები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 25.5%-ით იზრდებოდა, რაც მათ სექტორის ყველაზე სწრაფად მზარდ მოვაჭრის ტიპად აქცევს - 2018 წელს ბაზრის მხოლოდ 21.7% ეჭირათ, 2024 წელს კი 40.4%. 2024 წელს ბრენდული ქსელების წილი შედარებით მაღალი იყო თბილისში - 46.8%, ხოლო რეგიონებში 34.1%.

გალტ&თაგარტის კვლევის მიხედვით, 2025-28 წლებში ბრენდული ქსელების შემოსავლის მაღალი ტემპით, წლიურად საშუალოდ 15.0%-ით, ზრდა არის მოსალოდნელი. ბრენდული ქსელების წილი ჯამურ FMCG დანარარჯებში მიაღწევს ბაზრის 52.0%-ს (ლ16.0 მილიარდს) 2028 წელს.

ბრენდულ ქსელებში შედის 46 ბრენდული ქსელი, რომელთაც 5-ზე მეტი მაღაზია და 2 მლრდ ლარზე მეტი წლიური ბრუნვა აქვთ.


- **არაბრენდული მაღაზიების** შემოსავლები 0.2%-ით გაიზარდა 2024 წელს და ლ5.8 მილიარდი შეადგინა. მსგავსი ფორმატის მაღაზიების ჯამური გაყიდვები 2018-24 წლებში საშუალოდ 7.9%-ით იზრდებოდა. ამ ზრდის მიუხედავად, 2025-28 წლებში მცირედი კლებაა მოსალოდნელი, წლიურად საშუალოდ 0.9%-იანი და ჩამოვა 5.6 მლრდ ლარამდე 2028 წელს. არაბრენდულ მაღაზიებს ეჭირათ FMCG ბაზრის 25.4%-იანი წილი 2024 წელს, გალტ & თაგარტის პროგნოზით, 2028 წლისთვის ეს წილი 18.0%-ამდე შემცირდება. არაბრენდულ მაღაზიებში შედის ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მაღაზია, რომელიც არაა ბრენდული ქსელი.

- **აფთიაქების FMCG** შემოსავლები 1.2%-ით გაიზარდა 2024 წელს და 0.4 მილიარდი ლარი შეადგინა. გაყიდვების უმეტესი ნაწილი პირადი ჰიგიენის პროდუქტებს მოიცავდა. 2018-24 წლებში მათი შემოსავლები საშუალოდ 15.6%-ით იზრდებოდა. გალტ & ტაგარტის პროგნოზის მიხედვით, 2025-28 წლებში წლიურად საშუალოდ 37.2%-იანი ზრდა არის მოსალოდნელი, შედეგად აფთიაქებში FMCG პროდუქციის გაყიდვა 2028 წლისთვის 1.5 მლრდ ლარს მიაღწევს, რაც ჯამური ბაზრის 5.0% იქნება.
- **არაფორმალური ბაზარი** 3.3%-ით გაიზარდა 2024 წელს და ₾7.3 მილიარდს მიაღწია. ამ სახის ჯამური გაყიდვები 2018-24 წლებში საშუალოდ მხოლოდ 7.9%-ით იზრდებოდა. ეს ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება FMCG-ს დანარჩენ კომპონენტებს, რაც ნიშნავს, რომ 2018-24 წლებში იკლებდა მისი ბაზრის წილი (42.8% 2018 წელს vs 32.2% 2024 წელს) და ეს შემცირება მომავალშიც გაგრძელდება. გალტ & თაგარტის პროგნოზის მიხედვით, 2025-28 წლებში ზრდის ტემპი წლიურად 1.4% იქნება და ბაზრის ზომა 7.7 მლრდ ლარს მიაღწევს 2028 წელს. არაფორმალურ ბაზარში შედის ბაზრობები, საკუთარი მოხმარება, დაუკვირებადი ვაჭრობა და გაყიდვები სხვა ფორმატის მაღაზიებში, მაგალითად საცხოვრებელში, სარემონტო მასალების მაღაზიებში და ა.შ.

ბრენდული ქსელები

ბრენდული ქსელები 2018-24 წლებში ყველაზე სწრაფი (25.5% CAGR) ტემპით იზრდებოდნენ, რაც როგორც მათი რაოდენობის ზრდის, ასევე სწრაფი გეოგრაფიული გაფართოების შედეგია. ჩვენი მოლოდინით, ეს ზრდა გაგრძელდება და მთლიან FMCG ბაზარში ბრენდული ქსელების წილი 52.0%-ს მიაღწევს 2028 წელს (40.4% 2024 წელს). მათი ზრდით ყველაზე დიდი წნეხი ტრადიციული ფორმატის მაღაზიებს შეექმნებათ, თუმცა, ბაზრის წილს არაფორმალური ვაჭრობაც დაკარგავს.

დიაგრამა 4: FMCG სექტორის შემოსავლები სეგმენტების მიხედვით, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)



წყარო: საქსტატი, სარასი, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

წლების განმავლობაში ბრენდულმა ქსელებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს. მათ აგრესიული ექსპანსია 2017-18 წლებში დაიწყო და დღეს ბაზარზე 46 ბრენდული ქსელი ოპერირებს განსხვავებული ბიზნეს მოდელებით.


ბრენდულ ქსელებში ტოპ-5 კომპანიას ბრენდული ქსელების ბაზრის 74.9% უკავია. ეს კომპანიებია:

1. 2024 წელს **დეილი ჯგუფი** გახდა ბაზრის ლიდერი და დაიკავა საქართველოს FMCG-ს ბრენდირებული ქსელების ბაზრის 27.5%. 2024 წელს **სპარი, მაგნიტი, დეილი** და **გვირილა** გაერთიანდნენ **დეილი ჯგუფის ჰოლდინგის** ქვეშ და გახდნენ საქართველოს ბაზრის ლიდერები 27.5%-იანი წილით. უფრო კონკრეტულად, დეილი ჯგუფმა თბილისში დაიკავა მეორე ადგილი 18.7%-იანი წილით და სხვა რეგიონებში პირველი ადგილი 39.6%-ით.
 - **სპარი** ქართულ ბაზარზე უნიკალური ბიზნეს მოდელით ოპერირებს - აქვს ფრანჩიზული სტრუქტურა. ჯამურად სპარის ბრენდის ბაზრის წილი 10.4% იყო 2024 წელს.
 - **მაგნიტმა** განსხვავებული სტრატეგიით დაიმკვიდრა ადგილი FMCG ბაზარზე. მათ გაფართოება თავდაპირველად რეგიონებიდან დაიწყეს, შემდეგ კი თბილისში განაგრძეს. მაგნიტის ბაზრის წილი 9.3% იყო 2024 წელს.
 - **დეილი** ასევე რეგიონული მოთამაშეა ძირითადი ფოკუსით დასავლეთ საქართველოზე. გარკვეული პერიოდი სპარის ბრენდითაც ამუშავებდა რამდენიმე მაღაზიას, თუმცა მოგვიანებით სრულად თავის ბრენდზე გადაერთო. დეილის ბაზრის წილი 4.6% იყო 2024 წელს.
 - **გვირილა** FMCG ბაზრის ახალი ბრენდია, რომელიც 2022 წლის მე-4 კვარტალში გამოჩნდა და სწრაფად აითვისა ბაზარი 2024 წელს 3.2%-იანი ჯამური წილით.
2. **ორი ნაბიჯი** მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018-24 წლებში ბაზრის 11.6%-დან 17.0%-მდე და 2024 წელს მეორე ადგილი უკავია. ორი ნაბიჯი ოპერირებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. მას უკავია მესამე ადგილი თბილისში 18.4%-იანი წილით და მეორე ადგილი სხვა რეგიონებში 15.2%-იანი წილით. ის ძირითადად ბიუჯეტურ სეგმენტზეა კონცენტრირებული და დაბალი და საშუალო შემოსავლის მომხმარებელს იზიდავს. მისი ფორმატია დისქაუნთერი, რაც გულისხმობს ლიმიტირებულ ასორტიმენტს დაბალ ფასად.
3. **ნიკორა** 2024 წელს ბრენდული ქსელების ბაზარზე მესამე ადგილს იკავებდა 16.4%-იანი წილით. ნიკორას აქვს ძირითადად 2 ბრენდი: ნიკორა და ლიბრე. ნიკორას ბრენდის ქვეშ ოპერირებენ ნიკორას სტანდარტული ფორმატის მარკეტები და რამდენიმე ჰიპერმარკეტი - ნიკორა XL; ხოლო ლიბრეს სტრატეგიაა დისქაუნთერის ფორმატზე გადასვლა. ნიკორას ჯგუფი ბაზრის ლიდერია თბილისში 18.9%-იანი წილით და მესამე ადგილზეა რეგიონებში 13.1%-იანი წილით.
4. **კარფურმა** 2018-24 წლებში ბაზრის ლიდერის პოზიციიდან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და ორგანიზებულ მაზარზე მისი გაყიდვების წილი 2018 წლის 21.4%-დან 2024 წლის 10.0%-მდე შემცირდა. ეს კლება ძირითადად სხვა ქსელებთან შედარებით ნაკლებად აგრესიული გაფართოებით აიხსნება. კარფური, როგორც თბილისში (ბაზრის 13.0%), ასევე სხვა რეგიონებში (ბაზრის 6.0%) მეოთხე ადგილს იკავებს.
5. **აგროპაბი** პრემიუმ სეგმენტის ქსელია, ძირითადად დიდი ზომის სუპერმარკეტებით წარმოდგენილი. ეს კომპანია პრემიალური პროდუქტებით საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელს იზიდავს.

აგროჰაბს მეხუთე ადგილი ეჭირა 2024 წელს ჯამური ბაზრის 3.9%-იანი წილით, ხოლო თბილისის 5.3%-იანი წილით. აგროჰაბს აქვს 7 ჰიპერმარკეტი, აქედან მხოლოდ 1 ბათუმში, დანარჩენები თბილისში.


ბრენდული ქსელების ბაზარი ერთი შეხედვით საკმაოდ გაჯერებულია. სხვადასხვა ფოკუსის ათობით ბრენდის კონკურენცია აშკარაა, განსაკუთრებით წლიდან წლამდე ცვალებადი ტოპ 6-20 ბრენდის სიის მიხედვით, თუმცა, კონკურენციას ჯერ სრულმასშტაბიანი სახე არ მიუღია, რადგან ბრენდები ამ ეტაპზე ძირითადად სხვა მოვაჭრის ტიპების შევიწროების ხარჯზე ვითარდებიან. საშუალო და გრძელ პერიოდში ამ რესურსის ამოწურვას ველით, რაც ბაზრის მეტად კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს. შედეგად, მოსალოდნელია ბრენდებს შორის M&A გარიგებები ან/და ნაკლებად ეფექტური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა.

დიაგრამა 5: ტოპ-5 ბრენდული ქსელების ბაზრის წილი საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები




წყარო: კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 7: ტოპ-4 ბრენდული ქსელების რეგიონების ბაზრის წილები საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით



წყარო: კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 6: ტოპ-5 ბრენდული ქსელების თბილისის ბაზრის წილები საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების მიხედვით



წყარო: კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი
დიაგრამა XX: ბრენდული ქსელების შემოსავლების განაწილება თბილისისა და რეგიონებს შორის, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)


წყარო: სარასი, გალტ & თაგარტი

ბრენდულ ქსელებს ვყოფთ ოთხ ძირითად ფორმატში- სტანდარტული ტიპის მარკეტი, დისკაუნთერი, ჰიპერმარკეტ/სუპერმარკეტი და სპეციალიზირებული მაღაზიები:

- **დისკაუნთერ** ქსელები მომხმარებელს დაბალ და საშუალოფასიან პროდუქციას სთავაზობს, შესაბამისად, ძირითადი ფოკუსი დაბალ და საშუალო შემოსავლის მქონე მომხმარებელზეა გაკეთებული. ეს ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია, წლიურად საშუალოდ 41.4%-ით გაიზარდა 2018-24 წლებში და ამ პერიოდში მისი წილი მთლიან ბაზარში გაორმაგდა, რაც თანხვედრაშია გლობალურ ტრენდებთან. დისკაუნთერების სწრაფი ზრდა დააჩქარა ბოლო წლების მაღალმა ინფლაციურმა ფონმა.
- **მარკეტ** ქსელები (იგივე **სტანდარტული** უბნის მაღაზიის, ან convenience store) პრიორიტეტს ანიჭებენ სიჩქარეს და საშუალოფასიან პროდუქციას სთავაზობს მყიდველს, შესაბამისად სამიზნედ ჰყავს ურბანული, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სწრაფი შესყიდვები. ეს ფორმატი წლიურად საშუალოდ 24.2%-ით გაიზარდა 2018-24 წლებში და €2.3 მილიარდს მიაღწია 2024 წელს.
- **ჰიპერმარკეტ/სუპერმარკეტი** არის შედარებით დიდი ზომის მაღაზიები და ისინი მომხმარებლებს სთავაზობენ პროდუქციის ფართო სპექტრს, სასურსათო პროდუქტებიდან საყოფაცხოვრებო ნივთებამდე, საშუალო ფასებში და პერიოდულად ფასდაკლებებით. მთავარი ფოკუსი არის საშუალო და მაღალი ფენის მყიდველზე.
 - ჰიპერმარკეტ/სუპერმარკეტის შემოსავლები წლიურად საშუალოდ 11.6%-ით გაიზარდა 2018-24 წლებში და 2024 წელს €1.7 მილიარდს მიაღწია. ამ ფორმატს, სხვა ფორმატებთან შედევრებით დაბალი ზრდის ტემპი ქონდა, შესაბამისად ამ პერიოდში ჰიპერმარკეტ/სუპერმარკეტების წილი მთლიან ბაზარში განახევრდა (37.4% 2018-ში vs 18.5% 2024-ში).
- **სპეციალიზირებული** ქსელები ერთ ან რამდენიმე კონკრეტული სახის პროდუქტზე სპეციალიზდებიან ან სხვებთან შედარებით განსხვავებული ბიზნეს მოდელით ოპერირებენ. ეს სეგმენტი საშუალოზე დაბალი სიჩქარით იზრდებოდა 2018-24 წლებში და საგრძნობლად შემცირებული აქვს ბაზრის წილი. მათმა ჯამურმა შემოსავალმა 0.7 მილიარდი ლარი შეადგინა 2024 წელს.

კომპანიების უმეტესობა კონცენტრირებულია მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფებზე და მიზერულია ისეთი კომპანიების რაოდენობა, რომელიც რამდენიმე ფორმატში ოპერირებს. ფორმატების დივერსიფიკაცია შესაძლებელს ხდის სხვადასხვა პრეფერენციების მომხმარებლის მოზიდვას, რაც კრიტიკულია, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა არ იზრდება. რამდენიმე ფორმატში ოპერირებს ნიკორა - ლიბრე დისკაუნთერია, ნიკორა მარკეტებში გადის, ხოლო ნიკორა XL სუპერმარკეტის ფორმატია. შედარებით ნაკლებ ფორმატშია წარმოდგენილი დეილი ჯგუფი, რომლის ბრენდებიც დეილი, მაგნიტი და გვირილა **დისკაუნთერის** ფორმატში გადიან, ხოლო სპარი და იოლი, თავისი ფრენჩაიზებით, **სტანდარტული** უბნის მაღაზიის (convenience store, მარკეტი) ფორმატით არიან წარმოდგენილი.

დიაგრამა 6: ბრენდული ქსელების შემოსავლები მაღაზიის ფორმატების მიხედვით, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)




წყარო: სარასი, ც გალტ & თაგარტი

ბრენდული ქსელების აქტიური გაფართოების შედეგად, შემოსავლებში მზარდია რეგიონების წილი. რეგიონებში ქსელური მაღაზიების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, თუმცა ერთ მაღაზიაზე საშუალო შემოსავალი თბილისთან შედარებით ნაკლებია. აღნიშნული მოსახლეობის ნაკლები მსყიდველუნარიანობით, განსხვავებული ქცევით და არაფორმალური ფორმატებით აიხსნება.


ბრენდული ქსელების შემოსავლები რეგიონებში წლიურად 23.6%-ით, ხოლო თბილისში 9.3%-ით გაიზარდა 2024 წელს. შედეგად, რეგიონების წილი ბრენდული ქსელების შემოსავალში 39.2%-დან 42.2%-მდე გაიზარდა 2023-24 წლებში.

დიაგრამა 7: ბრენდული ქსელების მაღაზიების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში



წყარო: სარასი, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 8: ბრენდული ქსელების შემოსავლების განაწილება თბილისსა და რეგიონებს შორის, მლრდ ლარი (დღგ-ს ჩათვლით)




წყარო: სარასი, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

2024 წელს FMCG სექტორის შემოსავლების ზრდა ძირითადად მოთხოვნის ფაქტორით არის განპირობებული, რადგან ფასისმიერი ეფექტი მინიმალურია. ბრენდული ქსელები სხვა ფორმატებზე მაღალი ტემპით იზრდება. ამის გარდა, ბრენდული ქსელების შემოსავლების ზრდა ახალი მაღაზიების გახსნის ხარჯზე მოხდა. ახალმა მაღაზიებმა ჩაანაცვლეს ტრადიციული ფორმატის მაღაზიები და არაფორმალური ვაჭრობა.

ამასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საგრძნობლად შემცირებული იყო FMCG ინფლაცია. პირველ რიგში, ზოგადად ქვეყანაში დაკლავებული ინფლაციის გამო, მეორე რიგში FMCG ინფლაციის კლება დაკავშირებულია იმპორტირებული საქონლის ფასის კლებასთან.

დიაგრამა 9: FMCG სექტორის და ბრენდული ქსელების შემოსავლების წლიური ზრდა და FMCG ინფლაცია




წყარო: საქსტატი, სარასი, კომპანიების გამოკითხვა, გალტ & თაგარტი

ხორცპროდუქტების ბაზარი

ხორცპროდუქტების წარმოების სექტორის შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 9.0%-ით გაიზარდა და 650.9 მლნ ლარს მიაღწია. ბოლო 4 წლის განმავლობაში ბრუნვა თითქმის გაორმაგდა, რაც მიგრანტების ეფექტით გამოწვეულ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება.


ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შემოსავლები მზარდია და სექტორის ბრუნვის 40%-ზე მეტს ტოპ-3 კომპანია ქმნის ხოლო ტოპ 8 – 70.1%-ს. ყველაზე დიდი წილი ბაზარზე „ლიდერ-ფუდი“-ს (14.4%), „ნიკორა“-ს (14.2%) და „კორიდა“-ს (12.3%) უკავია. (შპს „ნიკორა“ და შპს „კორიდა“ წარმოადგენენ „ემიტენტის“ 100% შვილობილ კომპანიებს, შესაბამისად, ჯგუფის ჯამური წილი ბაზარზე 26.5%-ია). ეს ყველაფერი მიუთითებს მათ ძლიერ პოზიციებზე ბაზარზე და სექტორის კონსოლიდაციაზე.

დიაგრამა 13: ხორცპროდუქტების წარმოების
სექტორის ბრუნვა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 14: ტოპ კომპანიების წილები, ლარი, 2023



წყარო: სარასი, საქსტატი გალტ & თაგარტი


ხორცპროდუქტების მოხმარებას წლიდან წლამდე ცვალებადობა ახასიათებს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მზარდია. 2024 წლისთვის მოხმარებამ დაახლოებით 47.2 მლნ კგ-ს მიაღწია.

თვალშისაცემია ხორცპროდუქტების იმპორტის წილის ზრდა. თუ 2019–2021 წლებში იმპორტირებული პროდუქციის წილი სტაბილურად 5 ათას ტონას შეადგენდა (11.0%), 2022 წლიდან იგი მკვეთრად იზრდება — 2022 წელს 7 ათას ტონას (15.4%), 2023-ში 8 ათასს (17.5%), ხოლო 2024 წლისთვის უკვე 9 ათას ტონას აღწევს (20.0%).

მიუხედავად იმპორტის ზრდისა, ადგილობრივი წარმოება მაინც დომინანტურ პოზიციაში რჩება. 2021 წელს წარმოებამ პიკს — 40 ათას ტონას მიაღწია, ხოლო სხვა წლებში 36–38 ათას ტონის ფარგლებში მერყეობს.


მოხმარებაში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ძეხვს (40.4%) და სოსისს/სარდელს (33.6%), მესამეზეა ხორცის კონსერვი (13.4%), შემდეგ ძეხვეული (6.5%) და შაშხეული (6.1%).

დიაგრამა 15: ხორცპროდუქტების მოხმარება
საქართველოში, მლნ კგ



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

დიაგრამა 16: ხორცპროდუქტების მოხმარება
პროდუქტების მიხედვით, კგ, 2024



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი


საქართველოში ხორცპროდუქტების იმპორტის ღირებულება მზარდია, სამი წლის განმავლობაში დაახლოებით საშუალოდ 23%-ით იზრდებოდა და 2024 წელს 54.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ხორცის კონსერვის სეგმენტმა შეინარჩუნა ზრდის ტემპი და 21.5 მლნ აშშ დოლარით (ჯამურის 39.7%) ყველაზე მაღალი წილი დაიკავა. ძეხვეულის და თევზისა და ხიზილალის იმპორტი გაიზარდა \$18.3 (ჯამურის 33.7%) და 14.4 მლნ აშშ დოლარამდე (ჯამურის 26.6%).

ყველაზე მსხვილი საიმპორტო ქვეყანა არის უკრაინა, საიდანაც 2024 წელს შემოტანილია ჯამურად 11.8 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 18.8%) ღირებულების ხორცპროდუქტები. აქედან 7.0 მლნ აშშ დოლარი (59.2%) მოდის ხორცის კონსერვებზე, 3.9 მლნ აშშ დოლარი (33.2%) ძეხვზე და 0.9 მლნ აშშ დოლარი (7.6%) თევზის კონსერვზე. უკრაინის წილი განსაკუთრებით მაღალია ხორცის კონსერვის კატეგორიაში.

მეორე მსხვილი საიმპორტო ქვეყანაა რუსეთი, 8.0 მლნ აშშ დოლარის (ჯამურის 12.8%) საერთო ღირებულებით, საიდანაც 3.6 მლნ აშშ დოლარის (45.1%) ხორცის კონსერვია და 3.7 მლნ აშშ დოლარის (46.5%) თევზის კონსერვი. მიუხედავად პოლიტიკური და სავაჭრო გარემოს ცვალებადობისა, რუსეთი რჩება ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, განსაკუთრებით თევზის პროდუქციის მიმართულებით.

ესპანეთი 7.7 მლნ აშშ დოლარი (ჯამურის 12.2%) იმპორტით მესამე ადგილზეა. აქაც მთავარი კატეგორია ხორცის კონსერვია. თურქეთი, უნგრეთი და ბელარუსი შედარებით მცირე იმპორტიორები არიან საქართველოში.


დიაგრამა 17: ხორცპროდუქტების იმპორტი საქართველოში, მლნ აშშ\$




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 19: ხორცპროდუქტების იმპორტის ფასები საქართველოში, აშშ\$/კგ

დიაგრამა 18: ხორცპროდუქტების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ\$, 2024




წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ხორცპროდუქტების საცალო ფასები საქართველოში 2018-24 წლებში ცვალებადობითა და საერთო ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2018 წლიდან მოყოლებული თითქმის ყველა კატეგორიის პროდუქტზე ფასი თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ზრდა 2020 წლის შემდგომ პერიოდში. ფასების მატება განსაკუთრებით შეეხო მაღალდამუშავებულ პროდუქციას, როგორცაა თევზის კონსერვი, შებოლილი ხორცი და მომუშეული ხორცის კონსერვი. შედარებით ნაკლებად ძვირი პროდუქცია, როგორცაა მოხარშული ძეხვი და სოსისი, ასევე განიცდიდა ფასების სტაბილურ ზრდას, თუმცა რჩებოდა ყველაზე ხელმისაწვდომ სეგმენტად.

დიაგრამა 18: ხორცპროდუქტების საცალო ფასი საქართველოში, ლარი კგ-ზე



წყარო: საქსტატი


რძის პროდუქტების ბაზრის ზომა

რძის პროდუქტების წარმოების სექტორის შემოსავლები 2018-24 წლებში წლიურად საშუალოდ 14.0%-ით გაიზარდა და 2024 წელს 714.4 მლნ ლარს მიაღწია. 2022-24 წლებში შემოსავლების ზრდა დაჩქარდა, რაც ძირითადად დაკავშირებულია ეკონომიკის ზრდასთან. 2018-24 წლებში საშუალო ინფლაცია 5.4%-ს შეადგენდა

რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიების შემოსავლები მზარდია. 2023 წლის მონაცემებით, სექტორის ბრუნვის 66.7%-ს ტოპ-5 კომპანია ქმნის. ყველაზე დიდი წილი ბაზარზე შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველო“-ს (33.1%) უკავია, რომლის ძირითადი ბრენდებიც სოფლის ნობათი, რჩეული და ჩუდოა, მეორე ადგილზეა შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ 15.5%-იანი წილით და მისი ძირითადი ბრენდებია სანტე, სანტინო და სანებოა. შპს „ქართუ-უნივერსალი“ თოლიას ბრენდის ნაყინს აწარმოებს და რძის პროდუქტების ბაზრის 10.3% უკავია. შპს „ჯი და ჯი ქოფერეიშენ“ ლუკა პოლარეს ბრენდით ოპერირებს (2.6% 2023 წელს), ხოლო ნიკორას შვილობილი კომპანია შპს „ჩვენი ფერმერი“ აწარმოებს რძის პროდუქტებს „დღის პროდუქტები“-ს ბრენდის ქვეშ და ნაყინს „პალომას“ ბრენდით. ჩვენი ფერმერის ბაზრის წილი 2023 წელს 1.2%-ს შეადგენდა.


ეს ფაქტი მიუთითებს მათ ძლიერ პოზიციებზე ბაზარზე და ზოგადად რძის პროდუქტების სექტორის კონსოლიდაციაზე.

დიაგრამა 19: რძის პროდუქტების წარმოების სექტორის ბრუნვა, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი


დიაგრამა 20: რძის პროდუქტების წარმოების სექტორის ბრუნვა კომპანიების მიხედვით, ლარი, 2023



წყარო: სარასი, საქსტატი, გალტ & თაგარტი


საქართველო რძის პროდუქტების წმინდა იმპორტიორია. 2018-24 წლების განმავლობაში საქართველოში რძის წარმოება წლიდან წლამდე მერყეობდა, მაგრამ გრძელვადიანი ტრენდი არ გამოიკვეთა. იმავე პერიოდში საქართველოში რძის პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზარდა, რაც მეტწილად მიგრანტების ეფექტის და საშუალო ხელფასის ზრდის დამსახურებაა. რძისა და რძის პროდუქტების ადგილობრივი მოხმარება წლიურად საშუალოდ 2.2%-ით იზრდებოდა 2018-24 წლებში. უცვლელი წარმოებასა და გაზრდილ მოთხოვნას შორის დეფიციტი იმპორტით შეივსო და ქვეყნის რძის პროდუქტების თვითუზრუნველყოფა გაუარესდა 2018-ში 81%-დან 2024-ში 74%-მდე.

დიაგრამა 21: რძის პროდუქტების წარმოება, იმპორტი და
თვითუზრუნველყოფა, მლნ კგ



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 22: რძის პროდუქტების მოხმარება, მლნ კგ




წყარო: საქსტატი


რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ფასები გაზრდილია 2018-24 წლებში. ამ პერიოდში სხვადასხვა რძის პროდუქტის საბითუმო ფასი საშუალო წლიურად 6-12%-ით იზრდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო 2021-22 წლები, როდესაც რძის პროდუქტების უმეტესობის (განსაკუთრებით იოგურტის და კარაქის) ფასები ძალიან სწრაფად გაიზარდა. მსგავს ტრენდს ვხედავთ რძის პროდუქტების საიმპორტო ფასებშიც. იმპორტის ფასის მატება ნაწილობრივ უკავშირდებოდა გლობალურ რძის პროდუქტების ბაზარზე მოვლენებს. უფრო კონკრეტულად, რეგიონში მიწოდების მხარეს პრობლემები შექმნა რუსეთ-უკრაინის ომმა, რადგან უკრაინა ერთ-ერთი მსხვილი რძის პროდუქტების მწარმოებელი იყო. ამის გარდა 2021-22 წლებში ევროპაში წარმოება შემცირდა არახელსაყრელი ჰავისა და მომატებული ხარჯების (საწვავის, სასუქის, ცხოველის საკვების) გამო. რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების საბითუმო ფასის მატება ძირითადად იხსნება წარმოების ხარჯების მატებით, ადგილობრივი მოთხოვნის ზრდით და საიმპორტო ფასების მატებით.

დიაგრამა 23: რძის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების ფასები, ლარი/კგ




დიაგრამა 24: რძის პროდუქტების იმპორტის ფასები, ლარი/კგ



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


დიაგრამა 25: რძის პროდუქტების საცალო ფასი საქართველოში, ლარი კგ-ზე



წყარო: საქსტატი


რძის პროდუქტების მეორადი წარმოების საერთო ღირებულება იზრდებოდა წლიურად საშუალოდ 11.6%-ით 2018-24 წლებში და 2024 წელს 571 მლნ ლარს მიაღწია. მეორადი წარმოების საერთო ღირებულების ზრდა მოხდა როგორც ფასების მატების ასევე წარმოების რაოდენობის ზრდის ხარჯზე. 2022-23 წლებში წარმოების ღირებულება განსაკუთრებით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ მიგრანტების ეფექტს უკავშირდება. 2024 წელს მეორადი რძის პროდუქტების წარმოების 26.0%-ს შეადგენდა ნაყინის წარმოება, 18.8%-ს ყველი და 12.8%-ს მანონი.

დიაგრამა 26: რძის პროდუქტების წარმოება, მლნ ლარი



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27: რძის პროდუქტების წარმოება პროდუქტების მიხედვით, ლარი, 2024




წყარო: საქსტატი

რძის პროდუქტების იმპორტის ღირებულება წლიურად საშუალოდ 12.4%-ით იზრდებოდა 2018-24 წლებში და 2024 წელს 137.9 მლნ აშშ\$-ს მიაღწია. იმპორტის ღირებულების ზრდა მოხდა როგორც ფასის, ასევე იმპორტის რაოდენობის ზრდის ხარჯზე. 2022-23 წლებში იმპორტის ღირებულება განსაკუთრებით გაიზარდა, რაც მიგრანტების ევექტს უკავშირდება.


2024 წელს რძის პროდუქტების იმპორტის ღირებულების 15.1% ბელარუსიდან, 12.4% საფრანგეთიდან და 8.3% თურქეთიდან შემოვიდა. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე უკრაინას ეკავა პირველი ადგილი იმპორტის 19.9%-ით 2021-ში მაგრამ ომის შემდგომ 3.5%-ამდე ჩამოვარდა მისი წილი 2024-ში.

დიაგრამა 28: რძის პროდუქტების იმპორტი, მლნ აშშ\$



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 29: რძის პროდუქტების იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აშშ\$, 2024



წყარო: საქსტატი

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2024 და 2023 სრული წლების აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში მოცემულ სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

„ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 და 2023 წლებისათვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ისტორიული ღირებულების საფუძველზე გარდა რეალური ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების ქვეჯგუფის მიწისა და შენობებისა.

2024 და 2023 წლების აუდიტირებული დასკვნა **პირობითია**. პირობითი მოსაზრების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო გუდვილი საბალანსო ღირებულებით 43,618 ათასი ლარი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ „კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების“ მიმოსილვასთან.

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას „ჯგუფში“ შემავალი 15 მოქმედი შვილობილისთვის. სს ნიკორა 100%-იანი წილის მფლობელია თითქმის ყველა კომპანიაში, გამონაკლისებია: სს „ნიკორა ტრეიდი“ (97%), შპს ვაკიჯვრის კალმახი (94%), შპს „ნიკორა ბაკურიანი“ (50%), შპს „მილა საქართველო“ (50%), შპს „მზარეული 1“ (80%), შპს „რეფ ელ“ (50%). ჯგუფი სრულად აკონტროლებს ყველა შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
ამონაგები	1,451,046	1,295,207
გაყიდვების თვითღირებულება	(1,031,193)	(915,309)
საერთო მოგება	419,853	379,898
სხვა შემოსავალი	1,484	1,084
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(306,407)	(251,172)
ადმინისტრაციული ხარჯები	(47,408)	(41,987)
სხვა მოგება ნეტო	3,851	1,213
მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიებისგან მიღებული მოგების წილი	119	360
ფინანსური შემოსავალი	1,592	2,301
ფინანსური ხარჯები	(29,419)	(25,747)
ზარალი საკუთრივ სხვაობიდან ნეტო	(7,551)	(1,384)
მოგება დაბეგვრამდე	36,114	64,566
მოგების გადასახადის ხარჯი	(2,591)	(2,134)
მიმდინარე წლის მოგება	33,523	62,432
სხვა სრული შემოსავალი		
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგება/ზარალში</i>		
ძირითადი საშუალებების აფასება	7,001	10,767
სულ სხვა სრული შემოსავალი	7,001	10,767
წლის სრული შემოსავალი	40,524	73,199
მიმდინარე წლის შემოსავალი მიკუთვნებული		
– მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე	32,872	61,162
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	651	1,270
წლის სრული შემოსავალი მიკუთვნებული		
– მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე	39,427	71,862
– არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	1,097	1,337

ამონაგები

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
საკვები	743,737	704,061
არასაკვები	560,835	463,666
სულ საცალო	1,304,572	1,167,727
საკვები	146,409	127,443
არასაკვები	-	8
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	9	1
სხვა	56	28
სულ საბითუმო	146,474	127,480
სულ	1,451,046	1,295,207

შემოსავლების ძირითადი ნაწილი მოიცავს საცალო რეალიზაციებს, რაც 2024 წლის მდგომარეობით, სრული შემოსავლის 89.9%-ს შეადგენდა (2023: 90.2%).

პროდუქციის ჭრილში, 2024 წლის მდგომარეობით, ჯამური შემოსავლის უდიდეს ნაწილს - 61.3%-ს წარმოადგენდა (2023: 64.2%) საკვები პროდუქტები. აღსანიშნავია, რომ ნომინალში, საკვები პროდუქციის გაყიდვები 7.1%-ით არის გაზრდილი და 2024 წელს 890,146 ლარი შეადგინა (2023: 831,504 ათასი ლარი), ხოლო არასაკვები პროდუქტის რეალიზაცია 21.0%-ით გაიზარდა და 560,835 ათასი ლარი შეადგინა (2023: 463,674). პროდუქციის ორივე კატეგორიაში ზრდის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ არასაკვები პროდუქციის გაყიდვების წილი იზრდება ჯამურ შემოსავლებში.

შემოსავლების ჩაშლა საოპერაციო სეგმენტების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
საცალო რეალიზაცია	1,304,266	1,169,278
წარმოება	189,792	187,232
იმპორტი და დისტრიბუცია	394,993	340,284
სხვა	2,816	2,866
სულ სეგმენტი	1,891,867	1,699,660
მიკუთვნების გარეშე	3	10
ელიმინაცია	(440,824)	(404,463)
კონს. ამონაგები	1,451,046	1,295,207

კომპანიის ყველაზე მასშტაბურ სეგმენტს წარმოადგენს საცალო რეალიზაცია, რომელიც წლიდან წლამდე მზარდია და 2024 წელს ელიმინაციამდე შემოსავლების 69%-ს შეადგენდა (აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 62%-ს შეადგენდა). ჯგუფის წარმოების სეგმენტის შემოსავალი, 2023 წელს 187,232 ათასი ლარიდან, 2024 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა და 189,792 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წელს მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა იმპორტისა და დისტრიბუციის სეგმენტმა, რომლის ნომინალში 394,993 ათასი ლარი, ხოლო ზრდის მაჩვენებელმა 16.1% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი აჭარბებს ამავე პერიოდში ელიმინაციებამდე ჯამური შემოსავლის 11.3% ზრდას, რაც ამ საოპერაციო სეგმენტის მზარდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

2023 წელს კომპანიის შემოსავლები მნიშვნელოვნად 27.9%-ით გაიზარდა და 1,295,207 ათასი ლარი შეადგინა. კომპანიის ჯამურმა შემოსავლებმა 2024 წლის მდგომარეობით 1,451,046 ათასი ლარი შეადგინა, რაც 12.0%-ით მეტია წინა წლის

მაჩვენებელთან შედარებით. აშნიშნული მეტწილად გამოწვეულია „კომპანიის“ გაფართოების სტრატეგიით, კერძოდ 2023 წელს კომპანიის საცალო ქსელს 113 სავაჭრო ობიექტი დაემატა, ხოლო 2024 წელს 55.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელი იყო ექსტრაორდინარულად კარგი წელი კომპანიისთვის, გამოწვეული უმთავრესად მიგრანტების შემოდიანებით და მეორეს მხრივ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდით.

2024-ში ამონაგების შემცირებული ზრდა ერთის მხრივ განპირობებული იყო FMCG სექტორის შემოსვლების უფრო ნაკლები პროცენტულობით ზრდით, ვიდრე 2023-ში. მეორეს მხრივ კომპანიას 2024-ის მეოთხე კვარტალში ქონდა საოპერაციო შეფერხებები ახალ ERP სისტემაზე გადასვლის პროცესში, რამაც გამოიწვია მე-4 კვარტალში დაგეგმილი შემოსავლების დანაკლისით შესრულება.

გაყიდვების თვითღირებულება და საერთო მოგების მარჟა

რეალიზაციის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილი არის გადასაყიდი საქონლის ღირებულება, რომელსაც აკლდება ქეშბეკები.

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
გაყიდული პროდუქტი	(1,000,325)	(887,970)
დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტი	(30,868)	(27,339)
სულ	(1,031,193)	(915,309)

კომპანიის გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტების ხარჯსაც. 2024 წლის მდგომარეობით დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტების ხარჯის ფარდობა გაყიდული პროდუქტის თვითღირებულებასთან სტაბილურად ნარჩუნდება ჯამური გაყიდვების თვითღირებულების 3.0% ნიშნულზე. თუმცა, 2023 წელს ეს მაჩვენებელი 0.7% საპროცენტო პუნქტითაა გაზრდილი (2022 წლის დანაკლისი და ვადაგასული პროდუქტების ხარჯის ფარდობა გაყიდული პროდუქტის თვითღირებულებასთან - 2.3%).

2024 წელს, კომპანიის გაყიდვების თვითღირებულება წინა წელთან შედარებით გაზრდილია 12.7%-ით (115,884 ათასი ლარით) და შეადგინა 1,031,193 ათასი ლარი. ზრდა მეტწილად განპირობებულია შემოსავლების ზრდით, თუმცა უმნიშვნელო შემცირება შეინიშნება საერთო მოგების მარჟაში. დეტალური ცხრილი საერთო მოგებისა და საერთო მარჟის შესახებ იხიდელოთ ქვემოთ:

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
ამონაგები	1,451,046	1,295,207
გაყიდვების თვითღირებულება	(1,031,193)	(915,309)
საერთო მოგება	419,853	379,898
საერთო მოგების მარჟა	28.9%	29.3%

საერთო მოგება 2024 წლის მდგომარეობით 10.5%-ით არის გაზრდილი და შეადგინა 419,853 ათასი ლარი (2023: 379,898 ათასი ლარი). თუმცა, საერთო მოგების მარჟა 2024 წელს უმნიშვნელოდ, 0.4% პროცენტული პუნქტით შემცირდა და 28.9% შეადგინა (2023: 29.3%). 2023 წელს, ზემოთხსენებული ზრდებიდან გამომდინარე, საერთო მოგება 27.0%-ით გაიზარდა და 379,898 ათასი ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ასევე ჩანს უმნიშვნელო, 0.2% პროცენტული პუნქტით

შემცირება საერთო მოგების მარჟაში. საერთო მარჟის მცირე, თუმცა აქტუალური შემცირება, გამოწვეული ერთმხრივ ხარჯების ინფლაციური ზრდით, ხოლო მეორეს მხრივ გამმაფრებული კონკურენციით ორგანიზებულ სავაჭრო ქსელებს შორის, ვინაიდან მომხმარებლების მოსაზიდად და გაყიდვების გასაზრდელად, მოვაჭრეებს მეტი ფასდაკლებების გაკეთება უწევთ.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები უმეტესწილად მოიცავს „კომპანიის“ უძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ საიჯარო შემოსავლებს. პროსპექტში განხილული პერიოდების განმავლობაში სხვა შემოსავლები კომპანიის ამონაგების 0.1%-ის დიაპაზონშია.

გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
თანამშრომელთა ხელფასი	(160,104)	(126,488)
ცვეთა და ამორტიზაცია	(55,781)	(46,674)
კომუნალური ხარჯი	(30,304)	(29,051)
დისტრიბუცია	(12,433)	(11,332)
მარკეტინგის ხარჯი	(7,149)	(5,288)
იჯარა	(13,641)	(11,914)
რემონტი	(3,650)	(3,961)
სხვა	(23,345)	(16,464)
სულ	(306,407)	(251,172)

კომპანიის მასშტაბების გაფართოვებასთან ერთად, ბუნებრივად იზრდება გაყიდვების და მიწოდების ხარჯები. ჯამური გაყიდვების და მიწოდების ხარჯები 2024 წელს 22.0%-ით გაიზარდა და 306,407 ათასი ლარი შეადგინა (2023: 251,172). რაც შეეხება აღნიშნული ხარჯების ამონაგებთან შეფარდებას, 2024 წლის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელმა 21.1% შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 1.7 პროცენტული პუნქტის ზრდას წარმოადგენს (2023: 19.4%). აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური ხარჯების კატეგორიები მეტწილად სტაბილურ დონეზე ნარჩუნდება შემოსავალთან შეფარდებით. ზრდა მეტწილად გამოწვეულია თანამშრომელთა ხელფასების და სხვა ხარჯებით.

კომპანიის საცალო მაღაზიების ფართო ქსელიდან გამომდინარე, გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯების ყველაზე მოცულობითი კომპონენტია თანამშრომელთა ანაზღაურება. 2023 წლის მდგომარეობით, თანამშრომელთა ანაზღაურება 126,488 ათას ლარს შეადგენდა (შემოსავლებით 9.8%), ხოლო 2024 წლის მდგომარეობით 33,616 ათასი ლარით გაიზარდა და 160,104 ათასი ლარი შეადგინა (შემოსავლების 11.0%). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია როგორც თანამშრომელთა რაოდენობის, ასევე თანამშრომელთა საშუალო ანაზღაურების ზრდით. საქართველოს შრომით ბაზარზე მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაბამისი ზრდა განხორციელდა ხელფასებში, პოზიციებზე კონკურენტული ანაზღაურების შენარჩუნების მიზნით.

სხვა კატეგორია მოიცავს ხარჯებს როგორებიცაა ტერმინალების საკომისიო, დაცვის ხარჯი, საბანკო მომსახურება, სალარო აპარატების მომსახურება, სასაწყობო მომსახურება და სხვა. 2024 წლის მდგომარეობით სხვა ხარჯები 41.8%-ით გაიზარდა და 23,345 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეული იყო ტერმინალების საკომისიოსა და სასაწყობო მომსახურების ხარჯების ზრდით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
თანამშრომელთა ხელფასი	(26,830)	(25,512)
ცვეთა და ამორტიზაცია	(6,655)	(5,925)
საგადასახადო ხარჯი	(6,234)	(4,723)
საოფისე ხარჯი	(1,274)	(917)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	(1,425)	(978)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	(637)	(423)
სხვა	(4,353)	(3,509)
სულ	(47,408)	(41,987)

2024 წელს, კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია 12.9%-ით (5,421 ათასი ლარით) და შეადგენს 47,408 ათას ლარს (2023: 41,987). პერიოდის განმავლობაში ზრდა მეტწილად განპირობებულია თანამშრომელთა ხელფასის 1,318 ათასი ლარითა და საგადასახადო ხარჯის 1,511 ათასი ლარით ზრდით. თუმცა, აღსანიშნავია რომ ჯამური ზრდა მნიშვნელოვნად არ აჭარბებს ამონაგების ზრდას - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შეფარდება ჯამურ შემოსავლებთან, სტაბილურად, 3.2%-3.3% ფარგლებში ნარჩუნდება.

EBIT და EBITDA

	2024	2023
(ათასი ლარი)		
ამონაგები	1,451,046	1,295,207
EBIT	68,320	89,429
<i>EBIT მარჟა</i>	<i>4.7%</i>	<i>6.9%</i>
ცვეთა და ამორტიზაცია	66,410	55,835
EBITDA	134,730	145,264
<i>EBITDA მარჟა</i>	<i>9.3%</i>	<i>11.2%</i>

2024 წლის მდგომარეობით EBIT-მა 68,320 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 23.6% შემცირებას წარმოადგენს (2023: 89,429 ათასი ლარი). აღნიშნული შემცირება მეტწილად გამოწვეულია ამონაგების დაგეგმილზე მცირე ზრდით და გაყიდვებისა და მიწოდების ხარჯების ზრდით (რაც დეტალურად აღწერილია შესაბამის ქვეთავებში), აგრეთვე საერთო მოგების მარჟის უმნიშვნელო, 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირებით.

2024 წლის EBITDA-მ 134,730 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 7.3% შემცირებას წარმოადგენს (2023 EBITDA: 145,264). აღნიშნული შემცირება ბუნებრივად გამოწვეულია EBIT-ის შემცირებით, რაც ნაწილობრივ დააბალანსა ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯის ზრდამ, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია კომპანიის გაფართოებით და ძირითადი საშუალებების მატებით.

ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

2024 წელს, კომპანიის ფინანსური შემოსავლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 30.8%-ით და შეადგენს 1,592 ათას ლარს (2023: 2,301 ათასი ლარი). ფინანსური შემოსავლები მოიცავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე დარიცხულ და გასესხებულ თანხებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს. ფინანსური შემოსავლების შემცირება აიხსნება საბანკო დეპოზიტების შემცირებით. კერძოდ, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე არსებული ფული 38,419 ათას ლარს შეადგენდა. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული 19,164 ათას ლარამდე შემცირდა, ხოლო 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით უმნიშვნელოდ გაიზარდა და 19,909 შეადგინა.

ფინანსური ხარჯები გაზრდილია 14.3%-ით და შეადგენს 29,419 ათას ლარს (2023: 25,747 ათასი ლარი). ფინანსური ხარჯები წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს, რომელთა ზრდა განპირობებულია კომპანიის მიერ მიერ სასესხო ვალდებულებებისა და საიჯარო ვალდებულებების ზრდით. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სესხები და საიჯარო ვალდებულებები შეადგენდნენ 131,325 ათას ლარს და 143,700 ათას ლარს, შესაბამისად. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სესხები 207,059 ათას ლარს შეადგენდნენ, ხოლო საიჯარო ვალდებულებები, 163,301 ათას ლარს. კომპანიის საიჯარო ვალდებულებების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები“, ხოლო კომპანიის სესხების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“


მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დოლარის კურსი გაუტოლდა 2.8068-ს (2023 წლის 31 დეკემბერი: 2. 2.6894), აღნიშნული კურსთაშორისი ცვლილების გამო კომპანიამ 7,551 ათასი ლარის ზარალი მიიღო (2023 საკურსო სხვაობის ზარალი: 1,384).

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
გუდვილი	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	303,113	237,723
აქტივების გამოყენების უფლება	160,974	146,552
არამატერიალური აქტივები	10,754	7,089
ბიოლოგიური აქტივები	1,208	1,361
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა	10,351	7,482
გრძელვადიანი აქტივები		
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში	119	8,453
სულ გრძელვადიანი აქტივები	530,137	452,278
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	211,979	167,197
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52,352	37,916
ერთობლივად კონტროლირებად კომპანიაზე გაცემული სესხები	-	325
ფული და ფულის ექვივალენტები	21,640	20,814
სულ მოკლევადიანი აქტივები	285,971	226,252
სულ აქტივები	816,108	678,530
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	22,702	21,620
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)
გადაფასების რეზერვი	36,858	34,545
დაგროვილი მოგება	154,108	132,960
არამაკონტროლებელი წილი	7,225	4,015
სულ საკუთარი კაპიტალი	226,947	199,194
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	136,414	78,285
საიჯარო ვალდებულებები	129,031	110,895
გადავადებული შემოსავალი	2,537	2,537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	267,982	191,717
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	216,264	201,774
სესხები	70,645	53,040
საიჯარო ვალდებულებები	34,270	32,805
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	321,179	287,619
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	816,108	678,530

მთლიანი აქტივები



2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური აქტივები შეადგენს 816,108 ათას ლარს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 20.3%-ით (2023 აქტივები: 678,530 ათასი ლარი). გრძელვადიანი აქტივების წილი ჯამურ აქტივებში 65.0%-ია (2023: 66.7%) ხოლო მოკლევადიანის - 35.0% (2023: 33.3%). ზრდის ძირითადი განმაპირობებელია ძირითადი საშუალებებისა და მარაგების ზრდა, რაც კომპანიის გაფართოების სტრატეგიას შეესაბამება.

ძირითადი საშუალებები

„კომპანიის“ უმსხვილესი აქტივია ძირითადი საშუალებები, რომელიც 2024 წლის მდგომარეობით მთლიანი აქტივების 37.1%-ს შეადგენს (2023: 35.0%).

ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას, შენობებს, მანქანა დანადგარებს, ავეჯს, საოფისე და სხვა აღჭურვილობას, ქონების გაუმჯობესებას, ტრანსპორტს, მრავალწლიანი ნარგავებსა და მიმდინარე მშენებლობას. ფინანსურ ანგარიშგებაში მიწა და შენობები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. სხვა ძირითადი საშუალებები კი აღრიცხულია თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 27.5%-ით (65,390 ათასი ლარით) და შეადგინა 303,113 ათასი ლარი (2023: 237,723). ზრდა გამოწვეულია ახალი ხორცპროდუქტების ქარხნის მშენებლობით, ლოგისტიკური ცენტრისთვის მიწის შეძენითა და ახალი მაღაზიების გახსნით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე პროსპექტის თავი „ინვესტიციები“.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 246,283 ათასი ლარის აქტივები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას. 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შენობები, მიწები, მანქანა დანადგარები, ტრანსპორტი, საოფისე აღჭურვილობა სრულად წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად მაღაზიებსა და საწყობებში არსებულ გასაყიდ პროდუქციას მოიცავს.

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
საქონელი	190,745	147,026
დაუმთავრებელი წარმოება	1,231	1,358
ნედლეული და სხვა მარაგები	20,003	18,813
სულ	211,979	167,197

კომპანიის მარაგები მოიცავს მზა საქონელს, დაუმთავრებელ წარმოებას და ნედლეულსა და სხვა მარაგებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების უდიდესი ნაწილი, 90% უჭირავს საქონელს (2023: 87.9%).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგები ჯამურად შეადგენდა 211,979 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 26.8% ზრდას წარმოადგენს (2023 მარაგები: 167,197 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა ნაწილობრივ გამოწვეულია კომპანიის მასშტაბებისა და რეალიზაციის ზრდით. თუმცა, ასევე აღსანიშნავია რომ 2024 წლის განმავლობაში 8.1-ით გაზრდილია მარაგების ბრუნვის დღეები და 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 67.1-ს შეადგენდა (2023 DIO: 59.0). მარაგების დღეების ზრდა მეტწილად აიხსნება მეოთხე კვარტალში ახალ ERP სისტემაზე გადასვლის პერიოდში წარმოშობილი შეფერხებების შედეგად დაგეგმილზე ნაკლები გაყიდვებით;

გუდვილი

„კომპანიის“ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო გუდვილი საბალანსო ღირებულებით 43,618 ათასი.

შპს „ნუგეშის“ შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის. აუდიტორებმა ვერ შეძლეს მოეპოვებინათ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შპს ნუგეშის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის თარიღისთვის, შესაბამისად, ვერ დარწმუნდნენ საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი კომპანიის ძირითადი საშუალებების, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით შეძენის თარიღისთვის.

ხელმძღვანელობა გუდვილის გაუფასურების ტესტირებას ატარებს ყოველწლიურად. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილ

პერიოდში, რომელიც გაანგარიშებულია ხელმძღვანელობის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 52,820 ათას ლარს (2023 – 52,430 ათასი ლარი).

2024 და 2023 წლების, ისევე როგორც წინა წლების, აუდიტირებული დასკვნა მოდიფიცირებულია. მოდიფიცირების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
სავაჭრო მოთხოვნები	37,052	27,264
გაუფასურების რეზერვი	-451	-375
წმინდა ფინანსური აქტივები	36,601	26,889
გაუფასურების რეზერვი ავანსებზე	-72	-58
წინასწარ გადახდილი გადასახადები	3,700	1,459
სხვა მოთხოვნები და ავანსები	12,123	9,626
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	52,352	37,916

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 52,352 ათას ლარს, ხოლო პროცენტულად აქტივების 6.4%- შეადგენდა (2023: 5.6%). ჯამური მოთხოვნების ზრდა მეტწილად სავაჭრო მოთხოვნების ზრდით არის გამოწვეული, რომელიც 2023 წლიდან 35.9%-ით გაიზარდა და 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 37,052 ათას ლარს შეადგენდა (2023: 27,264 ათასი ლარი). ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი შემოსავლების ზრდაა. ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეების (DSO) ზრდა, რომელიც 2024 წელს 1.4 დღით გაიზარდა და 11.4 შეადგინა (2023 DSO: 10.0).

სავაჭრო მოთხოვნები უმეტესწილად საბითუმო კლიენტებთან არის დაკავშირებული. სხვა მოთხოვნები და ავანსები უმეტესად მოიცავს უცხოურ მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნები სრულად წარმოადგენს მიღებული სესხების უზრუნველყოფას.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანია ფულის და ფულის ექვივალენტების უმეტეს ნაწილს ეროვნულ ვალუტაში ინახავს, იხილეთ ცხრილი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	19,830	19,148
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	79	16
ნაღდი ფული	1,731	1,650
სულ	21,640	20,814

მთლიანი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური ვალდებულებები შეადგენს 589,161 ათას ლარს და წინა წლის ბოლოდან გაზრდილია 22.9%-ით (2023: 479,336 ათასი ლარი). ზრდა მეტწილად გამოწვეულია სესხებითა და საიჯარო ვალდებულებებით. მოცემული პერიოდისთვის გრძელვადიანი ვალდებულებების წილი ჯამურ ვალდებულებებში 45.5% ხოლო მოკლევადიანის 54.5%-ია, 2023 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენდა 40.0% და 60.0%-ს, შესაბამისად.

სესხები

ნასესხები სახსრების ჩაშლა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	75,476	43,065
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	938	485
ობლიგაციები	60,000	34,735
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	136,414	78,285
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	34,149	16,845
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	-	106
სესხები დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული პროცენტით	88	88
ობლიგაციები	36,408	36,001
სესხების მიმდინარე ნაწილი	70,645	53,040
სულ სესხები	207,059	131,325

ნასესხები სახსრების მოძრაობა წარდმოგენილია ცხრილში:

	2024	2023
(ათასი ლარი)	აუდიტირებული	აუდიტირებული
1 იანვარი	131,325	125,659
სესხების აღება	308,302	180,765
ობლიგაციების გამოშვება	59,755	-
სესხების დაფარვა	(258,833)	(176,179)
ობლიგაციების გადახდა	(35,000)	-
საპროცენტო ხარჯი (განეტებულია 1,109 (759 2023 წლისათვის) ათასი ლარის ოდენობის სახელმწიფო დაფინანსებით)	16,385	14,753
პროცენტის დაფარვა	(15,639)	(14,461)
პროცენტის კაპიტალიზაცია	386	153
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	378	635
31 დეკემბერი	207,059	131,325

ობლიგაციები და სესხები წარმოადგენს „კომპანიის“ ჯამური ვალდებულებების 35.1%-ს 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით და 27.4%-ს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის ბოლო მდგომარეობითგამოშვებული ობლიგაციების ბალანსი შეადგენდა 96,408 ათას ლარს (2023: 70,736 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში კომპანიის შვილობილმა „ნიკორა ტრეიდმა“ დაფარა 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები (ISIN: GE2700604061) და გამოუშვა 60 მლნ ნომინალური ღირებულების ობლიგაციები, დაფარვის ვადით 2029 წლის 17 ოქტომბერი (ISIN: GE2700604921). 2023 წელს კომპანიის მიერ ობლიგაციების გამოშვება ან დაფარვა არ მომხდარა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სესხები შეადგენდა 110,563 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 82.7% ზრდას წარმოადგენს (2023 საბანკო სესხები: 60,501 ათასი ლარი). კომპანია სესხებს კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ინვესტიციები“.

2024 და 2023 წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას.

კომპანიის სესხებისა და ობლიგაციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილი მაღაზიების და სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარის სახელშეკრულებო პერიოდი მოიცავს 2-12 წლამდე პერიოდს. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს გაგრძელების უფლების გამოყენებას იმ ფართების შემთხვევაში, რომელიც ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის მომტანია და მოქმედებს წარსული გამოცდილების საფუძველზე. ჯგუფი იჯარის ვადას გადახდავს ყოველი პერიოდის ბოლოს და მსჯელობის საფუძველზე აფასებს იჯარის დარჩენილ ვადას. იჯარის გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით.

ჯგუფს არ გააჩნია იჯარის ხელშეკრულებების მსგავსი პირობებით მიღებული სესხები მიმდინარე ან შესადარის პერიოდში. სესხის პროცენტის განსაზღვრისთვის გამოიყენა დაკვირვებადი საბაზრო მონაცემები მსგავსი სექტორისთვის. ზღვრული სასესხო განაკვეთი შეადგენს 11.21 % - 14.00 % ლარში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხოლო დოლარის ხელშეკრულებების შემთხვევაში 7.00% - 9.00%.

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას:

	2024	2023
	აუდიტირებული	აუდიტირებული
1 იანვარი	146,552	118,196
შემოსვლა	41,489	51,425
ცვეთა	(30,645)	(26,050)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	4,846	3,360
შეწყვეტა	(1,268)	(379)
31 დეკემბერი	160,974	146,552

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების გამოყენების უფლება შეადგენდა 160,974 ათას ლარს, ხოლო პროცენტულად აქტივების 19.7%. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებლები შეადგენდა 146,552 ათას ლარს და 21.6%-ს შესაბამისად.

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას:

	2024	2023
	აუდიტირებული	აუდიტირებული
1 იანვარი	143,700	114,446
შემოსვლა	41,489	51,425
საპროცენტო ხარჯი	13,033	10,967
გადახდა	(44,562)	(36,335)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	6,054	173
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	4,846	3,360
შეწყვეტა	(1,259)	(336)
31 დეკემბერი	163,301	143,700

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საიჯარო ვალდებულებები შეადგენდა 163,301 ათას ლარს, ხოლო პროცენტულად, ვალდებულებების 27.7%-ს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეს მაჩვენებლები შეადგენდა 143,700 ათას ლარს და 30.0%-ს შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საბაზო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. შედეგად, სავაჭრო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სს ნიკორას საბალანსო სტრუქტურა იმეორებს აღნიშნულ მოდელს. აღსანიშნავია, რომ კომპანიის გაფართოებასთან ერთად მისი სავაჭრო ვალდებულებები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 7.2%-ით და შეადგინა 216,264 ათასი ლარი (2023: 201,774). 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიის ჯამური ვალდებულებების 36.7%-ს შეადგენს (2023: 41.1%).

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO) 2024 და 2023 წლის ბოლოსთვის შესაბამისად 74.0 და 73.4 დღეა.

მთლიანი კაპიტალი

სს “ნიკორას”, სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (2023: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 160 და 160 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას გამოსყიდული ქონდა 417 ათასი (2023: 417 ათასი) საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 417 ათასი ლარი (2023: 417 ათასი). საკუთარი აქციების გამოსყიდვის/ხელახალი გაყიდვის დროს გადახდილ/მიღებულ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გამოსყიდეს/გაყიდეს აქციები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 226,947 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით 13.9% ზრდას მოიაზრებს (2023: 199,194 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა უმეტესად შესაბამისი პერიოდის მოგებით არის გამოწვეული.

2024 წელს კომპანიამ განაცხადა 12,742 ათასი ლარი (გადახდილი: 14,773 ათასი ლარი) დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე და 1,452 ათასი ლარი (გადახდილი: 407 ათასი ლარი) დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე.

2023 წელს კომპანიამ განაცხადა 10,707 ათასი ლარი (გადახდილი: 12,059 ათასი ლარი) დივიდენდი ჩვეულებრივ აქციებზე და 1,269 ათასი ლარი (გადახდილი: 266 ათასი ლარი) დივიდენდი პრივილეგირებულ აქციებზე.

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ათასი ლარი)	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	სახაზი ნო აქციები	გადაფასების რეზერვები	დაგროვილი მოგება	სულ სათაო კომპანიის მფლობელების	არამაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	6,471	19,546	(501)	24,081	76,562	126,159	3,794	129,953
წლის მოგება	-	-	-	-	61,162	61,162	1,270	62,432
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	10,700	-	10,700	67	10,767
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(216)	216	-	-	-
ოპერაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	(20)	2,031	2,011	(1,029)	982
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(10,707)	(10,707)	-	(10,707)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(1,269)	(1,269)	-	(1,269)
დივიდენდი არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-	-	-	-	-	-	(87)	(87)
აქციების გაყიდვა პრივილეგირებული	-	2,279	-	-	-	2,279	-	2,279
აქციების გამოსყიდვა პრივილეგირებული	-	(205)	-	-	-	(205)	-	(205)
სახაზინო აქციების გაყიდვა	-	-	84	-	4,965	5,049	-	5,049
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	6,471	21,620	(417)	34,545	132,960	195,179	4,015	199,194
წლის მოგება	-	-	-	-	32,872	32,872	651	33,523
მიწების, შენობების და გრძელვადიანი ნარგავების გადაფასება	-	-	-	6,555	-	6,555	446	7,001
რეალიზებული აქტივის რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	(4,242)	4,242	-	-	-
ოპერაციები არამაკონტროლებელ წილთან	-	-	-	-	(1,772)	(1,772)	2,528	756
დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	-	(12,742)	(12,742)	-	(12,742)
დივიდენდი პრივილეგირებულ აქციაზე	-	-	-	-	(1,452)	(1,452)	-	(1,452)
დივიდენდი არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	-	-	-	-	-	-	(415)	(415)
აქციების გაყიდვა პრივილეგირებული	-	1,766	-	-	-	1,766	-	1,766

აქციების გამოსყიდვა პრივილეგირებული	-	(684)	-	-	-	(684)	-	(684)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	6,471	22,702	(417)	36,858	154,108	219,722	7,225	226,947
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება								
	2024					2023		
<i>(ათასი ლარი)</i>	<i>აუდიტირებული</i>					<i>აუდიტირებული</i>		
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან								
მოგება დაბეგვრამდე	36,114					64,566		
კორექტირებები:								
ცვეთა და ამორტიზაცია	66,410					55,835		
ფინანსური ხარჯი	29,419					25,747		
მარაგების გაუფასურება	30,867					28,047		
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	7,551					1,384		
ზარალი ბიოლოგიური ტრანსფორმაციიდან	(2,212)					(1,922)		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	97					134		
ზარალი/(მოგება) ძირითადი საშუალების გასვლიდან	(3,163)					33		
საპროცენტო შემოსავალი	(1,592)					(2,301)		
ცვლილება სამუშაო კაპიტალში								
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(14,527)					(5,182)		
მარაგების ზრდა	(73,438)					(64,507)		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	19,236					34,912		
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	94,762					136,746		
გადახდილი პროცენტები	(28,672)					(25,428)		
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,305)					(1,911)		
მიღებული პროცენტები	1,550					2,307		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	65,335					111,714		
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან								
ძირითადი საშუალებების შეძენა	(114,735)					(96,454)		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,356)					(1,614)		
ძირითადი საშუალებების გასვლა	17,644					694		
სესხის გაცემა	(200)					(1,147)		
გაცემული სესხებიდან მიღებული ფული	525					822		
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვა	1,612					1,222		
მეკავშირე კომპანიების წილების შესყიდვა	(10,539)					(3,336)		
მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვა	14,418					-		
შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვა	(199)					(2,717)		
წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(94,830)					(102,530)		
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან								
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	368,057					180,765		
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(293,833)					(176,179)		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(31,528)					(25,368)		
გადახდილი დივიდენდები	(14,773)					(12,059)		
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი ფული	(407)					(266)		
პრივილეგირებული აქციების გაყიდვა	1,492					404		
კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ	1,200					-		
საკუთარი აქციების გაყიდვა	-					4,774		
წმინდა ფულადი სახსრები შემოსავალი/(გასავალი) ფინანსური საქმიანობიდან	30,208					(27,929)		
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	713					(18,745)		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	20,814					39,804		
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	113					(245)		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	21,640					20,814		

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

(ათასი ლარი)	2024	2023
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	163,491	171,523
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	(14,527)	(5,182)
მარაგების ზრდა	(73,438)	(64,507)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა	19,236	34,912
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	94,762	136,746
გადახდილი პროცენტები	(28,672)	(25,428)
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,305)	(1,911)
მიღებული პროცენტები	1,550	2,307
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	65,335	111,714

2024 წელს საოპერაციო შედეგებმა სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე 163,491 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.7%-იანი შემცირებაა (2023 წლის საოპერაციო შედეგები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე: 171,523 ათასი ლარი).

2024 და 2023 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მარაგები, (73,438 ათასი ლარი და 64,507 ათასი ლარი შესაბამისად). საბრუნავი კაპიტალის ზრდამ 2024 წლის განმავლობაში 68,729 ათასი ლარი შეადგინა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება წინა წლის ნაზარდს (2023: 34,777 ათასი ლარი). შესაბამისად, 2024 წელს ოპერირებიდან დაგენერირებულმა ფულადმა სახსრებმა 94,762 ათასი ლარი შეადგინა, რაც 30.7%-ით ჩამორჩება 2023 წლის მაჩვენებელს (2023: 136,746 ათასი ლარი).

2024 წელს წმინდა ფულადმა სახსრებმა საოპერაციო საქმიანობიდან 64,335 ათასი ლარი შეადგინა, რაც 41.5%-ით ჩამორჩება 2023 წლის მაჩვენებელს (2023: 111,714 ათასი ლარი). აღნიშნული შემცირება მეტწილად გამოწვეულია თითქმის გაორმაგებული საბრუნავი კაპიტალში ჩასხმული ფულით, თუმცა გარკვეული როლი ითამაშა ასევე საოპერაციო შედეგებმაც საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე, რომელიც 2024-ში 4.7%-ით შემცირდა.

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(ათასი ლარი)	2024	2023
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(114,735)	(96,454)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,356)	(1,614)
ძირითადი საშუალებების გასვლა	17,644	694
სესხის გაცემა	(200)	(1,147)
გაცემული სესხებიდან მიღებული ფული	525	822
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვა	1,612	1,222
მეკავშირე კომპანიების წილების შესყიდვა	(10,539)	(3,336)
მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვა	14,418	-
შვილობილი კომპანიების წილების შესყიდვა	(199)	(2,717)
წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(94,830)	(102,530)

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა უმეტესწილად ძირითადი საშუალებების შეძენას უკავშირდება. ძირითადი საშუალებების შეძენა კომპანიის განვითარებასთან არის დაკავშირებული და აუცილებელია გაყიდვების შემდგომი ზრდისთვის. კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ინვესტიციები“.

2024 წელს ძირითადი საშუალებების შესყიდვებმა 114,735 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 19.0% ზრდას გულისხმობს (2023: 96,454 ათასი ლარი). თუმცა, აღნიშნული ზრდა 2024 წელს დააბალანსა 17,644 ათასი არის ძირითადი საშუალებების გასვლამ და 14,418 ათასი ლარის მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვამ. შედეგად, საინვესტიციო წმინდა ფულადმა გასავალმა 2024 წელს 94,830 ათასი ლარი შეადგინა, რაც 7.5%-ით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე (2023: 102,530 ათასი ლარი).

2024 წელს მეკავშირე საწარმოში წილის გაყიდვა უკავშირება შპს რეფ ენ - 50% და შპს რენტ ჰაუსის - 48% წილების გასხვისებას. შპს რეფ ენ წარმოადგენდა „კომპანიის“ მეკავშირე საწარმოს, რომლის საქმიანობაც შეადგენდა უძრავი ქონების მართვას. სს ნიკორომ გაყიდა საკუთარი წილი 2024-ში და მოზიდული სახსრებით მოხდა ახალი აქტივების - უძრავი ქონების შეძენა. შპს რენტ ჰაუსის 48% წილის შეძენა 2023 წელს მიზნად ისახავდა ამ კომპანიის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დეველოპმენტს სს ნიკორას საოპერაციო საქმიანობისთვის. 2024-ში მოხდა წილის 100%-მდე გაზრდა, თუმცა სს ნიკორას გეგმები აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შეიცვალა და შესაბამისად გასხვისდა 100% წილი შპს რენტ ჰაუსში.

ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

(ათასი ლარი)	2024	2023
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან და ობლიგაციებიდან მიღებული ფული	368,057	180,765
სესხებზე და ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(293,833)	(176,179)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(31,528)	(25,368)
გადახდილი დივიდენდები	(14,773)	(12,059)
პრივილეგირებულ აქციებზე გადახდილი ფული	(407)	(266)
პრივილეგირებული აქციების გაყიდვა	1,492	404
კაპიტალის შევსება არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ	1,200	-
საკუთარი აქციების გაყიდვა	-	4,774
წმინდა ფულადი სახსრები შემოსავალი/(გასავალი) ფინანსური საქმიანობიდან	30,208	(27,929)

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ სესხებიდან და ობლიგაციებიდან თანხების წმინდა ათვისება შეადგენდა 74,224 ათას ლარს. ნასესხები სახსრების წმინდა ათვისება მნიშვნელოვნად აჭარბებს 2023 წელს, როდესაც კომპანიამ 4,586 ათასი ლარის წმინდა სახსრები აითვისა. გაზრდილი ნასესხები სახსრების ათვისება მეტწილად გამოწვეულია კომპანიის კაპიტალური დანახარჯების გეგმით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გასცა 14,773 ათასი ლარი დივიდენდი ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებზე (2023 წელს აღნიშნული შეადგენდა 12,059 ათას ლარს).

2024 წელს კომპანამ ასევე გაყიდა 1,492 ათასი ლარის პრივილეგირებული აქციები (2023: 404 ათასი ლარი) და გამოისყიდა 407 ათასი ლარის პრივილეგირებული აქციები (2023: 266 ათასი ლარი). 2024 წელს არამაკონტროლებელი

წილის მფლობელების მიერ განხორციელდა 1,200 ათასი ლარის კაპიტალის შევსება. 2024 წელს კომპანიას საკუთარი აქციები არ გაუსხვისებია, ხოლო 2023 წელს კომპანიამ საკუთარი აქციების გაყიდვიდან 4,774 ათასი ლარის ფულადი სახსრები დააგენერირა.

ჯამურად, 2024 წელს წმინდა შემოსულობამ საფინანსო საქმიანობიდან 30,208 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წელს კომპანიამ 27,929 ლარის წმინდა გადინება დააფიქსირა.

ფინანსური რისკის მართვა

„კომპანიის“ ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

„კომპანიის“ ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და ობლიგაციებს, საიჯარო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სხვა ფინანსური აქტივები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ჯგუფის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფინანსური აქტივები		
გაცემული სესხები	-	325
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	36,601	26,889
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,640	20,814
სულ ფინანსური აქტივები	58,241	48,028
	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	201,780	179,815
საიჯარო ვალდებულებები	163,301	143,700
სესხები და ობლიგაციები	207,059	131,325
სულ ფინანსური ვალდებულებები	572,140	454,840

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს არანაირ წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

ჯგუფი სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების

გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2024		31-დეკ-2023	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	4,803	-	2	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	66	1	35	1
სულ	4,869	1	37	1
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,154	3,506	15,370	5,681
საიჯარო ვალდებულებები	149,546	70	127,547	200
სესხები და ობლიგაციები	32,587	19,431	19,002	16,671
სულ	190,287	23,007	161,919	22,552
წმინდა სავალუტო პოზიცია	(185,418)	(23,006)	(161,882)	(22,551)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოური ვალუტის მიმართ მგრძნობელობას:

(ათასი ლარი)	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2024	(37,084)	37,084	(4,601)	4,601
მოგება/(ზარალი) 2023	(32,376)	32,376	(4,510)	4,510

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები და ობლიგაციები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შემთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	2024		2023	
	ზრდა 100	შემცირება 100	ზრდა 100	შემცირება 100
	საბაზისო პუნქტით	საბაზისო პუნქტით	საბაზისო პუნქტით	საბაზისო პუნქტით
მოგება/(ზარალი)	(2,060)	2,060	(1,306)	1,306

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, სხვა ფინანსური აქტივებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებასა და წარსულში ფინანსური სიმძლევების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
გაცემული სესხები	-	325
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	36,601	26,889
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	19,909	19,164
სულ	56,510	46,378

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები და ობლიგაციები, მომავალში გადასახდელი ფულადი ნაკადები გაანგარიშებულია საანგარიშგებო წლის ბოლოს დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გვიჩვენებს ლიკვიდურობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<i>(ათასი ლარი)</i>	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	201,780	-	-	-	201,780
საიჯარო ვალდებულებები	25,787	24,355	132,084	33,504	215,730
სესხები და ობლიგაციები	33,756	51,059	165,960	19,806	270,581
სულ 31-დეკ-2024	261,323	75,414	298,044	53,310	688,091
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	179,815	-	-	-	179,815
საიჯარო ვალდებულებები	23,619	20,063	116,745	22,736	183,163
სესხები და ობლიგაციები	17,495	45,914	86,617	8,200	158,226
სულ 31-დეკ-2023	220,929	65,977	203,362	30,936	521,204

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ქონდა ქვემოთ ჩამოთვლილ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

ჯგუფმა გამოაცხადა ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე დივიდენდები 4,123 ათასი ლარი, რომელიც გაცემულია სრულად.

ჯგუფმა გამოაცხადა პრივილეგირებულ აქციების მფლობელებზე დივიდენდები 386 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გაცემულია სრულად.

ჯგუფმა გამოაცხადა უმცირესობის წილის მფლობელებზე დივიდენდები 279 ათასი ლარი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 15 მაისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	<i>Pro-Forma 2⁶</i>	<i>Pro-Forma 1</i>	<i>Pro-Forma 0</i>			
(ათასი ლარი)	30-ივნ-2025	30-ივნ-2025	30-ივნ-2025	30-ივნ-2025	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დავალიანება						
ობლიგაციები	241,467	181,467	156,467	96,467	96,408	70,736
სესხები	n/a	n/a	n/a	124,981	110,651	60,589
საიჯარო ვალდებულებები	n/a	n/a	n/a	n/a	163,301	143,700
სულ დავალიანება					370,360	275,025
კაპიტალი						
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6,471	6,471	6,471	6,471	6,471	6,471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	22,702	22,702	22,702	22,702	22,702	21,620
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)	(417)	(417)	(417)	(417)
გადაფასების რეზერვი	n/a	n/a	n/a	n/a	36,858	34,545
დაგროვილი მოგება	n/a	n/a	n/a	n/a	154,108	132,960
არამაკონტროლებელი წილი	n/a	n/a	n/a	n/a	7,225	4,015
სულ კაპიტალი	n/a	n/a	n/a	n/a	226,947	199,194
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება					597,307	474,219

2025 წლის 30 ივნისის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები კაპიტალიზაციისა და დავალიანებაში - 2025 წლის 30 ივნისის, ემიტენტის კონსოლიდირებულმა შვილობილმა სს „ნიკორა ტრეიდი“ გამოუშვა 60,000,000 ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციები (ISIN: GE 2700605142). ობლიგაციების დაფარვის თარიღი: 2030 წლის 30 ივნისი; საპროცენტო განაკვეთი: TIBR 3M + 350 BPs; თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 ლარი.

დავალიანება

„კომპანია“ თავისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში აქტიურად იყენებს საკრედიტო ინსტრუმენტებს კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად, საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდურობის სამართავად. მომავალ პერიოდებში „კომპანია“ გააგრძელებს საკუთარი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

⁶ Pro Forma 0 - მოიცავს ემიტენტის შვილობილის, სს „ნიკორა ტრეიდი“ მიერ, 2025 წლის 30 ივნისის გამოშვებული, 60 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულებების ობლიგაციების (ISIN: GE 2700605142) ეფექტს.

Pro-Forma 1 - ეფუძნება pro-forma 0-ს და დამატებით მოიცავს წინამდებარე „ობლიგაციების“ პროსპექტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში, ობლიგაციების პირველი ტრანშის, 60 მილიონი ლარის გამოშვებას, საიდანაც საიდანაც 35 მილიონი ლარი მოხმარდება 2025 წლის 28 ნოემბერს ვადამოსული ობლიგაციების (ISIN: GE 2700604210) დაფარვას.

Pro-Forma 2 - ეფუძნება pro-forma 1-ს და დამატებით მოიცავს წინამდებარე „ობლიგაციების“ პროსპექტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში, ობლიგაციების მეორე ტრანშის, 60 მილიონი ლარის გამოშვებას.

2025 წლის 30 ივნისის დავალიანება

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
სს ნიკორა	სესხი	USD	09/12/20	08/12/27	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.5%	8,596	40
სს ნიკორა	სესხი	GEL	25/05/23	25/05/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	523	1
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	EUR	01/08/22	31/12/25	ბულეტი	6.9%	80	0
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	USD	09/12/22	31/12/25	ბულეტი	6.9%	14	0
სს ნიკორა	სესხი	USD	11/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.69%	3,215	15
სს ნიკორა	სესხი	USD	25/04/24	25/04/31	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.73%	937	1
სს ნიკორა	სესხი	USD	08/05/24	08/01/32	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.19%	2,287	10
სს ნიკორა	სესხი	USD	26/06/24	12/08/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 5%	3,133	16
სს ნიკორა	სესხი	USD	06/12/24	12/08/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 5%	6,557	34
სს ნიკორა	ობლიგაცია	GEL	25/11/22	28/11/25	ბულეტი	TIBR3M + 350 Basis	35,000	303
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euribor + 5%	8,093	0
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/01/22	20/09/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	4
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/12/22	28/12/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	1,250	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	21/05/21	18/05/28	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	1,470	3
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/06/29	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	1,264	5
შპს ნიკორა	სესხი	GEL	29/11/23	30/10/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	3,447	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	03/05/24	03/05/31	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	932	4
შპს ნიკორა	სესხი	GEL	07/09/23	30/06/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	403	0
შპს ნიკორა	სესხი	GEL	15/03/24	15/03/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	419	2
შპს ნიკორა	სესხი	GEL	03/04/24	04/08/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	15,500	137
შპს ნიკორა	სესხი	GEL	25/10/24	28/10/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	4,549	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	07/12/24	07/12/31	ანუიტეტი	6m Euribor + 3.5%	553	2
შპს ნიკორა	სესხი	GEL	10/03/25	07/03/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 5.5%	373	13
შპს პარტნიორი	სესხი	USD	27/10/23	23/10/30	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.5%	3,763	2
შპს პარტნიორი	სესხი	EUR	22/04/25	22/04/28	ანუიტეტი	6m Euribor + 5.15%	3,752	6
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	GEL	14/02/24	12/02/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	115	1
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	EUR	16/04/25	15/04/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.15%	751	2
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	EUR	11/06/25	11/07/25	ანუიტეტი	6m Euribor + 5.46%	156	1
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	EUR	26/06/25	26/06/29	ანუიტეტი	6m Euribor + 5.46%	156	0
შპს მულტიტრეიდი	სესხი	EUR	14/04/25	11/04/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.15%	1,563	6
შპს მზარეული I	სესხი	GEL	17/03/22	11/03/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	160	0
შპს მზარეული I	სესხი	EUR	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	120	0
შპს მზარეული I	სესხი	GEL	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	71	0
შპს მზარეული I	სესხი	GEL	22/02/24	22/02/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	494	1
შპს მზარეული I	სესხი	GEL	18/10/24	18/10/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	254	1
შპს მზარეული I	სესხი	EUR	22/04/25	22/04/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.15%	532	1
შპს მზარეული I	სესხი	EUR	19/05/25	08/05/29	ანუიტეტი	6m Euribor + 5.86%	191	1
სს ნიკორა ტრეიდი	სესხი	GEL	30/06/25	30/07/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 5.5%	8,000	0
სს ნიკორა ტრეიდი	ობლიგაცია	GEL	17/10/24	17/10/29	ბულეტი	TIBR3M + 325 basis	60,000	1,164
სს ნიკორა ტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	17/04/25	20/04/26	ბულეტი	რეფინანსირებას + 5%	4,000	0
შპს კორიდა	სესხი	EUR	19/02/19	19/02/26	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	210	0
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	1,366	6
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	2,076	7
შპს კორიდა	სესხი	USD	05/04/24	04/04/29	ანუიტეტი	6m Term SOFR +2.8%	462	2
შპს ინტრეიდი	სესხი	EUR	14/04/25	11/04/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.15%	1,063	4
შპს ინტრეიდი	სესხი	EUR	18/06/25	18/06/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.44%	3,188	2
შპს ინტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	30/06/25	30/07/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 8%	11,000	0

შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	22/11/21	22/11/25	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	7	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	15/11/23	15/11/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	24	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	EUR	04/11/18	04/11/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5%	278	1
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	01/11/22	01/11/32	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	210	1
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	10/01/24	16/01/26	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	487	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	01/04/23	02/11/25	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	180	1
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	24/03/23	21/04/26	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	300	2
შპს რეფ ბი	სესხი	EUR	22/05/25	24/05/32	ანუიტეტი	6m Euribor + 5.80%	2,239	3
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	GEL	04/05/23	21/03/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	58	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	GEL	24/05/24	24/05/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	406	1
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	20/03/19	22/04/26	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	931	0
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	04/08/20	05/03/29	ანუიტეტი	6.4%	576	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	31/01/23	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	894	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	17/09/20	17/09/30	ანუიტეტი	6.4%	539	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	29/12/22	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	471	1
სულ							219,638	1,810

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აუთვისებული დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ძირი ('000 ლარი)
სს ნიკორა	სესხი	USD	8/5/2024	8/1/2032	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.19%	1,007
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euribor + 5%	295
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	305
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/6/2029	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	79
შპს ნიკორა	სესხი	EUR	3/5/2024	3/5/1931	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	844
შპს ნიკორა	სესხი	GEL	25/10/24	28/10/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	1,335
შპს ნიკორა	სესხი	EUR	7/12/2024	7/12/1931	ანუიტეტი	6m Euribor + 3.5%	374
შპს ნიკორა	სესხი	GEL	3/10/2025	3/7/2031	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 5.5%	1129
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	EUR	11/6/2025	11/7/2025	ანუიტეტი	6m Euribor + 5.46%	35
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	EUR	26/06/25	26/06/29	ანუიტეტი	6m Euribor + 5.46%	35
შპს მზარეული I	სესხი	EUR	19/05/25	8/5/2029	ანუიტეტი	6m Euribor + 5.86%	1,081
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	67
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euribor + 4.5%	244
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	EUR	4/11/2018	4/11/1932	ანუიტეტი	6m Euribor + 5%	1
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	10/1/2024	16/01/26	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	13
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	20/03/19	22/04/26	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	69
სულ							6,913

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	ვალდებულების ტიპი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
სს ნიკორა	გარანტია	GEL	04/10/24	10/12/26	389	0
შპს ნიკორა	გარანტია	GEL	03/11/21	30/07/25	1,449	1
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	EUR	08/05/17	14/11/25	478	0
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	USD	01/11/24	07/11/25	3,268	6
შპს მზარეული I	გარანტია	GEL	20/02/25	20/02/26	20	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	27/09/21	29/09/25	928	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	29/09/22	30/09/25	950	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	01/03/23	27/02/26	250	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	USD	24/10/23	23/10/25	2,724	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	27/05/24	25/05/26	550	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	30/06/25	27/08/25	17	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	21/01/22	12/01/26	95	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	EUR	27/10/22	20/08/25	638	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	EUR	23/05/24	25/05/26	245	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/24	14/08/25	173	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/24	14/08/26	164	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/24	14/08/26	779	1
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/24	14/08/26	571	1
შპს ვაკიჯვრის კალმახი	გარანტია	EUR	20/02/25	20/02/26	319	0
სულ					14,007	9

გარანტიები წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მომწოდებლებზე გაცემულ საბანკო გარანტიებს.

2024 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
სს ნიკორა	სესხი	USD	09/12/20	08/12/27	ანუიტეტი	8.0%	10,425	48
სს ნიკორა	სესხი	GEL	05/04/18	05/04/25	ანუიტეტი	11.0%	92	0
სს ნიკორა	სესხი	GEL	25/05/23	25/05/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	597	1
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	EUR	01/08/22	31/12/25	ბულეტი	6.9%	74	0
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	USD	09/12/22	31/12/25	ბულეტი	6.9%	14	0
სს ნიკორა	სესხი	USD	11/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.69%	3,447	18
სს ნიკორა	სესხი	USD	25/04/24	25/04/31	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.73%	1,030	2

სს ნიკორა	სესხი	USD	08/05/24	08/01/32	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.19%	2,471	3
სს ნიკორა	სესხი	USD	26/06/24	12/08/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 5%	3,368	5
სს ნიკორა	სესხი	USD	06/12/24	12/08/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 5%	7,017	42
სს ნიკორა	ობლიგაცია	GEL	25/11/22	28/11/25	ბულეთი	TIBR3M + 350 Basis	35,000	232
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	31/08/20	20/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	27/12/24	27/02/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	2,979	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	7,206	3
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/01/22	20/09/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	1
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/12/22	28/12/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,250	1
შპს ნიკორა	სესხი	EUR	02/05/18	05/04/25	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	216	1
შპს ნიკორა	სესხი	EUR	21/05/21	18/05/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,556	4
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/06/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,285	6
შპს ნიკორა	სესხი	GEL	29/11/23	30/10/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	3,447	2
შპს ნიკორა	სესხი	EUR	03/05/24	03/05/31	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	589	3
შპს ნიკორა	სესხი	GEL	07/09/23	30/06/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	403	0
შპს ნიკორა	სესხი	GEL	15/03/24	15/03/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	482	2
შპს ნიკორა	სესხი	GEL	03/04/24	04/08/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	15,443	146
შპს ნიკორა	სესხი	GEL	25/10/24	28/10/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	2,516	2
შპს ნიკორა	სესხი	EUR	07/12/24	07/12/31	ანუიტეტი	6m Euroribor + 3.5%	432	2
შპს პარტნიორი	სესხი	USD	27/10/23	23/10/30	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.5%	4,165	0
შპს პარტნიორი	საკრედიტო ხაზი	GEL	21/10/21	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	2,086	0
შპს ოკეანე	საკრედიტო ხაზი	GEL	01/05/18	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
შპს ჩვენი ფერმერი	სესხი	GEL	14/02/24	12/02/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	132	1
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	802	0
შპს მულტიტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	1,161	1
შპს მზარეული I	სესხი	GEL	17/03/22	11/03/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	177	0
შპს მზარეული I	სესხი	EUR	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	129	2
შპს მზარეული I	სესხი	GEL	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	81	0

შპს მზარეული I	სესხი	GEL	03/09/18	03/09/25	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	93	0
შპს მზარეული I	სესხი	GEL	22/02/24	22/02/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	547	2
შპს მზარეული I	სესხი	GEL	18/10/24	18/10/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	300	1
შპს მზარეული I	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	1,056	0
სს ნიკორა ტრეიდი	ობლიგაცია	GEL	17/10/24	17/10/29	ბულეტი	TIBR3M + 325 basis	60,000	1,176
შპს კორიდა	სესხი	EUR	19/02/19	19/02/26	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	331	1
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,415	8
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	2,047	8
შპს კორიდა	სესხი	EUR	22/03/18	22/03/25	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	101	0
შპს კორიდა	სესხი	USD	05/04/24	04/04/29	ანუიტეტი	6m Term SOFR +2.8%	530	3
შპს ინტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	893	0
შპს ინტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	27/12/24	08/01/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	11,000	17
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	25/09/19	25/03/25	ანუიტეტი	11.0%	19	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	22/11/21	22/11/25	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	17	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	15/11/23	15/11/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	27	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	EUR	04/11/18	04/11/32	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	269	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	01/11/22	01/11/32	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	219	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	10/01/24	10/01/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	409	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	01/04/23	02/11/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	180	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	24/03/23	01/03/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	301	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	GEL	04/05/23	21/03/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	73	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	GEL	24/05/24	24/05/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	498	2
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	20/03/19	22/04/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	987	1
შპს კულინარი	საკრედიტო ხაზი	GEL	23/10/18	21/04/25	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	1,400	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	04/08/20	05/03/29	ანუიტეტი	6.4%	666	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	31/01/23	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	862	1
შპს ნიკორა	სესხი	EUR	17/09/20	17/09/30	ანუიტეტი	6.4%	532	1

შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	29/12/22	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	455	1
სულ							205,299	1,752

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებელი დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)
სს ნიკორა	სესხი	USD	8/5/2024	8/1/1932	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.19%	1,038
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	31/08/20	20/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	500
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	27/12/24	27/02/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	21
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	505
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	280
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/6/2029	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	73
შპს ნიკორა	სესხი	EUR	3/5/2024	3/5/1931	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,102
შპს ნიკორა	სესხი	GEL	3/4/2024	4/8/1931	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	57
შპს ნიკორა	სესხი	GEL	25/10/24	28/10/31	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	3,484
შპს ნიკორა	სესხი	EUR	12/7/2024	12/7/2031	ანუიტეტი	6m Euroribor + 3.5%	449
შპს პარტნიორი	საკრედიტო ხაზი	GEL	21/10/21	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	1,629
შპს ოკეანე	საკრედიტო ხაზი	GEL	1/5/2018	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	500
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	678
შპს მულტიტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	1,339
შპს მზარეული I	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	44
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	61
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	224
შპს ინტრიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	107
შპს ნაფარეულის მარანი	სესხი	EUR	4/11/2018	4/11/1932	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	1
შპს ნაფარეულის მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	10/1/2024	10/1/2025	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	91
შპს ნაფარეულის მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	1/4/2023	2/11/2025	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	20/03/19	22/04/25	ბულეთი	რეფინანსირებას + 3.5%	613
სულ							12,796

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	ვალდებულების ტიპი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
სს ნიკორა	გარანტია	GEL	4/10/2024	10/12/2026	544	0
შპს ნიკორა	გარანტია	GEL	3/11/2021	30/04/2025	1,449	0
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	EUR	8/05/2017	15/11/2025	440	0
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	USD	1/11/2024	7/11/2025	3368	6
შპს შხარეული I	გარანტია	GEL	2/02/2024	2/03/2025	18	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	27/09/2021	29/09/2025	928	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	29/09/2022	30/09/2025	950	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	1/03/2023	27/02/2025	250	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	USD	24/10/2023	23/10/2025	2,807	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	27/05/2024	23/05/2025	550	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	21/01/2022	12/01/2026	98	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	EUR	27/10/2022	20/08/2025	440	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	EUR	23/05/2024	23/05/2025	226	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/2024	14/08/2025	127	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/2024	14/08/2025	121	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/2024	14/08/2025	470	1
შპს ინტრეიდი	გარანტია	RUR	15/08/2024	14/08/2025	394	1
შპს ვაკიჯვრის კალმახი	გარანტია	EUR	1/02/2024	31/01/2025	293	0
სულ					13,473	8

გარანტიები წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მომწოდებლებზე გაცემულ საბანკო გარანტიებს.

2023 წლის 31 დეკემბრის დავალიანება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანებების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ნარჩენი ძირი ('000 ლარი)	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
სს ნიკორა	სესხი	GEL	14/05/19	14/11/24	ანუიტეტი	11.0%	106	1
სს ნიკორა	სესხი	GEL	25/05/23	25/05/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	731	2
სს ნიკორა	სესხი	USD	11/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.69%	2,025	10
სს ნიკორა	სესხი	GEL	05/04/18	05/04/25	ანუიტეტი	11.0%	288	2
სს ნიკორა	სესხი	USD	09/12/20	08/12/27	ანუიტეტი	7 - 8%	12,371	54
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	EUR	01/08/22	31/12/24	ბულეტი	6.9%	13	0
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	USD	09/12/22	31/12/24	ბულეტი	6.9%	75	0
სს ნიკორა	ობლიგაცია	GEL	25/11/22	28/11/25	ბულეტი	TIBR3M + 350 Basis	35,000	174

სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	31/08/20	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	21/05/21	18/05/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,963	6
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/06/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,533	8
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	984	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	15/06/17	20/04/24	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	26	0
შპს ნიკორა	სესხი	EUR	02/05/18	05/04/25	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	842	5
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/01/22	20/09/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	4
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	4,186	3
შპს ნიკორა	სესხი	GEL	31/12/22	28/12/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	5,000	1
შპს ნიკორა	სესხი	GEL	29/11/23	30/10/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	2,426	3
შპს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	23/07/18	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
შპს პარტნიორი	სესხი	USD	27/10/23	23/10/30	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.5%	4,493	0
შპს პარტნიორი	საკრედიტო ხაზი	GEL	21/10/21	22/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	1,766	0
შპს ოკეანე	სესხი	EUR	20/08/19	06/06/24	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	27	0
შპს ოკეანე	საკრედიტო ხაზი	GEL	01/05/18	22/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	28	1
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	09/03/23	28/02/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	1,102	1
შპს მულტიტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	3,199	2
შპს მზარეული I	სესხი	GEL	17/03/22	11/03/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	207	0
შპს მზარეული I	სესხი	EUR	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	165	3
შპს მზარეული I	სესხი	GEL	28/02/23	28/02/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	101	0
შპს მზარეული I	სესხი	GEL	03/09/18	03/09/25	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	439	3
შპს მზარეული I	საკრედიტო ხაზი	GEL	28/02/23	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	67	0
შპს მზარეული I	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	1,100	2
სს ნიკორა ტრეიდი	ობლიგაცია	GEL	12/11/21	12/11/24	ბუღალტერი	TIBR3M + 350 basis	35,000	562
შპს კორიდა	სესხი	EUR	19/02/19	19/02/26	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	600	2
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,734	11
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	698	3
შპს კორიდა	სესხი	EUR	22/03/18	22/03/25	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	492	1
შპს კორიდა	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	0	0
შპს ინტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/24	ბუღალტერი	რეფინანსირებას + 3.5%	473	2
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	15/11/18	15/05/24	ანუიტეტი	11.0%	3	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	15/11/18	15/05/24	ანუიტეტი	11.0%	7	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	26/11/18	26/05/24	ანუიტეტი	11.0%	11	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	25/09/19	25/03/25	ანუიტეტი	11.0%	91	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	22/11/21	22/11/25	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	34	0

შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	15/11/23	15/11/28	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	32	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	EUR	04/11/18	04/11/32	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	275	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	GEL	01/11/22	01/11/32	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	220	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	01/04/23	02/11/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	180	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	24/03/23	01/03/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	297	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	GEL	04/05/23	21/03/27	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%	97	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	EUR	25/04/17	20/04/24	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	17	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	სესხი	USD	25/04/17	20/04/24	ანუიტეტი	8.0%	44	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	20/03/19	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	1,485	1
შპს ვაკიჯვრის კალმახი	საკრედიტო ხაზი	GEL	24/06/22	10/06/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	115	0
შპს კულინარი	საკრედიტო ხაზი	GEL	23/10/18	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%	275	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	20/03/19	22/03/27	ანუიტეტი	7.0%	57	0
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	04/08/20	05/03/29	ანუიტეტი	6.4%	793	2
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	31/01/23	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	948	2
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	17/09/20	17/09/30	ანუიტეტი	6.4%	609	1
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	29/12/22	29/12/32	ანუიტეტი	7.0%	500	1
შპს მილა საქართველო	სესხი	EUR	09/02/22	16/09/24	ანუიტეტი	8.5%	94	0
სულ							130,444	874

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუთვისებული დავალიანების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	პროდუქტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	გადახდის გრაფიკი	%-ის დიაპაზონი	ნარჩენი ('000 ლარი)	ძირი
სს ნიკორა	სესხი	USD	11/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.69%		1,337
სს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	31/08/20	20/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		250
შპს ნიკორა	სესხი	EUR	19/09/22	10/06/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%		74
შპს ნიკორა	სესხი	EUR	28/02/23	28/02/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%		741
შპს ნიკორა	სესხი	EUR	31/10/22	31/10/29	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%		4,740
შპს ნიკორა	სესხი	GEL	29/11/23	30/10/29	ანუიტეტი	რეფინანსირებას + 3.5%		1,020
შპს ნიკორა	საკრედიტო ხაზი	GEL	23/07/18	20/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		600
შპს პარტნიორი	საკრედიტო ხაზი	GEL	21/10/21	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		1,949
შპს ოკეანე	საკრედიტო ხაზი	GEL	01/05/18	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		2,117
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	09/03/23	28/02/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		300
შპს ჩვენი ფერმერი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		378
შპს მულტიტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	22/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		3,041
შპს მზარეული I	საკრედიტო ხაზი	GEL	28/02/23	20/04/24	ბულეტი	რეფინანსირებას + 3.5%		133

137

სს ნიკორა ტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	30/06/22	01/07/24	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	4,000
შპს კორიდა	სესხი	EUR	28/10/21	28/10/28	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	62
შპს კორიდა	სესხი	EUR	14/12/23	13/12/30	ანუიტეტი	6m Euroribor + 4.5%	1,831
შპს კორიდა	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/24	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	1,130
შპს ინტრეიდი	საკრედიტო ხაზი	GEL	18/04/18	20/04/24	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	527
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	სესხი	EUR	04/11/18	04/11/32	ანუიტეტი	6m Euroribor + 5%	1
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	01/04/23	02/11/24	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	0
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	საკრედიტო ხაზი	GEL	24/03/23	01/03/24	ბუღეთი	რეფინანსირებას + 3.5%	3
შპს რეფენი	სესხი	USD	08/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.16%	1,791
შპს რეფენი	სესხი	USD	08/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.41%	1,089
შპს რეფენი	სესხი	USD	08/12/23	08/12/33	ანუიტეტი	6m Term SOFR + 3.41%	1,214
შპს ნიკორა ბაკურიანი	სესხი	EUR	04/08/20	05/03/29	ანუიტეტი	6.4%	11
შპს მილა საქართველო	სესხი	EUR	09/02/22	16/09/24	ანუიტეტი	8.5%	27
სულ							28,366

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მსესხებლის დასახელება	ვალდებულების ტიპი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	ნარჩენი (ლარი)	ძირი ('000	დარიცხული პროცენტი ('000 ლარი)
შპს ნიკორა	გარანტია	GEL	03/11/21	01/03/25		1,449	1
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	USD	28/07/21	05/07/24		3,227	2
შპს მულტიტრეიდი	გარანტია	EUR	08/05/17	15/11/24		446	1
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	27/09/21	27/09/24		871	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	06/05/22	06/05/24		550	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	29/09/22	30/09/24		950	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	GEL	01/03/23	27/02/24		100	0
სს ნიკორა ტრეიდი	გარანტია	USD	24/10/23	23/10/24		1,345	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	22/08/23	22/08/24		484	1
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	22/08/23	22/08/24		134	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	22/08/23	22/08/24		403	1
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	22/08/23	22/08/24		108	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	21/01/22	10/01/25		377	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	EUR	27/10/22	15/09/24		357	0
შპს ინტრეიდი	გარანტია	USD	15/02/23	14/02/24		215	0
შპს ვაკიჯვრის კალმახი	გარანტია	EUR	10/09/21	17/01/24		298	1
სულ						11,314	7

გარანტიები წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მომწოდებლებზე გაცემულ საბანკო გარანტიებს.

უზრუნველყოფა

სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით და მარაგებით. ცხრილში წარმოდგენილია კონსოლიდირებული აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც წარმოადგენდნენ „კომპანიის“ სესხების უზრუნველყოფას:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ძირითადი საშუალებები	246,283	237,723
მარაგები	211,979	167,197
სავაჭრო მოთხოვნები	52,352	37,916
ბიოლოგიური აქტივები	1,208	1,361
სულ	511,822	444,197

სს „ნიკორას“ ინდივიდუალური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც წარმოადგენდნენ „კომპანიის“ სესხების უზრუნველყოფას წარმოდგენილია ცხრილში:

(ათასი ლარი)	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ძირითადი საშუალებები	8,726	8,263
საინვესტიციო ქონება	19,295	60,174
გაცემული სესხები	16,912	20,095
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,139	1,502
სულ	54,072	90,034

ობლიგაციები

2022 წლის 28 ნოემბერს „კომპანიამ“ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციების (ISIN: GE2700604210), რომელიც ვადამოსული გახდება 2025 წლის 28 ნოემბერს. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

2021 წლის 12 ნოემბერს „კომპანის“ შვილობილმა „ნიკორა ტრეიდმა“ გამოუშვა 35 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები (ISIN: GE2700604061), რომლებიც დაიფარა 2024 წლის 12 ნოემბერს. ამავე წლის 17 ოქტომბერს „ნიკორა ტრეიდმა“ გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები (ISIN: GE2700604921), რომელიც ნაწილობრივ მოხმარდა წინამორბედი ობლიგაციების რეფინანსირებას.

სს „ნიკორას“ და სს „ნიკორა ტრეიდის“ გამოშვებულ ობლიგაციებს მოყვება გარკვეული შეზღუდვები და პირობები, რაც უნდა დააკმაყოფილონ „ემიტენტმა“ და სს „ნიკორა ტრეიდმა“ ობლიგაციების მოქმედების ვადაში.

ობლიგაციების ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ შესაბამისი ობლიგაციების გამოშვები პირობები.

ობლიგაციების ფინანსური კოვენანტები

	კოვენანტი	2024 წელი	2023 წელი
სს „ნიკორას“ ობლიგაციები:			
ISIN: GE 2700604210			
1. Debt/EBITDA	4.5	2.9x	2.0x
2. DSCR, PL Based	1.1	1.9x	1.7x
3. DSCR, Cash Based	1.1	1.3x	1.5x
სს „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციები:			
ISIN: GE 2700604061			
4. Debt/EBITDA	4.5	x	2.0x
5. DSCR, PL Based	1.1	x	2.4x
6. DSCR, Cash Based	1.1	x	2.5x
ISIN: GE 2700604921			
7. Net Debt/EBITDA	4.0 ⁷	1.0x	x

ობლიგაციების კოვენანტები 31 დეკემბრისთვის ითვლება აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან, 30 ივნისისთვის კი დამატებით არა-აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოყენებით. კოვენანტები ითვლება შესაბამისი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოყენებით.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის ემიტენტის ან შვილობილის მხრიდან არ მომხდარა ობლიგაციის როგორც ფინანსური ისე არაფინანსური კოვენანტების დარღვევა.

“სს ნიკორას“ (ISIN: GE2700604210) ობლიგაციების ფინანსური კოვენანტების დეფინიციები შემდეგია:

1. სს „ნიკორას“ ფინანსური ვალდებულებების ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) სს „ნიკორას“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA -ს მაქსიმუმ 4.5-ჯერ აღემატება.

ვალდებულებები - პროსპექტის მიზნებისთვის კოვენანტის დაანგარიშებისას ემიტენტის ფინანსურ ვალდებულებებს უნდა დაემატოს ემიტენტის მიერ გაცემული არასუბორდინირებული კორპორატიული გარანტიის ოდენობა ფინანსურ ვალდებულებებში იგულისხმება ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული ფინანსური ვალდებულება, ნებისმიერი პირის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულება (მოიცავს ფინანსურ იჯარასაც) ან/და ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება.

EBITDA - დაიანგარიშება, როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება* დამატებული შესაბამისი პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი. * - საოპერაციო მოგების დაანგარიშებისას აღდირებულ საოპერაციო მოგებას ემატება ადმინისტრაციულ ხარჯებში დანაკლისებთან დაკავშირებით გატარებული მოგების გადასახადი.

⁷ 2024 - 2027 წლის ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს ბოლო კორექტირებული EBITDA-ს მაჩვენებელს მაქსიმუმ 4.0-ჯერ ხოლო 2027 წლიდან - მაქსიმუმ 3.5-ჯერ.

2. „ემიტენტი“ ვალდებულია შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1.1 ან უფრო მაღალ დონეზე.

სესხის მომსახურების კოეფიციენტი: მომგებიანობიდან დათვლილი $DSCR = (EBITDA - \text{მოგების გადასახადი} - \text{პრივილეგირებულ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები} - \text{ჩვეულებრივ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)} - \text{კაპიტალური დანახარჯები}) / (\text{სესხის/გარანტიის ძირი თანხა და პროცენტი} + \text{კუპონი})$ და თავისუფალი ფულიდან დათვლილი $DSCR = (\text{საოპერაციო წაღდი ფული} - \text{მოგების გადასახადი} - \text{პრივილეგირებულ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები} - \text{ჩვეულებრივ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)} - \text{კაპიტალური დანახარჯები}) / (\text{სესხის/გარანტიის ძირი თანხა და პროცენტი} + \text{კუპონი})$.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, DSCR-ის კალკულაციისას ჯამური კაპიტალური დანახარჯებიდან გამოიქვითება ის მოზიდული გრძელვადიანი რესურსი (კაპიტალის ან/და სასესხო დაფინანსება), რომლითაც დაფინანსდება კაპიტალური დანახარჯები შესაბამის პერიოდში. კაპიტალურ დანახარჯებში მოიაზრება როგორც Maintenance, ასევე Development კაპიტალური დანახარჯები. კაპიტალური დანახარჯების გამოთვლებში გაითვალისწინება წმინდა (net) კაპიტალური დანახარჯები (ძირითადი საშუალებების შეძენაზე დანახარჯებს გამოკლებული მათი რეალიზაციიდან მიღებული სახსრები).

შეზღუდვა არ ეხება „ემიტენტსა“ და „ნიკორა ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის ან „ნიკორა ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის არსებულ ვალდებულებებს.

“სს ნიკორა ტრეიდის“ (ISIN: GE2700604061) ობლიგაციების, რომელიც დაიფარა 2024 წლის ნოემბერში, ფინანსური კოვენანტების დეფინიციები შემდეგი იყო:

3. სს „ნიკორას“ და სს „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური ვალდებულებების ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) სს „ნიკორა ტრეიდის“ და სს „ნიკორას“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA -ს მაქსიმუმ 4.5-ჯერ აღემატება.

ვალდებულებები - პროსპექტის მიზნებისთვის კოვენანტის დაანგარიშებისას ემიტენტის ფინანსურ ვალდებულებებს უნდა დაემატოს ემიტენტის მიერ გაცემული არასუბორდინირებული კორპორატიული გარანტიის ოდენობა ფინანსურ ვალდებულებებში იგულისხმება ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული ფინანსური ვალდებულება, ნებისმიერი პირის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულება (მოიცავს ფინანსურ იჯარასაც) ან/და ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება.

EBITDA - დაიანგარიშება, როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება* დამატებული შესაბამისი პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი. * - საოპერაციო მოგების დაანგარიშებისას აღდირებულ საოპერაციო მოგებას ემატება ადმინისტრაციულ ხარჯებში დანაკლისებთან დაკავშირებით გატარებული მოგების გადასახადი.

4. „ემიტენტი“ ვალდებულია შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი 1.1 ან უფრო მაღალ დონეზე.

სესხის მომსახურების კოეფიციენტი: მომგებიანობიდან დათვლილი $DSCR = (EBITDA - \text{მოგების გადასახადი} - \text{პრივილეგირებულ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები} - \text{ჩვეულებრივ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)} - \text{კაპიტალური დანახარჯები}) / (\text{სესხის/გარანტიის ძირი თანხა და პროცენტი} + \text{კუპონი})$ და თავისუფალი ფულიდან დათვლილი $DSCR = (\text{საოპერაციო ნაღდი ფული} - \text{მოგების გადასახადი} - \text{პრივილეგირებულ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები} - \text{ჩვეულებრივ აქციებზე გადასახდელი დივიდენდები (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)} - \text{კაპიტალური დანახარჯები}) / (\text{სესხის/გარანტიის ძირი თანხა და პროცენტი} + \text{კუპონი})$.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, DSCR-ის კალკულაციისას ჯამური კაპიტალური დანახარჯებიდან გამოიქვეთება ის მოზიდული გრძელვადიანი რესურსი (კაპიტალის ან/და სასესხო დაფინანსება), რომლითაც დაფინანსდება კაპიტალური დანახარჯები შესაბამის პერიოდში. კაპიტალურ დანახარჯებში მოიაზრება როგორც Maintenance, ასევე Development კაპიტალური დანახარჯები. კაპიტალური დანახარჯების გამოთვლებში გაითვალისწინება წმინდა (net) კაპიტალური დანახარჯები (ძირითადი საშუალებების შეძენაზე დანახარჯებს გამოკლებული მათი რეალიზაციიდან მიღებული სახსრები).

შეზღუდვა არ ეხება „ემიტენტს“ და „ნიკორა ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის ან „ნიკორა ჯგუფის“ წევრ კომპანიებს შორის არსებულ ვალდებულებებს.

“სს ნიკორა ტრეიდის“ (ISIN: GE2700604921) ობლიგაციების ფინანსური კოვენანტის დეფინიცია შემდეგია:

5. სს „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური ვალდებულებების ოდენობა (მას შემდეგ, რაც მხედველობაში მივიღებთ ახალ ვალდებულებებს) სს „ნიკორა ტრეიდის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA -ს 2024-2027 წლებში მაქსიმუმ 4.0-ჯერ, ხოლო 2027 წლიდან მაქსიმუმ 3.50-ჯერ აღემატება.

ფინანსური ვალდებულებები - იგულისხმება ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სასესხო ვალდებულება, ნებისმიერი პირის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულება ან/და ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება. ზემოთ ხსენებული ვალდებულებები არ მოიცავს: ფაქტორინგს, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ ვალდებულებას, ბალანს გარეშე ვალდებულებებს (გარანტია, აკრედიტივი და სხვ), ფინანსურ იჯარას, სავაჭრო, საგადასახადო და სხვა მსგავს ვალდებულებებს.

წმინდა ფინანსური ვალდებულებები - ნიშნავს ფინანსურ ვალდებულებებს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები.

კორექტირებული EBITDA - დაიანგარიშება, როგორც კომპანიის წმინდა მოგებას დამატებული შესაბამისი პერიოდის მოგების გადასახადი, დამატებული საპროცენტო ხარჯი, გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი, დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, გამოკლებული/დამატებული კურსთაშორისი სხვაობის მოგება/ზარალი, გამოკლებული/დამატებული ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული მოგება/ზარალი, გამოკლებული იჯარის ვალდებულებებზე გადახდილი თანხა (გადახდილი ძირისა და პროცენტის ჯამი, რომელიც ფიქსირდება „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგების საიჯარო ვალდებულების შენიშვნაში)

6. უზრუნველყოფა ისტორიულ პერიოდებზე

„ემიტენტის“ სესხები და გარანტიები, რომლებიც აღებულია კომერციული ბანკიდან 2023 წლის 31 დეკემბრის, უზრუნველყოფა წარმოადგენს შემდეგს: „ემიტენტის“ (i) უძრავი ქონებები - სასაწყობე შენობები (ii) ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლოდ შესაძენი სასაქონლო მარაგები (iii) ყველა და ნებისმიერი არსებული და ყველა და ნებისმიერი სამომავლოდ წარმოშობილი დებიტორული მოთხოვნები, (iv) ყველა და ნებისმიერი არსებული და ყველა და ნებისმიერი სამომავლოდ შესაძენი მოძრავი ქონება და (v) ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

7. უზრუნველყოფა პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, „ნიკორა ტრეიდის“ სს „თიბისი ბანკში“ არსებული დავალიანებების უზრუნველყოფის ჩამონათვალი შეიცვალა და წარმოადგენს შემდეგს: i) ყველა და ნებისმიერი არსებული და სამომავლოდ შესაძენი სასაქონლო მარაგები, უზრუნველყოფისთვის განსაზღვრული მაქსიმალური მოთხოვნის მოცულობა წარმოადგენს 40 მილიონ ლარს, ii) უძრავი ქონება - სასაწყობე შენობა.

• კოვენანტები ისტორიულ პერიოდებზე

კომერციული ბანკიდან აღებული სესხების კონტრაქტები გულისხმობს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. აღნიშნული დათქმების ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები ისტორიული პერიოდებისთვის: 2023 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2025 წლის 30 ივნისის წარმოდგენილია ქვემოთ

კოვენანტები იწერება კონკრეტულ ხელშეკრულებაში, ბოლოს გაწერილი კოვენანტები აღიქმება როგორც ‘კლიენტის კოვენანტები’ და ვრცელდება კომპანიის ზოგად ვალდებულებებზე. საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია როგორც არაფინანსური, ასევე ფინანსური კოვენანტები - უახლესი დათქმები წარმოდგენილია ქვემოთ.

არაფინანსური კოვენანტები:

- სს “ნიკორას” მიერ გამოშვებული პრივილეგირებული აქციების უზრუნველყოფით სხვა ბანკში აღებული სესხების დაფარვა არ უნდა მოხდეს სს “ნიკორას” მიერ აქციების გამოსყიდვის გზით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ვალდებულების მომსახურების გათვალისწინებით, ნიკორა ჯგუფის DSCR იქნება 1.1-ზე ნაკლები და ამ მომენტისთვის ნიკორა ჯგუფის Debt/EBITDA კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 3.5 ამასთან აღნიშნული ვალდებულების უზრუნველყოფა (მათ შორის თავდებობით) ან/და ნებისმიერი გზით შესრულება არ უნდა მოხდეს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ;
- ნიკორა ჯგუფის მიერ არ უნდა მოხდეს სხვა ნებისმიერი პირის სხვა ბანკში არსებული სესხების უზრუნველყოფა (მათ შორის თავდებობით) ან/და ნებისმიერი გზით (მათ შორის კაპიტალის შევსებით) შესრულება;
- ბანკის ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის ხელშეწყობით ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის მიერ ობლიგაციების განთავსებისა და გაყიდვის შემთხვევაში, მოზიდული თანხა სრულად უნდა მოხმარდეს ჯგუფის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების წინსწრებით დაფარვას. ამ შემთხვევაში სესხების წინსწრებით დაფარვის საკომისიო იქნება 0%;
- იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული თვის ჭრილში ჯგუფის კუმულატიური DSCR იქნება 1.0-ზე მეტი, ბოლო 12 თვის ჯამური კუმულატიური DSCR იქნება არანაკლებ 1.2 და ამასთანავე კლიენტი ასრულებს წლის დასაწყისში წარმოდგენილ ბიუჯეტს, ჯგუფს უფლება აქვს გასცეს შეთანხმებული პრივილეგირებული, ჩვეულებრივი და ექსტრა დივიდენდები, ასევე მენეჯმენტისა და ტოპ მენეჯმენტის ბონუსები. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შესრულდეს/ არ დაირღვეს წინამდებარე ხელშეკრულების 1, 2 და 3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები;

- ჯგუფს/კლიენტს არ აქვს უფლება სს “თიბისი ბანკის” წინასწარი თანხმობის გარეშე განახორციელოს პრივილეგირებული აქციების ემისია/გამოშვება.
- მსესხებელმა/ნიკორა ჯგუფმა უნდა განახორციელოს “Maintenance” კაპ.დაბანდებები არაუმეტეს ბიუჯეტით განსაზღვრული ოდენობით, ხოლო “Development” კაპ.დაბანდებები უნდა განხორციელდეს თუ სრულდება სესხის მომსახურების კოეფიციენტით განსაზღვრული მოთხოვნა ან ბანკთან შეთანხმებით ყოველკვარტლური მონიტორინგის შედეგების მიხედვით;
- ჯგუფში შემავალ არც ერთ კომპანიას არ აქვს უფლება, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე, გასცეს ფინანსური გარანტიები (თავდებობები) ან უფლებრივად ნებისმიერი ფორმით (მათ შორის გირავნობით) დატვირთოს სხვა პირ(ებ)ის მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები
- კლიენტს არ აქვს უფლება ბანკის თანხმობის გარეშე მსესხებლის კაპიტალში უზრუნველყოს სესხის მოქმედების მანძილზე კუმულატიურად 4.9%-ზე მეტი წილის/აქციის გასხვისება და/ან სს ნიკორასა და სს ნიკორა ტრეიდის მენეჯმენტის (რაშიც იგულისხმება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული წარმომადგენლობასა და/ან ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები) ცვლილება ან/და აღმასრულებელ/სამეთვალყურეო ორგანოში ცვლილების განხორციელება
- მსესხებელს/ნიკორა ჯგუფს არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე: ა) გააფორმოს ლიზინგი, აილოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტიდან; ბ) აილოს ფინანსური ვალდებულებები (გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა);
- მსესხებლის/პრინციპალის პარტნიორების/აქციონერების კუთვნილი წილები/აქციები მესამე პირების სასარგებლოდ არ უნდა დაიტვირთოს უფლებრივად ნებისმიერი ფორმით, მათ შორის გირავნობით;
- იმ შემთხვევაში თუ ჯგუფის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების წინსწრებით დაფარვა მოხდება პრივილეგირებული აქციების გასხვისებიდან მიღებული თანხით და წინსწრებით დაფარვიდან 6 თვის განმავლობაში ჯგუფში შემავალი არც ერთი კომპანია არ აიღებს საკრედიტო პროდუქტებს სხვა ბანკიდან, ჯგუფის ჯამში არაუმეტეს 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პროდუქტებზე წინსწრებით დაფარვის საკომისიო იქნება 0%;
- მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია, ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარმოადგინოს და უზრუნველყოს ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიების მიერ გასული თვის რეალიზაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, ამასთან 25 რიცხვამდე წარმოადგინოს და უზრუნველყოს ჯგუფის მიერ გასული თვის ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, პირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი) და ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში კონკრეტული მუხლების დეტალური გამიფვრის წარდგენა
- ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 თვეში უზრუნველყოს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ გასული კვარტლის ამონაწერების (ბრუნვითი უწყისები) წარდგენა, რომლებიც ამოღებული უნდა იყოს ბუღალტრული პროგრამიდან;
- მსესხებელი ვალდებულია ყოველი წლის დასრულებიდან 165 (ას სამოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში ბანკს მიაწოდოს ჯგუფში შემავალი კომპანიების კონსოლიდირებული და სს ნიკორა ტრეიდის გასული წლის აუდირებული ფინანსები აუდიტის რეპორტთან ერთად, მომზადებული ბანკისთვის მისაღები აუდიტორული კომპანიის მიერ;
- მსესხებელმა და ჯგუფმა ექსკლუზიურად უნდა ისარგებლოს სს „თიბისი ბანკის“ საოპერაციო მომსახურებით, შემდეგი მოცულობებით:
 1. გადარიცხვების - 90%.
 2. კონვერტაციები - უნდა განხორციელდეს ბანკში, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხვა საბანკო დაწესებულება შესთავაზებს უკეთეს პირობებს და ბანკი უარს განაცხადებს უკეთესი პირობებით კონვერტაციაზე.
 3. სახელფასო პროექტი - მსესხებელმა/პრინციპალმა არ უნდა აილოს სხვა ბანკის სახელფასოში ჩართვის ვალდებულება. ამასთან ერთად თიბისი ბანკი უნდა იყოს პრეფერენცირებული სახელფასო პროექტის შემთავაზებელი და თუ თანამშრომლისთვის მნიშვნელობა არ აქვს რომელი ბანკის სახელფასო ექნება, უნდა დამზადდეს თიბისის ბარათები
 4. ტერმინალები - მსესხებელი/პრინციპალი ვალდებულია თიბისისა და მეგობარი ბანკების ბარათების გატარებები სრულად განახორციელოს სს “თიბისი ბანკში”
 5. ინკასაციები - არანაკლებ 70%.

6. საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთების მინიმუმ 75%

- იმ შემთხვევაში თუ წლის ბოლომდე მოხდება სს ნიკორა ტრეიდის კაპიტალში თანხის მოზიდვა ინვესტორის მოყვანის გზით და აღნიშნული თანხით დაიფარება სს „ნიკორა ტრეიდის“ ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებები და ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვიდან 6 თვის განმავლობაში ჯგუფში შემავალი არც ერთი კომპანია არ იკისრებს ვალდებულებებს სხვა ბანკის წინაშე, სს „ნიკორა ტრეიდის“ ვალდებულებების წინსწრებით დაფარვის საკომისიო იქნება 0%;
- კლიენტს უფლება ექნება რეფინანსირების საკომისიოს გადახდის გარეშე განახორციელონ ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების სრულად რეფინანსირება თუ დაკმაყოფილებულ იქნება ქვემოთ აღწერილი ყველა პირობა: 1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული რომელიმე წინაპირობის, დამატებითი პირობის, მათ შორის არაფინანსური შეზღუდვის ან/და ბანკთან შეთანხმებული დამატებითი მოთხოვნის დარღვევისა და გამოსასწორებელი სამთვლიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ბანკი გაზრდის საკრედიტო პროდუქტებისთვის განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთს; 2. საპროცენტო განაკვეთის გაზრდიდან 3 თვის ვადაში: ა) კვლავ არ შესრულდება დარღვეული პირობა; ბ) სხვა ბანკი ჯგუფს შესთავაზებს სს „თიბისი ბანკზე“ უკეთესი პირობებით დაფინანსებას. გ) სხვა ბანკის მიერ გაცემული სესხებით მოხდება ჯგუფის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების სრულად რეფინანსირება.
- სადაზღვევო პროდუქტების შეძენისას მსესხებელი/„ჯგუფი“ ვალდებულია ისარგებლოს შპს „თიბისი დაზღვევა“-ს მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხვა სადაზღვევო კომპანია შესთავაზებს უკეთეს პირობებს და „თიბისი დაზღვევა“ უარს განაცხადებს უკეთესი პირობებით მომსახურებაზე.
- სესხის/გარანტიის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ფინანსური კოვენანტები:

ფინანსური კოეფიციენტები ითვლება სამ სუბიექტზე:

1. ნიკორა ჯგუფზე კონსოლიდირებულად
2. სს ნიკორა ტრეიდზე ინდივიდუალურად
3. ჯგუფზე სს „ნიკორა ტრეიდის“ გარეშე

ყველა ფინანსური კოეფიციენტის შესრულება უნდა მოხდეს ერთდროულად ზემოთ მოცემული სამივე სუბიექტის მიერ ნებისმიერ დროს ბოლო 12 თვით დათვლილი მონაცემებით. კოვენანტების შესრულების შემოწმების სიხშირე წარმოადგენს ბანკის დისკრეციას და ტიპიურად ხდება საანგარიშგებო წლის ბოლო მდგომარეობით. კოვენანტების კალკულაცია ხდება მენეჯერული ფინანსური ანგარიშების საფუძველზე.

- (ii) **Debt/EBITDA** კოეფიციენტი მაქსიმუმ 3.5x
- (iii) **(Debt/negative NOWC)/EBITDA** კოეფიციენტი მაქსიმუმ 3.5x
- (iv) **ICR depreciation** კოეფიციენტი მინიმუმ 2.5x
- (v) **ICR maintenance CAPEX** კოეფიციენტი მინიმუმ მინიმუმ 3.0x
- (vi) **DSCR PL Based** კოეფიციენტი მინიმუმ 1.2x
- (vii) **DSCR CFADS Based** კოეფიციენტი მინიმუმ 1.05x

1. Debt/EBITDA

მრიცხველი: Debt-ში იგულისხმება პირობების (კოვენანტების) კალკულაციის პერიოდის ბოლოს შესაბამისი სუბიექტის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული/ნაკისრი ფინანსური ან/და საკრედიტო ვალდებულება, ნებისმიერი პირის წინაშე ნაკისრი საკრედიტო (გარდა საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში კონსიგნაციით შეძენილი საქონლისა და მომსახურებისა) ვალდებულება, საგადასახადოს მიმართ არსებული იმგვარი ვალდებულებების ჯამი, რომელიც საგადასახადოს მიერ გადანაწილებულია გრაფიკი მიხედვით. ვაზუსტებთ, რომ Debt-ში არ გაითვალისწინება თიბისი ბანკის მიმართ სუბორდინირებული ვალდებულებები. ამასთან ერთად, Debt-ში არ გაითვალისწინება „ნიკორა ჯგუფის“ წევრებისგან სესხად აღებული თანხები.

მნიშვნელი: EBITDA-ში იგულისხმება უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში შესაბამისი სუბიექტის მიერ გენერირებულ საოპერაციო მოგებას დამატებული შესაბამისი პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი. ამასთან ერთად, საოპერაციო მოგების დაანგარიშებისას საოპერაციო მოგებას ემატება ადმინისტრაციულ ხარჯებში დანაკლისებთან დაკავშირებით გატარებული მოგების გადასახადი და აკლდება უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გაცემული პრივილეგირებული დივიდენდების მოცულობა. ვაზუსტებთ, რომ ბანკი მენეჯმენტის ბონუსებს განიხილავს საოპერაციო ხარჯად და შესაბამისად აღნიშნული უნდა ზედბოდეს EBITDA-ში. მასთან ერთად EBITDA-ს შესაძლოა დაემატოს მხოლოდ „თავდებობის კორექტირების თანხა“ კოვენანტის „ჯგუფზე ნიკორა ტრეიდის გარეშე“ დათვლისას, თუ იგივე ოდენობის თანხის გამოკლება მოხდება EBITDA-ზე „ნიკორა ტრეიდის“ კოვენანტის კალკულაციისას.

2. (Debt + negative NOWC) /EBITDA

მრიცხველი: Debt ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად.

Negative NOWC-ში იგულისხმება საბრუნავი კაპიტალი იმ შემთხვევაში, თუ კალკულაციის პერიოდის ბოლოს შესაბამის სუბიექტის საბრუნავი კაპიტალი არის 0-ზე ნაკლები. საბრუნავი კაპიტალის დათვლა: მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები, სესხების გარეშე. ამასთან ერთად, არც მიმდინარე აქტივებსა და არც მიმდინარე ვალდებულებებში არ უნდა შედიოდეს გრძელვადიანი აქტივების მომწოდებლებზე წინსწრებით გადახდილი თანხები/გადასახდელი ვალდებულებები.

მნიშვნელი: EBITDA ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად

3. ICR depreciation

მრიცხველი: EBITDA-ს (ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად) დაკლებული ბოლო 12 თვის განმავლობაში დარიცხული ცვეთის ხარჯი.

მნიშვნელი: ბოლო 12 თვის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი, რომელიც წარმოიშობა ზემოთ გაწერილი Debt/სესხის დეფინიციიდან.

4. ICR maintenance CAPEX

მრიცხველი: EBITDA-ს (ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად) დაკლებული ბოლო 12 თვის განმავლობაში აღიარებული maintenance CAPEX. Maintenance CAPEX არის კაპიტალური ხარჯი, რომელიც წარმოიშობა იმისთვის, რომ შენარჩუნდეს აქტივის საოპერაციო შესაძლებლობა.

მნიშვნელი: საპროცენტო ხარჯი ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად.

5. სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR P&L Based

მრიცხველი: EBITDA-ს (ზემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად) დაკლებული ბოლო 12 თვის – მანძილზე განხორციელებული ყველა კაპიტალური დანახარჯი, დაკლებული ბოლო 12 თვის მანძილზე გაცემული ყველა ტიპის დივიდენდი, მათ შორის პრივილეგირებული და ჩვეულებრივი დივიდენდები, დამატებული კომპანიის კაპიტალის შენატანები, დამატებული საკუთარი აქციების გამოსასყიდად და გამოსყიდულის ხელახლა გაყიდვით გადახდილი ნეტო თანხა, დაკლებული ბოლო 12 თვის მანძილზე დარიცხული მოგების გადასახადი, დამატებული კაპიტალური დანახარჯებისთვის ათვისებული სესხი ბოლო 12 თვის მანძილზე და დაკლებული ახალ კომპანიაში გაკეთებული ინვესტიცია.

მნიშვნელში: შესაბამისი სუბიექტის მიერ ბოლო 12 თვის მანძილზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს დამატებული მსესხებლის მიერ ბოლო 12 თვის მანძილზე გადასახდელი ძირი, გარდა საბრუნავი საშუალებების ფინანსირების სესხებზე გადასახდელი ძირისა. ასევე იმ შემთხვევაში თუ კალკულაციის პერიოდის მანძილზე

მოხდა პროდუქტის რეფინანსირება, რეფინანსირებული ძირის დაფარვის გათვალისწინება არ მოხდება მნიშვნელოვნად.

6. სესხის მომსახურების კოეფიციენტი DSCR CFADS Based

მრიცხველში: DSCR P&L Based-ის მრიცხველს დამატებული საბრუნავი საშუალების მიზნობრიობის სესხების ათვისება და დაკლებული მათი დაფარვა ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე – დამატებული წმინდა საბრუნავი კაპიტალის ცვლილება კალკულაციის პერიოდის მანძილზე. წმინდა – საბრუნავი კაპიტალი განმარტება კომპანიის მიმდინარე აქტივებს ფულის გარეშე დაკლებული მიმდინარე ვალდებულებები, სესხების გარეშე. ამასთან ერთად, არც მიმდინარე აქტივებსა და არც მიმდინარე ვალდებულებებში არ უნდა შედიოდეს გრძელვადიანი აქტივების მომწოდებლებზე წინსწრებით გადახდილი თანხები/გადასახდელი ვალდებულებები. საბრუნავი კაპიტალის ცვლილებას დამატებით დაემატება საანგარიშო პერიოდის საწყის და საბოლოო ფულს შორის სხვაობა, თუ ფულის ნაშთი გენერირებული მოგების შედეგია.

წმინდა საბრუნავი კაპიტალის ცვლილების განმარტება: პერიოდის საწყის მნიშვნელობას დაკლებული საბოლოო მნიშვნელობა

მნიშვნელობა: DSCR P&L Based-ის მნიშვნელობა

ყველა ფინანსური კოეფიციენტი ითვლება IFRS 16 მეთოდოლოგიამდე არსებული რიცხვებით.

	კოეფიციენტი	ჯგუფი კონსოლიდირებულად		სს "ნიკორა ტრეიდი"		ჯგუფი სს "ნიკორა ტრეიდი" გარეშე	
		2023 წელი	2024 წელი	2023 წელი	2024 წელი	2023 წელი	2024 წელი
Debt/EBITDA	Max 3.5x	1.18	2.26	0.59		1.87	3.17
Debt/EBITDA with NOWC	Max 3.5x	1.18	2.26	1.51		2.21	3.17
ICR with depreciation	Min. 2.5x	5.26	4.96	7.22		4.89	6.27
ICR with maintenance CAPEX	Min 3.0x	6.88	5.90	11.37		4.71	7.24
DSCR P&L Based	Min 1.2x	1.45	2.79	1.64		1.40	3.10
DSCR CFADS Based	Min 1.05x	1.50	1.26	5.78		1.61	2.10

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სს „ნიკორა ტრეიდი“ დარღვეული ჰქონდა სს „თიბისი ბანკთან“ სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული კოეფიციენტების გარკვეული მუხლები, თუმცა ამას არ გამოუწვევია ბანკის მხრიდან დეფოლტი. სს „თიბისი ბანკმა“ გასცა დარღვევაზე უარის თქმის, ე.წ. „ვეივერის“ წერილი, რომლის საფუძველზეც ბანკი არ მოახდენდა დეფოლტის გამოცხადებას სესხების კოეფიციენტების დარღვევის გამო. აღსანიშნავია, რომ დარღვევა აღმოიფხვრა 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით.

საკრედიტო ხელშეკრულება სს „საქართველოს ბანკთან“

საქართველოს ბანკის საკრედიტო ხელშეკრულების ქრილში, კოეფიციენტების დათვლა ხდება სს „ნიკორაზე“ კონსოლიდირებულად და ჯგუფის ხორცპროდუქტების მწარმოებელ შვილობილზე შპს „ნიკორას“ ქრილში ინდივიდუალურად, მენეჯერული ფინანსური ანგარიშების საფუძველზე. შესაბამის კომპანიებს, კოეფიციენტების დაცვა ევალება ნებისმიერ თარიღზე. კოეფიციენტების შესრულების შემოწმება წარმოადგენს ბანკის დისკრეციას და ხდება საანგარიშგებო წლის ბოლო მდგომარეობით.

სს „ნიკორას“ კოეფიციენტები

1. “კომპანია“ იღებს ვალდებულებას ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში კლიენტის DEBT/ფულადი ვალდებულება შეფარდებული კლიენტის EBITDA-თან იქნება არაუმეტეს 4 (ოთხი).

2. “კომპანია“ იღებს ვალდებულებას ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში კლიენტის DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,1 (ერთი მთელი ერთი მეათედი) ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი დაითვლება შემდეგნაირად: 1) DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი -საოპერაციო ნაღდი ფული (დაკორექტირებული გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის და ცვეთის დარიცხვამდე არსებული კლიენტის მოგებით, კლიენტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით, პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციონერებზე გასაცემი დივიდენდებით (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)), გაყოფილი ბანკის წინაშე საკრედიტო/საბანკო გარანტიის ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში არსებული ფულადი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის მოსამსახურებლად საჭირო ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის და კუპონის (ობლიგაციის ან აქციის მოსაჭრელი ტალონი პროცენტების ან დივიდენდის მისაღებად) ჯამზე. 2) DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი - გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის და ცვეთის დარიცხვამდე არსებული კლიენტის მოგება (დაკორექტირებული კლიენტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით, პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციონერებზე გასაცემი დივიდენდებით (დამატებითი დივიდენდების ჩათვლით)), გაყოფილი ბანკის წინაშე საკრედიტო/საბანკო გარანტიის ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში არსებული ფულადი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის მოსამსახურებლად საჭირო ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის და კუპონის (ობლიგაციის ან აქციის მოსაჭრელი ტალონი პროცენტების ან დივიდენდის მისაღებად) ჯამზე. ამასთან, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, DSCR-ის დათვლისას ჯამური კაპიტალური დანახარჯებიდან დაკორექტირდება ის მოზიდული გრძელვადიანი რესურსი (კაპიტალის ან/და სასესხო დაფინანსება), რომლითაც დაფინანსდება კაპიტალური დანახარჯები შესაბამის პერიოდში.
3. “კომპანია“ იღებს ვალდებულებას ისარგებლოს მხოლოდ ბანკის პროდუქტებით ან/და მომსახურებით, მათ შორის, საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით

	კოვენანტი	სს „ნიკორა“	
		2023 წელი	2024 წელი
Debt/EBITDA	Max 4.0x	1.2	2.3
DSCR (PL)	Min1.1x	1.5	2.0
DSCR (CF)	Min. 1.1x	1.4	2.6

შპს „ნიკორას“ კოვენანტები

4. 4.4. კლიენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე, ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში კლიენტის DEBT/ფულადი ვალდებულება (მათ შორის, კლიენტის, როგორც თავდების/სოლიდარული თავდების მიერ ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ ნაკისრი ვალდებულება) შეფარდებული კლიენტის EBITDA-თან იქნება არაუმეტეს 4.5 (ოთხი მთელი ხუთი მეათედი); 4.6. ხელშეკრულების მიზნებისათვის, EBITDA განისაზღვროს შემდეგნაირად: გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის, ცვეთის და სხვა არაფულადი, არასაოპერაციო ხარჯების და შემოსავლების დარიცხვამდე არსებული მოვალის მოგებას გამოკლებული დაანგარიშების პერიოდში საიჯარო ვალდებულებ(ებ)იდან გამომდინარე გაწეული/გასაწევი ხარჯები.
5. 4.5. კლიენტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს, რომ გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე, ნებისმიერი 12 (თორმეტი) თვიანი პერიოდის განმავლობაში კლიენტის DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1.1

(ერთი მთელი ერთი მეათედი); 4.7. ხელშეკრულების მიზნებისათვის, DSCR/ბანკის წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მომსახურების კოეფიციენტი განისაზღვროს შემდეგნაირად: გადასახადების და საპროცენტო სარგებლის გადახდამდე, ასევე აქტივებზე ამორტიზაციის, ცვეთის და სხვა არაფულადი, არასაოპერაციო ხარჯების და შემოსავლების დარიცხვამდე არსებული მოვალის მოგებას (დაკორექტირებული კლიენტის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული კაპიტალური დანახარჯებით, დივიდენდებით, მოგების გადასახადით და ცვლილებებით საბრუნავ კაპიტალში, გარდა ფულის ნაშთის ცვლილებისა) გამოკლებული დაანგარიშების პერიოდში საიჯარო ვალდებულებიდან გამომდინარე გაწეული/გასაწევი ხარჯები გაყოფილი ბანკის, სს თიბისი ბანკის (ს/ნ: 204854595) და საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომერციული ბანკების წინაშე არსებული ფულადი ვალდებულების მიმდინარე ნაწილის მოსამსახურებლად საჭირო ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის ჯამზე.

6. 4.6.3. ისარგებლოს მხოლოდ ბანკის პროდუქტებით ან/და მომსახურებით, მათ შორის, საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, კლიენტი უფლებამოსილია სავალუტო გარიგება დადოს სხვა ბანკებში ან შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებში იმგვარად, რომ საბანკო ბრუნვის და საბანკო ანგარიშებზე ნაშთის 100 (ასი) % აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ ბანკის მეშვეობით, მათ შორის, კლიენტმა შეიძლება ასეთი გარიგება დადოს ბლუმბერგის Bmatch პლატფორმაზე.

	კოვენანტი	შპს „ნიკორა“	
		2023 წელი	2024 წელი
Debt/EBITDA	Max 4.5x	1.5	3.7
(Debt - NWC) / EBITDA	Max 3.5x	0.4	2.5
ICR	Min. 3.0x	8.8	3.6
DSCR (PL)	Min 1.1x	4.2	1.2
DSCR (CF)	Min 1.1x	2.2	1.7

„ემიტენტის“ განცხადებები

ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე არ მომხდარა სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობა;

გარდა „ობლიგაციების“ გამოშვებით მოზიდული თანხებისა, ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, „კომპანიას“ არ გეგმავს ახალი საკრედიტო რესურსების დამატებას.

„კომპანიის“ შეფასებით, „ობლიგაციების“ სახით ახალი დაფინანსების მოზიდვა არ დაარღვევს არსებულ კოვენანტებს გამსესხებელბთან/ბონდჰოლდერებთან.

მარეგულირებელი გარემო

ზოგადი მიმოხილვა

სს „ნიკორას“, როგორც ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობას არ სჭირდება სპეციალური ლიცენზიის, ნებართვის ან რაიმე მსგავსის აღება; შესაბამისად წილების ფლობა სხვა კომერციულ საწარმოებში ითვლება არარეგულირებულ კომერციულ საქმიანობად. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ფლობდეს წილებს სხვა საწარმოში ცენტრალიზებული მარეგულირებლის ზედამხედველობის გარეშე, და, შესაბამისად, ასეთი კომპანიები გათავისუფლებულნი არიან ანგარიშგების ვალდებულებისგან და ა.შ.

„კომპანიის“ შვილობილები ქვემდებარებიან გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რამდენადაც ისინი ჩართულნი არიან საკვების წარმოებაში, გადამუშავებაში და საცალო გაყიდვაში. შესაბამისად, ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან

გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროდუქტების მიმოქცევასთან და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების საბოლოო უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „კომპანიის“ ბიზნეს-საქმიანობისთვის.

მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, საკვები პროდუქტების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მწარმოებლების მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვალებადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შეცვლის მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა სპეციალური საკვები და არა-საკვები პროდუქტების გაყიდვის წესებს, ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის წესებს, ალკოჰოლის გაყიდვის წესებს, და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში საკვები პროდუქტის საცალო გაყიდვასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფდა საკვები პროდუქტის უსაფრთხოებას, იყო 1999 წლის 25 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი საკვებისა და თამბაქოს შესახებ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მსგავსად, აღნიშნული კანონიც ეფუძნებოდა საბჭოთა სტანდარტებს და იყო ზოგადი ხასიათის. კანონი შეიცავდა შეზღუდვებს საკვების წარმოებაში პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით და არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პასუხისმგებლობის ზომას აღნიშნული შეზღუდვების დარღვევისთვის, რაც რეგულირდებოდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით. ბუნებრივად, მზარდმა ბაზარმა და საკვების ადგილობრივი მწარმოებლების განვითარებამ წარმოშვა უფრო ახალი მარეგულირებელი სტანდარტების დადგენის საჭიროება, რამაც შედეგად გამოიწვია პროდუქტის უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ კანონის (2005 წლის 27 დეკემბერი) და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიღება.

თუმცა, აღნიშნული რეგულაცია პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიციხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ახალი კოდექსი. [პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი⁸](#) მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=39>

კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას. რაც შეეხება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსს, იგი იყო „DCFTA“-ის მოლაპარაკებებისთვის საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციების პირდაპირი შედეგი.

2022 წელს 29 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა და 2022 წლის 1 ივნისიდან ძალაში შევიდა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონი. კანონი არეგულირებს ურთიერთობებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის. მომხმარებლად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც არაკომერციული მიზნით ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას.

კანონით გათვალისწინებულია დებულებები მოვაჭრის და მომხმარებლის ძირითადი უფლებები და ვალდებულებების, დისტანციური ხელშეკრულების და სარეწის გარეთ დადებული ხელშეკრულების, სამომხმარებლო ხელშეკრულების, ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობების, უსამართლო კომერციული საქმიანობის შესახებ, ასევე, კანონით დადგენილია მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები.

ახალი კანონით განისაზღვრა მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები, კერძოდ კანონის აღსრულებაზე ზედამხედველ ორგანოდ 2022 წლის 1 ნოემბრიდან განისაზღვრა სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. კანონი ითვალისწინებს სააგენტოსთვის მიმართვის, საქმის შესწავლის წესებს და პირობებს ასევე კონკურენციის სააგენტოს მინიჭებული აქვს სანქციის გამოყენების უფლებამოსილება დარღვევების გამოვლენისას. სააგენტო გასცემს მითითებებს დამრღვევის მიმართ, რომელთა შესრულება სავალდებულოა. სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება, კანონით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში.

საკვების წარმოებისა და გაყიდვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ძირითად მახასიათებლები

როგორც უკვე აღინიშნა, საკვების წარმოება (მათ შორის, მეცხოველეობა საკვების წარმოების მიზნებისათვის) და საკვების საცალო გაყიდვა რეგულირდება ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტით: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით.

I. **პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი** ძირითადად კონცენტრირებულია მწარმოებლის პასუხისმგებლობაზე უხარისხო პროდუქტისათვის და აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს პროდუქტის შესახებ მომხმარებლისთვის ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, და, შესაბამისად, უზრუნველყოფს უსაფრთხო პროდუქტის განთავსებას ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ კოდექსი განვითარებული ქვეყნების უცხოურ სტანდარტებს აღიარებს საკმარის მტკიცებულებად, რათა იქ წარმოებული პროდუქცია დაუშვას ქართულ ბაზარზე ყოველგვარი დამატებითი პროცედურის გარეშე.

კოდექსი ადგენს მწარმოებლის პასუხისმგებლობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს საქართველოში უცხოური პროდუქტის იმპორტიორის პასუხისმგებლობას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მწარმოებელს აქვს წარმომადგენლობა საქართველოში) ნებისმიერი იმ ზიანისთვის და/ან დანაკარგისთვის, რომელიც გამოწვეულია უხარისხო პროდუქტით. შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის პერიოდი შეადგენს 3 წელს, რომლის ათვლაც იწყება იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა გაიგო (ან უნდა გაეგო) თავისი უფლებების დარღვევის შესახებ, იმ პირობით, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის გამომწვევი პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტიდან 10 წლის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებლის პასუხისმგებლობა არ შეიძლება შეიცვალოს

ხელშეკრულებით და მისი გამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ კოდექსით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგ. პროდუქტი არ იყო უხარისხო იმ მომენტში, როცა განთავსდა ბაზარზე და სხვ.).

II. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი აერთიანებს რეგულაციის სამ სფეროს, რომელიც ადრე რეგულირდებოდა სამი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით. კოდექსი ადგენს მარეგულირებლის კომპეტენციასა და ფუნქციებს თითოეული სექტორისათვის და განსაზღვრავს იმ კონტროლის მეთოდებს, რომლითაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საკანონმდებლო ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციას პრაქტიკაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის მთავარი მოთამაშე საკვების წარმოების სექტორში და ყველა ბიზნესოპერატორი, რომელიც საქმიანობს ამ სფეროში, ექვემდებარება სააგენტოს რეგულაციას. აღნიშნული მიზნებისათვის, თითოეული საწარმო, რომელიც მოღვაწეობს შესაბამის რეგულირებად სფეროში, ვალდებულია ამგვარ ბიზნეს ოპერატორად დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში. ამასთან, თითოეული საკვების მწარმოებელი ვალდებულია დანერგოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილება №581-ით (სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე). ბიზნესოპერატორმა კოდექსით დადგენილი სტანდარტები უნდა დაიცვას წარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, თავად წარმოებისას, გადამუშავებისას და დისტრიბუციისას - რეალიზაციას.

სააგენტო აღჭურვილია ფუნქციათა ფართო სპექტრით, რომელიც საშუალებას აძლევს მას გააკონტროლოს საკვების მწარმოებლების მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა. მათ შორის, სააგენტო უფლებამოსილია დაავალდებულოს მწარმოებელი ამოიღოს ყველა პროდუქტი, თუ სააგენტოს აქვს „დასაბუთებული ეჭვი“, რომ ეს პროდუქტი შეიძლება იყოს მავნე. ასევე, სააგენტოს უფლება აქვს: (ა) შეამოწმოს მწარმოებლის დაწესებულება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, აიღოს ნიმუშები და შეამოწმოს შესაბამისი დოკუმენტაცია; (ბ) მონიტორინგი გაუწიოს მწარმოებელს წინასწარ დაგეგმილი ვიზიტების მეშვეობით, სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, წინა წლების შედეგების საფუძველზე (მაგ.: საკვების მოწამვლის, გარემოს დაბინძურების და სხვ. შემთხვევები); (გ) ზედამხედველობა გაუწიოს მწარმოებლის მიერ ნარჩენი საკვების განადგურებას, ბაზრიდან საკვების ამოღებას და რეგულატორის მითითებების შესრულებას. სააგენტოს კომპეტენცია იმ ბიზნეს ოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, არის იგივე.

ზემოთ აღწერილი ძირითადი კოდექსების გარდა, საკვების მწარმოებლები და ის საწარმოები, რომლებიც ეწევიან მეცხოველეობას, ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის მიერ კონკრეტული სექტორებისთვის მიღებულ მრავალ ტექნიკურ სტანდარტს. ამ მხრივ კომპანია ფლობს საერთაშორისო სტანდარტებს: ISO 9001:2015, ISO 22000:2018 და ISO 14000:2015. კომპანიაში დანერგილია HACCP სისტემა, ხორციელდება სურსათის უვნებლობის სფეროში ყველა საკანონმდებლო მოთხოვნის და რეგულაციის იმპლემენტაცია სავაჭრო ობიექტების ფილიალებსა და საწარმო უბნებზე, მთელი რეგიონის მასშტაბით.

„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“ ,თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. საკვების უსაფრთხოება) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის მეოთხე თავი (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები) შეიცავს საქართველოს ვალდებულებას ექვსი თვის ვადაში (2015 წლის თებერვალი) ევროკავშირის წარუდგინოს ევროკავშირის იმ კანონმდებლობის სია, რომელთანაც უნდა მოხდეს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება. შემდგომში, აღნიშნული სია შეიცვალა საქართველოში ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტის შედეგად. არსებული რედაქციით კანონმდებლობის სია შეიცავს ევროკავშირის 102 საკანონმდებლო აქტს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და 84 აქტს ვეტერინარიასთან დაკავშირებით.

არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ საკვების წარმოებასთან და მეცხოველეობასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღება გაზრდის შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯებს.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „ნიკორა“ ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2013 წლის ივნისში და 2020 წლის სექტემბერში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, გამონაკლისს წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე მომუშავე თანამშრომლები, რა შემთხვევაშიც დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.

ასევე კოდექსი არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსში ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

შრომის უსაფრთხოება

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. „კომპანიას“ წარმოეშობა მთელი რიგი ვალდებულებები აღნიშნული საკანონმდებლო აქტიდან გამომდინარე. მათ შორის, (ა) „კომპანიის“ ის შვილობილები, რომლებიც დაკავებულნი არიან კვების პროდუქციის წარმოებით, ვალდებული იყვნენ დარეგისტრირებულიყვნენ პირებად, რომლებიც ახორციელებენ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს; და (ბ) თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

კომპანია მუდმივად ზრუნავს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს ბუნებრივი რესურსების ფუჭი გამოყენება. ამისთვის საქმიანობაში ჩართული ობიექტები აღჭურვილია ენერგო ეფექტური ტექნიკით და ხელსაწყოებით. ასევე მუდმივად ხდება ახალი გზების მოძიება და პრაქტიკის დახვეწა.

„ნიკორა ჯგუფის“ მასშტაბით აქტიურად გამოიყენება ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ათვისება, წარმოება აღჭურვილია მზის ენერგიის სისტემით. ოპერირების პროცესში „ემიტენტის“ პრიორიტეტია ნარჩენების საერთო რაოდენობის შემცირება და გარდაუვალი ნარჩენების რეციკლირება.

სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შემდგომში გაუნებელყოფის მიზნით შესაბამის გამოცდილების მქონე კომპანიებს.

საზოგადოების არსებობის შეწყვეტა ახალი კანონმდებლობა

ახალი კანონით „მეწარმეთა შესახებ“ რეგულირდება სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი და გამოიყოფა არსებობის შეწყვეტის სამი სტადია:

- საზოგადოების დაშლა;
- საზოგადოების ლიკვიდაცია;
- რეგისტრაციის გაუქმება.

საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

კანონის თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობაა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ხდება ლიკვიდაციის პროცესის განახლება და სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

გადახდისუუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „კომპანიაზე“, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვა მათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადეკვატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიამ ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურისაციასთან); ან გ) გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძვლები ან ასეთი საფუძვლები აღმოფხვრილ იქნა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები:

- i. პრეფერენციული მოთხოვნები;
- ii. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
- iii. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადო მოთხოვნების თანხა, რომლებსაც არ მოიცავს ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები;
- iv. მოთხოვნები, რომელიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტისა და ჯარიმის სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები/საურავები;

v. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;

vi. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდის, აქციათა გამოსყიდვის ან შენატანის დაბრუნების ვალდებულებები).

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

ანგარიშვალდებული საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

კომპანია არის ანგარიშვალდებული საწარმო და ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები.

ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვალდებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარწლიური ანგარიში: წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

- a. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- b. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად კომპანია მოამზადებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშს. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

ინფორმაცია „ემიტენტისა“ და შვილობილების მიმართ გატარებული საზედამხედველო ზომების შესახებ

- სს „ნიკორამ“ 2023-ის წლიური ანგარიშგების წარდგენის ვადას გადააცილა 2 დღით, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო საზედახმედველო ზომები და 2024 წელს „კომპანია“ დაჯარიმდა 10,000 ლარით;
- 2024 წელს, სს „ნიკორა“ დაჯარიმდა 1,000 ლარით, ნახევარწლიური ანგარიშის დადგენილი ფორმით წარუდგენლობიდან გამომდინარე;
-
- სს „ნიკორას“ მიერ 2024 წელს პირველად იქნა წარდგენილი კორპორაციული მართვის ანგარიშგება და დანართი #1-#3-ით განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში. წლიურ ანგარიშთან ერთად წარდგენილი განაცხადი (დანართი #1) ტექნიკური ხარვეზის გამო არ შეიცავდა (სრულად) კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირების (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის) ხელმოწერას, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სს „ნიკორას“ განესაზღვრა დამატებითი ვადა, რის ფარგლებშიც კომპანიის მიერ მოხდა მითითებული ხარვეზის გასწორება.
- იდენტური სახის ხარვეზის გასწორებისათვის ასევე დამატებითი ვადა განესაზღვრა სს „ნიკორა ტრეიდს“, რომლის მიერაც დამატებით დადგენილ ვადაში იქნა წარდგენილი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შედგენილი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში ყველა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

მიმოხილვა

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამდონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს გენერალური დირექტორი, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს პერიოდულ კონტროლს.

ამასთან, კომპანიის წესდებაში მკაცრად გამიჯნულია კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები და თუ საერთო კრება მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებას (როგორიცაა კომპანიის წესდების შეცვლა, დივიდენდების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება კომპანიის რეორგანიზაციის თაობაზე და ა.შ.), სამეთვალყურეო საბჭო გაცილებით მჭიდროდ ზედამხედველობს მენეჯმენტის საქმიანობას და მთელი რიგი ტრანზაქციები/ქმედებები საჭიროებს მის თანხმობას (მაგალითად, როგორიცაა ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, სესხებისა და კრედიტების აღება 10 მილიონ ლარს ზემოთ, ახალი ეკონომიკური საქმიანობის დაწყება, სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების დადგენა, სავაჭრო წარმომადგენლების დანიშვნა და გაწვევა, საზოგადოების შექმნა და გასხვისება, რომლის ღირებულება აღემატება კომპანიის აქტივების საბალანსო ღირებულების 10%-ს და ა.შ.).

აქციონერთა საერთო კრება

საზოგადოების წესდების თანახმად საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება წესდებით განსაზღვრული პირობების მიერ. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ საწესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტი მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხან დაკავშირებით.

საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

აქციონერები უფლებამოსილი არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები სხვა საკითხებთან ერთად, საერთო კრებაზე შემდეგ საკითხებზე:

- შეცვალოს საზოგადოების წესდება, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, შეიტანოს სხვა ცვლილებები საზოგადოების წესდებაში. გადაწყვეტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის, ან გარდაქმნის შესახებ;
- მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციებში კორექტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას;
- აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
- დაამკტიცოს გენერალური დირექტორის და საბჭოს ანგარიში;
- გადაწყვეტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურების საკითხი;
- აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღების ან/და უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც აღემატება 20 მილიონ ლარს;
- „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და წესდებით განსაზღვრული სხვა საკითხები.

აქციონერები

სს „ნიკორას“, სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (2023: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 160 და 160 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. განთავსებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები სრულად ანაზღაურებულია.

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, სს „ნიკორას“ ჩვეულებრივი აქციონერები შემდეგი პირები არიან:

აქციონერი	ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობა	წილი კლასში
ვასილ სუხიაშვილი	1,488,235	23.0%
GREENMOON LTD*	860,580	13.3%
დუმბაძე დავით	679,413	10.5%
გუბანოვი ოლეგ	647,057	10.0%
ცირეკიძე თალიკო	582,353	9.0%
სს ნიკორა სახაზინო	417,359	6.5%
სალუქვაძე მკა	388,236	6.0%
სხვა აქციონერები	1,407,355	21.8%
სულ	6,470,588	100.0%

სხვა ინვესტორები 5%-ზე ნაკლებ წილს ფლობენ სს „ნიკორაში“

ცხრილში წარმოდგენილ 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს არ აქვთ განსხვავებული ხმის უფლება.

Greenmoon LTD არის კვიპროსში დაფუძნებული კომპანია, რომლის დირექტორი და 100%-ის წილის მფლობელი არის სერხიოს დანილისი, რომელიც წილებს ფლობს და მართავს როგორც ნომინალური მფლობელი, მინდობილობის/ტრასტის დეკლარაციის საფუძველზე.

Greenmoon LTD-ს ნომინალურ მფლობელობაში არსებული აქციების ბენეფიციარი მფლობელები არიან შემდეგი პირები:

აქციონერი	წილი
დენის ტარადინი	70.3%
ვასილი ტარადინი	9.9%
გლებ ტარადინი	9.9%
დემენტი ტარადინი	9.9%

პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, სს „ნიკორას“ პრივილეგირებული აქციონერები შემდეგი პირები არიან:

აქციონერი	პრივილეგირებულ აქციათა რაოდენობა	წილი კლასში
ისაიევი ანდრეი	78	48.8%
PELICAN VENTURES CORP	20	12.5%
ვაჩნაძე გიორგი	13	8.1%
ნიჟარაძე ტარას	10	6.3%
გუბანოვი ოლეგ	8	5.0%
სხვა აქციონერები	31	19.4%
სულ	160	100.0%

„კომპანიის“ საბოლოო ბენეფიციარები:

ბატონი ვასილ სუხიაშვილი

ბატონი ვასილ სუხიაშვილის ბიოგრაფიისთვის გთხოვთ იხილოთ სექცია - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ბატონი დენის ტარადინი

ბატონ დენისის ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია მენეჯერის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი ოლეგ გუბანოვი

ბატონი ოლეგ გუბანოვის ბიოგრაფიისთვის გთხოვთ იხილოთ სექცია - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ბატონი დუმბაძე დავით

ბატონი დავით დუმბაძის ბიოგრაფიისთვის გთხოვთ იხილოთ სექცია - „მმართველი ორგანო და მენეჯმენტი“.

ქალბატონი ცირეკიძე თალიკო

ქალბატონ თალიკოს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

ქალბატონი სალუქვაძე მაკა

ქალბატონ მაკას ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია მენეჯერის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი ანდრეი ისაიევი

ბატონ ანდრეის ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია მენეჯერის/სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი გიორგი ვაჩნაძე

კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს პლასტიკტრეიდინგი (ს.ნ. 205049810).

ბატონი ტარას ნიჟარაძე

კომპანიები, სადაც ბატონი ტარასი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ჯი თი აი სი (ს.ნ. 202059262)

შპს AN-ჯადვარი (ს.ნ. 222939195); შპს ახალგაზრდული სამოგზაურო ბიურო (ს.ნ. 204445225); შპს გუდაური მენეჯმენტ გრუპ (ს.ნ. 229324460); შპს ენერგო-არაგვი (ს.ნ. 229282594); შპს დიარი (ს.ნ. 211340208); შპს კვადრო-G (ს.ნ. 211340342); შპს ენერგო-არაგვი (ს.ნ. 204515177); შპს სითიეს (ს.ნ. 202195061);

სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7(შვიდი) წევრისგან (წესდების 7.1 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.1 პუნქტი). სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე და წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამავე კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/საზოგადოების დირექტორი. (წესდების 7.5 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 5.2 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები და პოლიტიკა გათვალისწინებულია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 10.3 პუნქტი) ხოლო სამეთვალყურე საბჭოს თავმჯდომარეს თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო (წესდების 7.6 პუნქტი, სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 6.2 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭოს უფლება აქვს:

- საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სააქციო საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, სააქციო საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო;
- შეამოწმოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

სახელი	თანამდებობა	წევრად დანიშვნის თარიღი	ვადა ⁹
ვასილ სუხიაშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
გურამ ცერცვაძე	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
ირაკლი ნიკოლაიშვილი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
გელა არობელიძე (დამოუკიდებელი წევრი)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
დავით დუმბაძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
დავით ცირეკიძე	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]
ოლეგ გუზანოვი	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	4/12/2017	[ახალი შემადგენლობის არჩევამდე]

ბატონი ვასილ სუხიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

⁹ კანონმდებლობის მიხედვით, წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით, თუმცა ხდება ხელახალი არჩევა ახალი შემადგენლობის შერჩევამდე

სს „ნიკორა“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახდა. სს „ნიკორა“-ს დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილს მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ბატონ ვასილს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი გურამ ცერცვაძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი გურამ ცერცვაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 1998-2008 წლებში შპს „ნიკორა“-ს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებდა, ხოლო 2008 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. მისი წარსული გამოცდილება უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციას ("Care" 1993-1997) და კვების პროდუქტების იმპორტისა და დისტრიბუციის კომპანიას (შპს "აგრო ბიზნეს ჯორჯია" 1997-1998). ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს მექანიკურ ინჟინერიაში.

ბატონ გურამს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი ირაკლი ნიკოლაიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი ნიკოლაიშვილი სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 1998 წლიდან. 2001-2005 წლებში იგი მუშაობდა „ნიკორა“-ს კომერციული დირექტორის თანამდებობაზე, 2005-2008 წლებში კი რძის პროდუქტების წარმოების მიმართულების დირექტორად. 2008-2016 წლებში, სს „ნიკორა“-ს მიერ რძის პროდუქტების კომპანიის შპს „ჩვენი ფერმერი“-ს დაფუძნების შემდეგ იკავებდა დირექტორის თანამდებობას. 2017 წლიდან სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თანამდებობაზე. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალობით ელექტრონული ტექნიკის მასალებისა და კომპონენტების ფიზიკა და ტექნოლოგია.

კომპანიები, სადაც ბატონი ირაკლი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს რეფ ელ (ს.ნ. 400387149), შპს რეფ ენ (ს.ნ. 400345195), შპს რეფ ბი (ს.ნ. 400402872).

ბატონი გელა არობელიძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ბატონი გელა არობელიძე სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2008 წლიდან. 1997-2008 წლებში მარტინ ბაუერის ცენტრალური ოფისის დირექტორის პოზიციას იკავებდა. უფრო ადრინდელი გამოცდილება კი ოზურგეთის პურკომბინატის დირექტორის და აგრეთვე ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა სამსახურის უფროსის პოზიციაზე მუშაობას უკავშირდება. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი.

ბატონ გელას ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

ბატონი დავით დუმბაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით დუმბაძე სს „ნიკორა“-ს დამფუძნებელია 2003 წლიდან, ხოლო 2010 წლიდან სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. მას მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია სხვადასხვა დარგში კომპანიების ხელმძღვანელობის და ინვესტიციების მართვის კუთხით. დაამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მსოფლიო ეკონომიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ასპირანტურა.

კომპანიები, სადაც ბატონი დავითი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც არის ან იყო ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ად ოილ ექსპორტი (ს.ნ. 404954171), რამაზ და ნატალია ჩხიკვაძეების სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ბერიკა“ (ს.ნ. 404979500).

ბატონი დავით ცირეკიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონი დავით ცირეკიძე სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2010 წლიდან. ფლობს ბაკალავრის ხარისხს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან. 1989-2006 წლებში რუსთავის, თერჯოლის და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის პოზიციაზე მოღვაწეობდა.

კომპანიები, სადაც ბატონი დავითი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც არის ან იყო ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს „დი ენდ ჯი ტრეიდი 98“ (ს/ნ 402247207).

ბატონი ოლეგ გუბანოვი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ბატონ ოლეგს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უმუშავია სხვა კომპანიაში მმართველი ორგანოს წევრის თანამდებობაზე.

დირექტორატი

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება გენერალურ დირექტორს. გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს საზოგადოებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში. გენერალური დირექტორი ამასთანავე ასრულებს კომპანიის საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს. ხელმძღვანელი ორგანოს სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კომპანიის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას მათ შორის განეკუთვნება ყველა საკითხი, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ან კომპანიის წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.

ხელმძღვანელი ორგანოს წევრები:

სახელი	თანამდებობა	ხელშეკრულების დადების თარიღი	ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ირაკლი ბოქოლიშვილი	გენერალური დირექტორი	6/12/2010	უვადო

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი - გენერალური დირექტორი

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როცა იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. იგი იყო „ბაზის ბანკის“ ერთერთი დამფუძნებელი სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ბატონ ბოქოლიშვილს დაცული აქვს დისერტაცია სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. მას აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

კომპანიები, სადაც ბატონი ირაკლი მენუჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს დენ ბრავენ ჯორჯია (ს.ნ. 205026498).

საკვანძო მენუჯმენტის წევრები:

ბატონი დავით ურუშაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე

“ბატონი დავით ურუშაძე პროფესიით ფინანსისტია აქვს გამოცდილება რითეილში, წარმოებასა და საბანკო სფეროში. იგი სს „ნიკორას“ გენერალური დირექტორის მოადგილეა და კურიერებს ჯგუფში არსებული კომპანიების ინდუსტრიული განვითარების პროექტებს. მიმდინარე პოზიციას იკავებს 2024 წლის მაისიდან. 2021-2024 წლებში მუშაობდა IDS ბორჯომი საქართველოს მე-2 ქარხნის დირექტორის პოზიციაზე და მონაწილეობდა ახალი ქარხნის მშენებლობა-ექსპლუატაციაში გაშვების პროცესში. 2015-2021 წლებში იკავებდა სს "ნიკორა ტრეიდის" აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, მანამდე კი სამი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. „ნიკორაში“ დანიშვნამდე, იგი მუშაობდა „ბაზისბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხაზინის დეპარტამენტის უფროსი იყო. ბატონ ურუშაძეს აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ბატონი ირაკლი გეჯაძე - ფინანსური დირექტორი

ბატონი ირაკლი გეჯაძე სს ნიკორას 2018 წლიდან შემოუერთდა ფინანსური დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, ხოლო 2020 წლის ივლისიდან ფინანსური დირექტორის პოზიციას იკავებს. 2011-2017 წლებში იყო საქართველოს რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის დირექტორის მოადგილე ფინანსებში. უფრო ადრინდელი სამუშაო გამოცდილება კი საინვესტიციო და საბანკო სფეროს უკავშირდება. ბატონი ირაკლი გეჯაძე ფლობს მაგისტრის ხარისხს ფინანსებში ბიზნესის სკოლა ESM-სგან.

აუდიტის კომიტეტი

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ვალდებულებები შემდეგია:

- განიხილოს და დაამკტიცოს შიდა აუდიტის როლი და უფლებამოსილება, განახორციელოს შიდა აუდიტის მიერ გაწეული სამუშაოს ზედამხედველობა და მონიტორინგი.
- განიხილოს და დაამკტიცოს ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა.
- მიიღოს ზომები იმ მიზნით, რომ შიდა აუდიტს გააჩნდეს შეუზღუდავი და ყველა აუცილებელი წვდომა შესაბამის ინფორმაციასა და პირებზე, იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს დაკისრებული ვალდებულების შესრულება.
- განიხილოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის წლიური გეგმა.
- ზედამხედველობა გაუწიოს და შეაფასოს კომპანიის შიდა აუდიტის როლი და მუშაობის ეფექტურობა. მონიტორინგი გაუწიოს მათ საქმიანობას, შეაფასოს მისი საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა.
- განიხილოს კომპანიის შიდა აუდიტის მიერ კომიტეტისთვის წარდგენილი ანგარიშები.
- მონაწილეობა მიიღოს კომპანიის გარე აუდიტორის შერჩევაში. აქტიურად ითანამშრომლოს და მონიტორინგი გაუწიოს გარე აუდიტორებთან ურთიერთობაში.

- შეფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე ადუტიროთა კანდიდატურასთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.
- მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს.
- უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა.
- განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას.
- განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე.
- მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.
- მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკასა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას.
- განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებისაგან: გელა არობელიძე, ვასილ სუხიაშვილი და გურამ ცერცვაძე. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - გელა არობელიძე.

გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, აუდიტის კომიტეტის საქმიანობა დამატებით რეგულირდება აუდიტის კომიტეტის დებულებით (დამტკიცებული 2023 წლის 18 აგვისტო), რომელიც აწესებს დამატებით კრიტერიუმებს კომიტეტის საქმიანობისათვის. აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტის თანახმად აუდიტის კომიტეტის სხდომა უნდა გაიმართოს წელიწადში ოთხჯერ, წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად.

თანამშრომლები

„კომპანიის“ თანამშრომლების რაოდენობა 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 8,894-ს, 2023 წლის ბოლოსთვის 10,021-ს, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის კი 10,595-ს.

ანაზღაურება და ბენეფიტები

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა შესაბამისად 4,491 ათას და 7,290 ათას ლარს შესაბამისად. 2024 წლის ბოლოს კომპანიის მენეჯმენტზე დარიცხული იყო 2,122 ათასი ლარის (2023: 2,226 ათასი ლარი) ბონუსები და ხელფასები, რომელიც წლის ბოლო მდგომარეობით გაცემული არ იყო. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, დარიცხული თანხები გაცემულია.

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი

„კომპანიის“ აქციონერი თალიკო ცირეკიძე არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დავით ცირეკიძის დედა.

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ემიტენტის“ დანარჩენ 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის. ასევე, არ არსებობს ნათესაური კავშირები „ემიტენტის“ სხვა 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის.

საჩივრის შესახებ განცხადება

ამ პროსპექტის თარიღისათვის, ემიტენტის 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე არცერთი აქციონერი, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს არცერთი წევრი და აღმასრულებელი მენეჯმენტის არცერთი წევრი - არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით
- არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

კორპორატიული მმართველობა

„ემიტენტი“ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული კორპორატიულ მმართველობის მარეგულირებელ წესებში. დამატებით, 2021 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით გამოქვეყნდა კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2022 წლის იანვრიდან, თუმცა აღნიშნული კოდექსით ანგარიშგების პირველად წარდგენა ემიტენტებს დაევა ღია 2023 წლის წლიური ანგარიშგების თარიღისთვის. აღნიშნული კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას. 2023 წლის წლიურ ანგარიშგებასთან ერთად სს „ნიკორამ“ პირველად წარადგინა კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში.

„ემიტენტი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კორპორაციული მართვის პრინციპებს და აქტიურად მუშაობს მათ შესრულებაზე. „კომპანია“ არის გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია „კომპანიის“ საიტზე, ამ ფაქტორების გათვალისწინებით „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ამჟამად არ საჭიროებს დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ „კომპანია“ იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) „კომპანიის“ ხედვით მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დამოუკიდებელი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ყოლის საკანონმდებლო დანაწესი.

კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები

„კომპანიის“ კორპორაციული მართვის სისტემის ფორმირების, დახვეწისა და ფუნქციონირების საფუძვლებს წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საწყისები (პრინციპები):

ანგარიშვალდებულება – ეფექტური მმართველობა

„კომპანიის“ მართვის პოლიტიკა მიმართულია აქციონერთა ინტერესების მაქსიმალური დაცვისაკენ, ასევე „კომპანიის“ (ბიზნესის) აქციების საბაზრო ღირებულების ზრდაზე. „კომპანიის“ მართვის აუცილებელი ელემენტია განვითარების სტრატეგიის რეგულარული შემუშავება, განხილვა და დამტკიცება, - აგრეთვე როგორც ცალკეული ბიზნეს მიმართულებების, ასევე მთლიანად „კომპანიის“ მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. „კომპანიის“ ეფექტური მართვა გულისხმობს დაგეგმარებას, ასევე გეგმების შესრულების კონტროლისა და ბიზნეს-განყოფილებების მუშაობის შედეგების შეფასების ეფექტურ სისტემებს. სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერთა კრების, ხელმძღვანელი ორგანოს/დირექტორი – სამეთვალყურეო საბჭოს და თანამშრომლები – დირექტორის წინაშე. დებულების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭო შეიმუშავებს სტრატეგიასა და ახორციელებს აღმასრულებელი ორგანოების მართვასა და მათი საქმიანობის კონტროლს.

სამართლიანობა

„კომპანია“ თანაბრად იცავს ყველა აქციონერის, მიუხედავად მისი წილობრივი მონაწილეობისა, ინტერესებს. „კომპანიის“ აღიარებს აქციონერის უდავო უფლებას მიიღოს მონაწილეობა „კომპანიის“ მართვაში და ეხმარება მას კანონმდებლობითა და „კომპანიის“ წესდებით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების რეალიზაციაში. „კომპანიის“ აქციონერს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა „კომპანიის“ მართვაში მინიმუმ აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევის გზით. აქციონერს აქვს უფლება მიიღოს სრული ინფორმაცია „კომპანიის“ საქმიანობის, შედეგებისა და განხორციელებული პოლიტიკის შესახებ.

გამჭვირვალობა

„კომპანია“ დროულად და ზუსტად უნდა გაასაჯაროს ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო, მათ შორის: ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის, მუშაობის ხარისხის, საკუთრებისა და „კომპანიის“ მართვის შესახებ. ამასთან დაცული უნდა იქნას გონივრული ბალანსი გახსნილობასა და „კომპანიის“ კომერციულ ინტერესებს შორის. „კომპანია“ დროულად, სრულად და საჯაროდ აქვეყნებს წლიურ ფინანსურ ანგარიშსა და აუდიტორულ დასკვნას. „კომპანია“ დროულად ამჟღავნებს ინფორმაციას იმ ძირითად შედეგებზე, გეგმებსა და მისი საქმიანობის პერსპექტივებზე, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ აქციონერთა ქონებაზე ან უფლებებზე, თუმცა ამავე დროს შემუშავებული და დაცული უნდა იქნას კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის მკაცრი და საიმედო მექანიზმი.

პასუხისმგებლობა, კანონმდებლობისა და ეთიკის ნორმების დაცვა

„კომპანია“ იცავს ყველა მონაწილის უფლებას და უზრუნველყოფს ყველა მონაწილისადმი თანაბარ მიდგომას. სამეთვალყურეო საბჭო ცდილობს დაცული იქნას დაინტერესებული მხარეების ინტერესები მათი უფლებების შელახვის შემთხვევაში, კონფლიქტურ სიტუაციებში ცდილობს იპოვოს სამართლიანი, დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები იქნება „კომპანიისა“ და აქციონერებისათვის. „კომპანია“ აღიარებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს და ფინანსური მდგრადობისა და თავისი მიზნების მისაღწევად ისწრაფვის მათთან თანამშრომლობისაკენ. „კომპანია“, მისი პასუხისმგებელი პირები და თანამშრომლები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს საკანონმდებლო და საქმიან წრეებში მიღებული ეთიკური ნორმებით. „კომპანიის“ საკადრო პოლიტიკის მიზანია პროფესიონალური გუნდის ჩამოყალიბება, ზრუნვა მათი კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე. „კომპანია“ ზრუნავს თავის თანამშრომლებზე, იცავს კანონმდებლობით მინიჭებულ მათ უფლებებსა და სოციალური დაცვის ნორმებს. „კომპანია“ თავის საქმიანობას აწარმოებს საყოველთაოდ მიღებული ბიზნეს ეთიკის, საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობის, „კომპანიის“ წესდების, კორპორაციული ეთიკის შესახებ დებულების, ამ დებულებისა და ამ დებულებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილი შიდა დოკუმენტების (შინაგანაწესი, დებულებები, პოლიტიკები, პროცედურები და სხვა) შესაბამისად.

სს „ნიკორა“-ს გააჩნია კორპორაციული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამოწმებულია სს „ნიკორა“-ს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით და განთავსებულია კომპანიის ვებ. გვერდზე. www.nikoraholding.ge . კორპორაციული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია კომპანიის საქმიანობის ძირითადი

პრინციპები, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს კომპანიის დასახული მიზნების (რომელიც განხილულია წლიური ანგარიშის მომავალზე ორიენტირებული განცხადებების თავში) მიღწევის პროცესის ეფექტურობას.

კორპორაციული მართვის კოდექსის ჭრილში კომპანიის მიმართ არ გატარებულა საზედამხედველო ზომები.

სს „ნიკორას“ მიერ 2024 წელს პირველად იქნა წარდგენილი კორპორაციული მართვის ანგარიშგება და დანართი #1-#3-ით განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში. წლიურ ანგარიშთან ერთად წარდგენილი განაცხადი (დანართი #1) ტექნიკური ხარვეზის გამო არ შეიცავდა (სრულად) კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირების (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის) ხელმოწერას, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სს „ნიკორას“ განესაზღვრა დამატებითი ვადა, რის ფარგლებშიც კომპანიის მიერ მოხდა მითითებული ხარვეზის გასწორება.

იდენტური სახის ხარვეზის გასწორებისათვის ასევე დამატებითი ვადა განსესაზღვრა სს „ნიკორა ტრეიდს“, რომლის მიერაც დამატებით დადგენილ ვადაში იქნა წარდგენილი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით შედგენილი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში ყველა უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

კორპორატიული მართვის სტანდარტის აღწერა იხილეთ პროსპექტის ქვეთავში „*მმართველი ორგანო და მენეჯმენტი*“

დივიდენდების პოლიტიკა

„კომპანიის“ დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება, დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი წინადადებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დივიდენდების განაწილება ხდება ყოველწლიურად, თუ აქციონერთა საერთო კრება არ მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების გაუნაწილებლობის თაობაზე. დივიდენდების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კრებაზე დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 3/4-ზე მეტი. „კომპანიას“ არ აქვს წინასწარ დაგეგმილი თუ მოგების რა წილის გაცემა მოხდება დივიდენდის სახით. ყოველწლიური შედეგების დამტკიცების შემდეგ, დივიდენდის გასაც მოცულობაზე გადაწყვეტილებას იღებს აქციონერთა საერთო კრება.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტების“ შესაბამისად მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან როდესაც ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობა ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას.

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის განმარტებული.

(ათასი ლარი)	31.12.2024	31.12.2023
ოპერაციები		
ამონაგები და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	65	-
მარაგებისა და ნედლეულის შეძენა	2,362	125
ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შეადგენს	4,491	7,290
ხელფასები და ბონუსები ვალდებულება წლის ბოლოს	2,122	2,266
ფინანსური და სხვა სახის მომსახურების შეძენა	2,937	1,675
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	2,253
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	13,858	-
საპროცენტო შემოსავალი	11	18
დივიდენდის განაწილება	416	86
არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ კაპიტალში შენატანი	1,400	-
ნაშთები		
საიჯარო ვალდებულებები	17,267	9,854
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	481	3,533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,108	-
მიღებული სესხები	88	88

თავდებობა - 2024 წლის განმავლობაში სს ნიკორას ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელი ფიზიკური პირის იპოთეკური სესხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიას თავდებობის ფარგლებში ნაკისრი აქვს სოლიდარული პასუხისმგებლობა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ თავდებობის ფარგლებში სესხის ნაშთები შეადგენდა 332 ათას ევროს. ამ თარიღისათვის კომპანიიდან არ გასულა არანაირი ეკონომიკური სარგებელი აღნიშნული სოლიდარული პასუხისმგებლობის ფარგლებში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა ამ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და მსესხებელი დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ ნახსენებ სესხს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ამ კუთხით შესაბამისი ანარიცხი

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა)

- „კომპანიის“ წესდება (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B21068414)
- „ემიტენტსა“ და „კალკულაციის აგენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება კალკულაციის აგენტის მომსახურების თაობაზე;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე (reportal.ge);
- გალტ & თაგარტის FMCG სექტორის მიმოხილვა <https://galtandtaggart.com>
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიშები:
 - უახლესი BB- რეიტინგის მინიჭების ანგარიში: [JSC Nikora | Scope Ratings](http://JSC.Nikora.Scope.Ratings)
 - ყველა ანგარიში: <https://scoperatings.com/ratings-and-research/issuer/563546>
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - განაცხადის ნომერი: B25026735

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა „კომპანიის“ წესდებისა და ფინანსური ანგარიშგებებისა, წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“ ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო (35,208) ათასი ლარი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (61,367) ათასი ლარი.

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საცალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, ვინაიდან სს „ნიკორა“, ძირითადად საცალო ქსელიდან, მომხმარებლებისგან მომენტალურად იღებს შემოსავლებს, ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით.

უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი დამახასიათებელია სექტორის ყველა სხვა მსხვილი მოთამაშისთვისაც. მეტი დეტალისთვის 2023 წლისთვის ნიკორასა და მისი კონკურენტების საბრუნავი კაპიტალი იხილეთ თავში „კონკურენტული პოზიცია“.

ინფორმაცია შეთავაზებაში მონაწილე მხარეთა ინტერესისა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
სს „გალტ ენდ თაგარტი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია სს „გალტ ენდ თაგარტი“, რომელიც ასევე იქნება კალკულაციის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია ფასიანი ქაღალდების განთავსება და სანაცვლოდ, „კომპანიასთან“ შეთანხმებული საზღაურის მიღება.	არსებობს შესაძლებლობა, რომ გამოშვებული და წინამდებარე პროსპექტში განთავსებული ობლიგაციების ნაწილი შეიძინოს სს საქართველოს ბანკმა, რომელიც არის საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი კომერციული ბანკი და დაკავშირებულია განთავსების აგენტთან; კონკრეტულად, ორივეს, განთავსების აგენტისა და სს საქართველოს ბანკის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე არის Lion Finance Group PLC, კომპანია, რომელიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე. ამავდროულად, სს საქართველოს ბანკის კორპორაციული დაკრედიტების მიმართულების ხელმძღვანელი (რომელიც მოიცავს ორივეს, კორპორატიული სესხების გაცემას და ობლიგაციებში ინვესტირებას) ჯგუფურ დონეზე ზედამხედველობას უწევს განთავსების აგენტს. მითითებულმა გარემოებებმა შეიძლება შექმნას ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტს, ემიტენტს და სს საქართველოს ბანკს შორის.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ

ობლიგაციებით ნაკისრი კომპანიის ვალდებულებები კომპანიის არაუზრუნველყოფილი ვალდებულებებია. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი. „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, კანონმდებლობით, უზრუნველყოფილ კრედიტორებს გააჩნიათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ მათ, ანუ უზრუნველყოფილი კრედიტორების, სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. ემიტენტის არსებული სასესხო ვალდებულებები წარმოადგენს უზრუნველყოფილი კრედიტორების კატეგორიას, ხოლო „ობლიგაციონერთა“ მოთხოვნები მიეკუთვნება არაუზრუნველყოფილ მოთხოვნათა კატეგორიას.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას, და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);
- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანმიმდევრობით:
 - a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
 - b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;
 - c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს.
 - d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები
 - e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და

- f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

წინამდებარე წარმოადგენს „ობლიგაციების პირობებს“

„ემიტენტის“ აქციონერთა კრებამ 2025 წლის 25 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება ჯამურად 120,000,000 (ას ოცი მილიონი) ლარამდე ნომინალური ღირებულებისა არასუბორდინირებული და არაუზრუნველყოფილი „ობლიგაციების“ გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შესახებ. „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი და „დაფარვის თარიღი“, მათ შორის, „ობლიგაციების“ გამოშვების პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები, განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“) და „ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ (შემდგომში „პირობების დოკუმენტი“). ობლიგაციების გადახდის სიხშირე განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ობლიგაციების ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი;

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გამოთვლა განხორციელდება „ემიტენტსა“ და „კალკულაციის აგენტს“ შორის დადებული „კალკულაციის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში - „კალკულაციის აგენტის მომსახურების ხელშეკრულება“) პირობების შესაბამისად, ხოლო „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციის აგენტის ხელშეკრულების“ ასლი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტების მისამართიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციის აგენტის მომსახურების ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციის აგენტის მომსახურების ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში - „შეთავაზების პერიოდი“).

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

1. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

2.1. შესათავაზებული/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

2.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3. ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი; ოფისი N7; სართული 7.

2.4. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი

„ობლიგაციები“ გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით, ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულება, მისი გამოშვების თარიღისათვის შეადგენს 1,000 (ერთი ათასი) ლარს. „ობლიგაციების“ გამოშვების ზუსტი თარიღი დაზუსტდება/განისაზღვრება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად.

„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ ინვესტორისთვის გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ ინვესტორის წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, „ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ინვესტორ(ებ)ის ობლიგაცი(ებ)ი.

2.5. გადახდის უუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდის უუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

2.6. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა

2.1.1.

ვალდებულებები

(ა) დავალიანებები:

i „ემიტენტი“ ან/და „არსებითი შვილობილი კომპანია“ „ობლიგაციონერების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, არ შექმნის ან აიღებს/იკისრებს ნებისმიერ ფინანსურ ვალდებულებას, თუ:

ა. ამგვარი ფინანსური ვალდებულება გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან ბ. „გამოსყიდვის თარიღამდე“, აუდიტირებული (რომელიც სრულდება საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრის თარიღით) ან/და არა-აუდიტირებული (რომელიც სრულდება საანგარიშგებო წლის 30 ივნისის თარიღით) წლისთვის „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით დაანგარიშებული წმინდა ფინანსური ვალდებულებები: (რომელიც დგინდება ახალი ვალდებულებების გათვალისწინებით): 1. 2024 -2027 წლის ჩათვლით აღემატება ბოლო 12 (თორმეტი) თვის კორექტირებული EBITDA-ს მაჩვენებელს მაქსიმუმ 4.5-ჯერ; ხოლო 2. 2027 წლიდან - მაქსიმუმ 4.0-ჯერ. წინამდებარე წესებისა და პირობების მიზნებისთვის, ახალ ვალდებულებებზე ჩაითვლება ვალდებულებები, რომლებიც ემიტენტს წარმოეშვა ობლიგაციების განთავსების შემდგომ.

(ბ) **უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა:** მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ არის გადაუხდელი, „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“, რაიმე „დავალიანების“ უზრუნველყოფის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ უნდა წარმოშვან ან არ უნდა დაუშვან ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალების“ წარმოშობა „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ არსებულ ან შემდგომში შეძენილ აქტივებზე, გარდა „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებებისა“ ან იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავს უზრუნველყოფაზე გაცემულია „ობლიგაციონერების“ წინასწარი თანხმობა.

(გ) **საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:**

„ემიტენტმა“ და მისმა თითოეულმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“ კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(დ) **შერწყმა:** „ემიტენტმა“, „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი თანხმობის გარეშე, არ უნდა:

(x) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (y) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შერწყას რამდენიმე კომპანია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

1. ზემოთ (x) ან (y) ქვეპუნქტში მითითებული ტრანზაქციის დასრულებისთანავე:

- წარმოქმნილი ან დარჩენილი პირი ან მიმღები („უფლებამონაცვლე პირი“) იქნება „ემიტენტი“, ან იმ შემთხვევაში როდესაც „უფლებამონაცვლე პირი“ არ არის „ემიტენტი“, ის სრულად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ემიტენტის“ უფლებებსა და ვალდებულებებს; და
- „ემიტენტთან“ შერწყმული ან გაერთიანებული პირის ჯამური ფინანსური ვალდებულებები არ აღემატება ემიტენტის „კონსოლიდირებული“ აქტივების 25%-ს.

(ე) **განკარგვები:** თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, პირობა 1.6.1(დ)-ის („შერწყმა“) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდონ, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიისა“, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 25%-ზე ნაკლების განკარგვა, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისზე მითითებით.

წინამდებარე პირობა 1.6.1(ე) („განკარგვები“) არ გამოიყენება (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას შორის, თუ „ემიტენტი“ წარმოადგენს ამგვარი შვილობილი კომპანიის მაჟორიტარ პარტნიორს/აქციონერს; ან (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას“; ან (iii) ინვენტარიდან აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში; ან (iv) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ „კონსოლიდირებული“ აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისზე მითითებით.

(ვ) **გადასახადების და სხვა მოთხოვნების დაფარვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ არ არიან ვალდებული გადაიხადონ ნებისმიერი ამგვარი „გადასახადი“ ან მსგავსი მოთხოვნები (ა) თუ მათი ვალდებულების არსებობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია შესაბამისი რეზერვები „IFRS“-ის შესაბამისად, ან (ბ) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება მთლიანი „კონსოლიდირებული“ აქტივების 5%-ს (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

(ზ) **ფინანსური ინფორმაცია:**

(i) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 მაისისა, „ობლიგაციების მფლობელებს“ პირობებით გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული და შემოწმებული ფინანსური უწყისების ასლებს ამგვარი ფინანსური წლისათვის, აღნიშნულთან დაკავშირებით „აუდიტორების“ შესაბამის დასკვნასთან ერთად.

(ii) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან 30 აგვისტომდე, „ობლიგაციების მფლობელებს“ პირობებით გათვალისწინებული წესით მიაწვდის და ასევე „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებული „ემიტენტის“ კონსოლიდირებული და შემოწმებული ფინანსური უწყისების (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ასლებს ფინანსური წლის პირველი ექვსი თვის პერიოდისთვის.

(iii) თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ 25%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და „ანგარიშის მწარმოებელს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ მორიგი გადაწყვეტილების ფორმით.

(თ) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (აღნიშნული მოიცავს სასაწყობე უძრავ ქონებას, თუმცა, არა საცალო სავაჭრო ქსელს) მასში არსებულ მარაგებთან ერთად უნდა დააზღვიონ იმ

მზღვევლებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „არსებითი შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების დადება უნდა მოხდეს ქონების შეძენიდან გონივრულ ვადაში.

- (ი) **კონტროლის ცვლილება:** სანამ სრულად არ დაიფარება „ობლიგაციონერთა“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებები“, „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არ განხორციელდეს „კონტროლის ცვლილება“. ამ მუხლის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ განხორციელდება, თუ პარტნიორები, რომლებიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის ფლობენ წილებს „კომპანიის“ კაპიტალში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კაპიტალის 50%-ზე მეტი წილის ფლობას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეწყვეტენ „ემიტენტის“ კონტროლს. წინამდებარე „პირობის“ მიზნებისათვის, ჩაითვლება, რომ არსებული პარტნიორები „აკონტროლებენ“ „ემიტენტს“, თუ (პირდაპირ თუ არაპირდაპირ, კაპიტალის ფლობის, ხმის უფლების ქონის, ხელშეკრულების ან ტრასტის მეშვეობით ან სხვაგვარად) არსებულ პარტნიორებს აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ და/ან გაათავისუფლონ „ემიტენტის“ დირექტორთა საბჭოს ან სხვა მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა ან სხვაგვარად აკონტროლებენ ან უფლება აქვთ აკონტროლონ „ემიტენტის“ საქმეები და პოლიტიკა.

- (კ) **შეზღუდვა დივიდენდის განაწილებაზე:** „ემიტენტი“ ვალდებულებას კისრულობს, რომ მანამ, სანამ არ მოხდება „ობლიგაციების“ სრულად დაფარვა, მის მიერ განაწილებული წლიური დივიდენდი შეადგენს აუდირებული (წლიური ან სხვა პერიოდის) წმინდა მოგების არაუმეტეს 50% (ორმოცდათ პროცენტს).

- (ლ) **დაკავშირებულ პირთან გარიგებები:** „ემიტენტსა“ და მასთან დაკავშირებულ პირებს შორის, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა არა-დაკავშირებულ პირთან, დადებული გარიგებები უნდა შეესაბამებოდეს ე.წ. „გაშლილი მკლავის“ პრინციპს (arm's length principle; ფინანსურ და კომერციულ ტრანზაქციებში ხშირად გამოყენებადი შეფასების მეთოდი, რომელიც მხარეებს ავალდებულებს ტრანზაქციის ფასი დაადგინონ ისე, როგორც ეს მოხდება დამოუკიდებელ მხარეებს შორის, თითოეულის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით);

- (მ) **სხვა დათქმები:**

იმ „ობლიგაციების მფლობელთა“ წინასწარი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით), ინდივიდუალურად ან ჯამურად, გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 51%-ს, „ემიტენტს“ და მის „არსებით შვილობილ კომპანიებს“ არ აქვთ უფლება:

- (i) გაასხვისოს მისი უძრავი ქონება და სხვა აქტივები, გარდა საბრუნავი კაპიტალისა, თუ ასეთი აქტივების მთლიანი ღირებულება აღემატება ემიტენტის „კონსოლიდირებული აქტივების“ 25%-ს. ეს შეზღუდვა მოქმედებს წინამდებარე „პირობების“ 1.6.1(გ), 1.6.1(ე) და 1.6.1(ვ) პუნქტის მიუხედავად;
- (ii) გადასცეს კომპანია მართვაში მესამე პირს ან შევიდეს ისეთ გარიგებაში რაც მესამე პირს მიცემს უფლებას მოთხოვნა წამოაყენოს კომპანიის შემოსავლებზე ნაწილობრივ ან მთლიანად (გარდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში დადებული გარიგებებისა).

(ნ) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სამთავრობო ორგანოების დირექტივები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.

(ო) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება „კომპანიის“ (ერთობლივად აღებული) იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამოშვების თარიღისათვის“.

(პ) **საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:** იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების მოქმედების განმავლობაში კომპანიის საკრედიტო რეიტინგი, რომელიც მას მინიჭებული აქვს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ფინანსური გირავნობის პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N54 განკარგულებით გათვალისწინებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, შეიცვლება, მოხდება ობლიგაციების კუპონის კორექტირება ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

საკრედიტო რეიტინგი	კუპონი
BB	მინუს 25 საბაზისო პუნქტი („სპრედი“)
BB-	დამატებული 0 საბაზისო პუნქტი („სპრედი“)
B+	დამატებული 25 საბაზისო პუნქტი („სპრედი“)
B და უფრო დაბალი საკრედიტო რეიტინგის პირობებში	დამატებული 50 საბაზისო პუნქტი („სპრედი“)

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ემიტენტს მინიჭებული ექნება საკრედიტო რეიტინგი რამდენიმე სააგენტოსაგან, კუპონის დადგენის მიზნებისათვის უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს რეიტინგს. ასევე იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება ქვეყნის რეიტინგის ცვლილების გამო და აღნიშნული მიზეზი გამჟღავნებული იქნება რეიტინგის დასკვნაში, არ მოხდება საბაზისო განაკვეთის ცვლილება.

2.1.2.

პროცენტი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თუ „ემიტენტი“ არ გამოისყიდის ობლიგაციებს დაფარვის თარიღამდე, „პირობების“ 1.6.3 პუნქტის შესაბამისად („გამოსყიდვა“), თითოეულ „ობლიგაციას“ პროცენტი დაერიცხება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტის მიხედვით.

ყველა გადახდა განხორციელდება მითითებულ „პროცენტის გადახდის თარიღზე“ ან „გამოსყიდვის თარიღზე“, გარეშეგების შესაბამისად, „ცენტრალური დეპოზიტარის“ მიერ მომზადებულ იმ ინვესტორთა/ინვესტორისგან უფლებამოსილ პირველი საფეხურის „ანგარიშის მწარმოებელთა“ სიის მიხედვით, რომლებიც ფიქსირდებიან ფასიანი ქაღალდების მფლობელებად სამი (3) სამუშაო დღით ადრე „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ სამი (3) „სამუშაო დღით“ ადრე სამუშაო დღის დასრულებამდე („სააღრიცხვო თარიღი“), გარდა იმ შემთხვევისა, როცა „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „გამოსყიდვის თარიღი“ ემთხვევა არასამუშაო დღეს საქართველოში, რა დროსაც გადახდა განხორციელდება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ან „გამოსყიდვის თარიღის“ შემდგომ პირველივე „სამუშაო დღეს“. წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის, „დეპოზიტარი“ მიერ გადახდის განხორციელების დღე მიიჩნევა გადახდის დღედ და, შესაბამისად, „ემიტენტის“ ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჩაირიცხება თანხა „ობლიგაციონერის“ ანგარიშზე.

(ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება შესაბამის „პროცენტის დარიცხვის პერიოდში“ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების შესაბამისად, შემდეგი წესის საფუძველზე: 30/360 ICMA, ასევე ცნობილი როგორც „30/360 ევროპული ან ევროზონდების საბაზისო დღეების დათვლის კონვენცია (DCC)“ = მრიცხველი / 360.

მრიცხველის ფორმულა:

- i. თუ $D1=31$, მაშინ $D1=30$;
- ii. თუ $D2=31$, მაშინ $D2=30$;
- iii. თებერვლის ბოლო დღე ცალკე არ განისაზღვრება;
- iv. $\text{მრიცხველი} = (D2-D1)+30*(M2-M1)+360*(Y2-Y1)$,
სადაც „D“ ნიშნავს დღეს, „M“ - თვეს და „Y“ - წელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთი ცვლია და დამოკიდებულია 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე არსებულ საპროცენტო განაკვეთზე (რომელიც განთავსებულია შესაბამის ბმულზე: <https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr>), შესაბამის განაკვეთს, თითოეული „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ განსაზღვრავს „კალკულაციის აგენტი“, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე. პროცენტის დარიცხვა და გადახდა ხდება „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ არსებული მონაცემების საფუძველზე. „კალკულაციის აგენტი“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთად აიღებს „პროცენტის განსაზღვრის თარიღისთვის“ გამოქვეყნებულ უკანასკნელ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისთვის, „პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს, „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ (თითოეული კვარტლისთვის), აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ ორი „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღარ მოხდება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, მაშინ პროცენტის დარიცხვის კალკულაციაში მის ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს „ემიტენტის“ მიერ „გამოშვების თარიღიდან“ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე პერიოდში „ემიტენტის“ მიერ სარგებლის საპროცენტო განაკვეთის დასადგენად გამოყენებული 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი. ზემოთ მითითებული წესით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების აღდგენამდე. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღდგება 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნება, „ემიტენტი“ თითოეული შემდგომი საპროცენტო პერიოდისათვის ობლიგაციების

სარგებლის საპროცენტო განაკვეთს კვლავ განსაზღვრავს 3-თვიან თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის გამოქვეყნების შეწყვეტამდე არსებული წესით.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ ან „ანგარიშსწორების თარიღიდან“ (წინამდებარე „პირობების“ მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როცა თითოეული „ობლიგაციონერი“ ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას „ობლიგაციების“ მიღების სანაცვლოდ) შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ ან „გამოსყიდვის თარიღამდე“ (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ გადაიწევეს შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით) და, შესაბამისად, ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე მეტი. რადგან შემდგომი პერიოდი გამოითვლება ბოლო (გადაწეული) „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის გამოკლებით), ამ პერიოდში ფაქტობრივი დღეების რაოდენობა იქნება 90 დღეზე ნაკლები, თუ შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღი“ დაემთხვევა სამუშაო დღეს.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 ლარის ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 ლარის ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 ლარის დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ ცვლადი პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „ობლიგაციონერებისთვის“ გაგზავნამდე.

„პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღიან პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, პირველი პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ იწყება „ანგარიშსწორების დღეს“ და სრულდება შემდგომი „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, და ასევე ბოლო პერიოდის გარდა, როცა „პროცენტის დარიცხვის პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღის“ ბოლოს წინა დღეს და სრულდება „გამოსყიდვის თარიღზე“ (ამ თარიღის გამოკლებით).

(გ) ანგარიშსწორება და გადახდები

„დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე, „ცენტრალური დეპოზიტარი“ უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშის მწარმოებელთა ანგარიშებზე გადარიცხვას. ამავდროულად „ცენტრალური დეპოზიტარის“ სისტემის GSSS-ის გათვალისწინებით, „კალკულაციის აგენტი“ დაითვლის „ემიტენტის“ მიერ გასაცემი საპროცენტო სარგებლის (კუპონის) ან/და ძირითადი თანხის კალკულაციას იმ ფაქტობრივი მოცემულობის ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც იძლევა GSSS სისტემა.

ანგარიშსწორება:

- (i) ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის ვალუტაში პროცენტის გადახდის თარიღზე

„ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლის“ სასარგებლოდ „განთავსების აგენტთან“/„დეპოზიტართან“ მათ საბროკერო/საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ობლიგაციონერებმა“, თუ „ობლიგაციონერი“ „ობლიგაციებს“ პირდაპირ „დეპოზიტართან“ ფლობს, და „ანგარიშის მწარმოებელმა“, თუ „ობლიგაციონერი“ „ობლიგაციებს“ პირდაპირ „დეპოზიტართან“ არ ფლობს, უნდა უზრუნველყონ „დეპოზიტარისთვის“ და „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად, „პროცენტის განსაზღვრის თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

- (ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო/საბანკო ანგარიში არ არის გახსნილი „განთავსების აგენტთან“/„დეპოზიტართან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვეითოს მომსახურების საკომისიოები.
- (iii) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამის გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „დეპოზიტარისთვის“ გაზიარებულ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ლარში და მისცეს „დეპოზიტარს“ დავალება აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირითადი თანხის) გადარიცხვა „ობლიგაციონერთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად; ხოლო, „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.
- (iv) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად.
- (v) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და „კალკულაციის აგენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

2.1.3. გამოსყიდვა

„გამოსყიდვის თარიღზე“ „ობლიგაციების“ გამოსყიდვა განხორციელდება ძირითადი თანხის ღირებულებით, თუ მათი შესყიდვა ან გაუქმება არ განხორციელდა უფრო ადრე.

ემიტენტს გააჩნია ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის ოფცია:

ემიტენტს გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (Call Option) - ემიტენტს არ ექნება ობლიგაციების გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 1 (ერთი) წლის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ, ნებისმიერ დროს „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოსყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 101%-ს 1 წლის შემდეგ, 100.5%-ს 2 წლის შემდეგ, 100.25%-ს 3 წლის შემდეგ, 100%-ს 4 წლის შემდეგ, რასაც ემატება ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციების გამოსყიდვა მოხდება სრულად ან ნაწილობრივ. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უნდა შეატყობინონ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე. ამასთანავე, ობლიგაციების ვადაზე ადრე ნაწილობრივი ან სრული გამოსყიდვის შემთხვევაში, თითოეული ობლიგაციონერის „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ისინი ფლობენ წილს „ობლიგაციებში“ (*pro rata*).

„კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეისყიდოს „ობლიგაციები“ ღია ბაზარზე ან სხვაგვარად, ნებისმიერ ფასად.

„კომპანიის“ მიერ შესყიდული „ობლიგაციები“ შესაძლებელია გაუქმდეს.

2.1.4. საკუთრების უფლება

ვინაიდან „ცენტრალურ დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლების გადაცემა ხდება „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტების შედეგად, „კომპანიამ“ და „კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „ობლიგაციონერები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრეებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაცია“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „ობლიგაციონერისთვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად „კომპანიის“ და „კალკულაციის აგენტის“ მიერ ამგვარ „ობლიგაციასთან“ მიმართებით ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად, გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

„ობლიგაციონერები“ უფლებამოსილნი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ ისინი ამის შესახებ სათანადო წესით შეატყობინებენ „დეპოზიტარს“ ან „ანგარიშის მწარმოებელს“. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გამცემს, „ემიტენტისა“ ან „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

2.1.5. დაბეგვრა

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის“ მფლობელი უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

2.1.6. დეფოლტის შემთხვევა

დეფოლტად ჩაითვლება, თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მითითებული შემთხვევა (თითოეული „დეფოლტის შემთხვევა“), რომელთა დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე პროსპექტის „პირობების“ გათვალისწინებით, „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ საფუძველზე, „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილები არიან, „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ დაფარვა/განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულების) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა:

(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 15 დღის განმავლობაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერი სხვა ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, მათ შორის, წინამდებარე ემისიის პროსპექტის გათვალისწინებულ ფინანსურ შეზღუდვებსა და დათქმებს, და დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია ან თუ შესაძლებელია, დარღვევა არ გამოსწორდება „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინებიდან 30 დღეში; ან

(გ) გადახდისუუნარობა:

„ემიტენტი“ არის (ან შესაძლებელია ჩაითვალოს ასეთად კანონის ან სასამართლოს მიერ, ამისათვის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების საფუძველზე) გადახდისუუნარო ან გაკოტრებული ან შეაჩერებს, შეწყვეტს ან შესაძლებელია შეწყვიტოს მისი ვალების სრულად ან დიდი ნაწილის გადახდა, შესთავაზებს ან გააფორმებს რესტრუქტურირების (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით), ვადის გაგრძელების ან სხვა მსგავსი სახის შეთანხმებას, რომელიც ეხება ვალების (სრულად ან მნიშვნელოვანი ნაწილის) გადახდის ვადის შეცვლას/გაგრძელებას, ან შესთავაზებს ან გააფორმებს მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას მისი კრედიტორების სასარგებლოდ (რომელიც განპირობებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით); გამოცხადდება ან შეთანხმდება მორატორიუმი, რომელიც შეეხება „ემიტენტის“ ვალდებულებებს მთლიანად ან ნაწილობრივ; ან

(დ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default)

(ი) სესხად აღებული ან მოძიებული ფულადი სახსრებისთვის „ემიტენტის“ ან/და მისი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ დავალიანება გადასახდელი ხდება მისი გადახდის მითითებულ ვადაზე ადრე ნებისმიერი პირის

წინაშე დეფოლტის შემთხვევის შედეგად (შესაბამისი დეფინიციის შესაბამისად), ან (ii) ნებისმიერი ასეთი დავალიანება არ იქნა გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, საამისოდ დაწესებული დამატებითი ვადის მანძილზე; ან (iii) „ემიტენტი“ ან/და მისი „არსებითი შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მის მიერ მოქმედი ან სამომავლო დავალიანებისგან გამომდინარე გადასახდელი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დროულად დაფარვას, იმ პირობით, რომ

(i) შესაბამისი დავალიანების ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 1.6.6(დ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა უტოლდება ან აღემატება ბოლო ფინანსური წლის შედეგების საფუძველზე დათვლილი, „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში, მაგრამ არანაკლებ 4,500,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტ ოდენობას ნებისმიერ სხვა ვალუტაში და (ii) რომელსაც „ემიტენტი“ კეთილსინდისიერი და საამისოდ გონივრული საფუძვლით, აღიარებს გადასახდელ ვალდებულებად;

(ე) ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით დაკისრებული თანხები:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ ფულადი თანხის ან სხვა ვალდებულების დაკისრების თაობაზე სასამართლოს ან შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული და ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განჩინებების და ბრძანებების საერთო ოდენობა აღემატება „კომპანიის“ საერთო „კონსოლიდირებული აქტივების“ 5%-ს (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ თანხას ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან ნებისმიერი ასეთი გადაუხდელი გადაწყვეტილების, განჩინების, ბრძანების შედეგად (ა) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს ორი მესამედის ან სრული ცვლილება ან „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ საქმიანობის წარმოების უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივ შემცირდა,

(ბ) განხორციელდა „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობის (რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება „ემიტენტის“ კონსოლიდირებული შემოსავლების ან აქტივების საბალანსო ღირებულების 20 პროცენტს) კონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ მთლიანი ან არსებითი ნაწილი ქონების, შემოსავლების ან აქტივების წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის აღსრულების პროცედურა, ან აღმასრულებელი (კრედიტორი) მოიპოვებს მფლობელობას ან გაყიდის „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „არსებითი შვილობილი კომპანიის“ ქონებაზე/ქონებას, შემოსავალზე/შემოსავალს ან აქტივებზე/აქტივებს მთლიანად ან მის არსებით ნაწილზე/ნაწილს (ამ მუხლის მიზნებისთვის, არსებითია ის ნაწილი, რომელიც შეადგენს „ემიტენტის“ კონსოლიდირებული აქტივების 10%-ს ან მეტს) ან;

(ზ) ნებართვები და თანხმობები:

ემიტენტი დაარღვევს შემდეგ ვალდებულებას: არ განახორციელოს რაიმე ქმედება ან არ დაარღვიოს რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა (i) „ემიტენტს“ შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს და შეესაბამოს საკუთარ გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები 1.6.1 პირობის (ვალდებულებების) შესაბამისად და მისი „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები, (ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული

ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოქავი და შესაძლებელი იყოს მათი აღსრულება და (iii) უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ „ემისიის პროსპექტი“ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი იყოს, როგორც მტკიცებულება; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონობა:

„ობლიგაციების“ ან „ემისიის პროსპექტის“ ნამდვილობას სადაოდ ხდის „ემიტენტი“ ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ საკუთარ ვალდებულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე საკუთარ ვალდებულების შესრულება ან მასთან შესაბამისობა უკანონო ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან ნებისმიერი ასეთი ვალდებულება გახდება აღუსრულებელი, კანონსაწინააღმდეგო ან აღარ იქნება ნამდვილი და მზოქავი.

„ემიტენტი“ ვალდებულებას იღებს დაუყოვნებლივ, როგორც კი შეიტყობს, შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“ წარმოშობის შესახებ. თუ დადგება და განგრძობადია ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევა, გაცემული „ობლიგაციების“ ერთ ან რამდენიმე მფლობელს, რომელთა მფლობელობა ინდივიდუალურად ან ჯამურად წარმოადგენს „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ს, უფლება აქვთ „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადოს ვადამოსულად და მოითხოვოს ემიტენტისაგან ობლიგაციების დაუყოვნებლივ განაღდება ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა.

2.1.7. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს/მიაწოდოს „ემიტენტის“ შეტყობინება ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

„ობლიგაციების მფლობელებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „დეპოზიტარს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „დეპოზიტარს“ ინფორმაციას „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის შესახებ და შეტყობინებას გამოაქვეყნებს ანგარიშგების პორტალისა და სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით. ამასთანავე, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით მხოლოდ მაცნეზე განთავსება არ არის საკმარისი სათანადო წესით გაგზავნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და აუცილებელია შეტყობინების მითითებულ ელ-ფოსტაზე ან/და მისამართზე გაგზავნა.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება ერთ-ერთი შემდეგი წყარო: ვებ-გვერდი: <http://nikoraholding.ge/> ანგარიშგების პორტალი: reportal.ge, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka>, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/> ან/და საქართველოს საფონდო ბირჟის ვებ-გვერდები: <https://gse.ge/>. აღნიშნულ ვებგვერდზე მოხდება რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დადგენილი „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის

დანიშვნის წესის“ (შემდგომში - „**გამჭვირვალობის წესი**“) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- 1) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- 2) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.
- 3) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- 4) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

2.1.8. ობლიგაციების მფლობელების კრება

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ ადგენს წესებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის, ჩატარების და გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

(ა) ობლიგაციების მფლობელების კრება:

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 75% უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).
2. „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, მიიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.
3. „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც წინამდებარე „პირობების“ 1.6.8.გ.(i) პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია „ემიტენტის“ მიერ დადგენილი დღის წესრიგით.

(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება: „ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, აღნიშნული არ ცვლის ან აუქმებს გაცემული „ობლიგაციების“ სრული ძირითადი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელ(ებ)ის უფლებას მოიწვიონ „ობლიგაციების მფლობელების“ კრება და დააყენონ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების და „ემიტენტის“ წინააღმდეგ სააღსრულებო პროცედურის დაწყების საკითხი.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, (1) სააღსრულებო წარმოების დაწყება „ემიტენტის“ წინააღმდეგ შესაძლებელი იქნება მხოლოდ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ; (2) თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი

განახორციელონ ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება; და (3) ნებისმიერი „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ამ „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე, და ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით.

სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ დავების განმხილველ წინამდებარე ემისიის პროსპექტით განსაზღვრულ ორგანოში.

(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევა:

- (i) „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების მფლობელებს“ „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის თაობაზე უნდა ეცნობოთ სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 1.6.7. პუნქტის შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი (ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მიერ განსახილველი საკითხების დღის წესრიგის ცვლილება შეუძლია მხოლოდ „ემიტენტს“). შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.
- (ii) წინამდებარე „პირობების“ 1.6.7. პუნქტის შესაბამისად, „ემიტენტი“ „ობლიგაციების მფლობელებს“ დამატებით შეატყობინებს „ობლიგაციების მფლობელების“ კრების დადასტურებულ დროსა და ადგილის, ასეთი კრების გამართვიდან სულ მცირე 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
- (iii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). „ემიტენტს“ უფლება აქვს გამოიყენოს კრების დისტანციური (ელექტრონული საშუალებით) ჩატარების შესაძლებლობა, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია „ემიტენტის“ საერთო კრების მიერ და დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:
 - a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“ ან მისი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;
 - b. „ობლიგაციების მფლობელისთვის“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდებისთვის დანერგილია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და
4. „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

(დ) ობლიგაციების მფლობელის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ და

დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, ან წარმოადგინოს ნოტარიულად საჯარო აქტის წესით დამოწმებული მინდობილობა და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს „ობლიგაციების მფლობელის“ სახელით „ობლიგაციების მფლობელების“ ნებისმიერ კრებასთან („განმეორებითი კრების“ ჩათვლით) დაკავშირებით.

- ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.
- ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

(ე) ობლიგაციების მფლობელების კრების თავმჯდომარე:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“. თუკი „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.
- (ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებით კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

(ვ) ობლიგაციების მფლობელების კრებაზე დასწრება:

- კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:
 - a. „ობლიგაციების მფლობელებსა“ და მათ „წარმომადგენლებს“;
 - b. თავმჯდომარეს; და
 - c. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს;
- სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

(ზ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის კვორუმი:

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) ორი ან მეტი პირი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირითადი ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, ორი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელი“, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირითადი ნახევარისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ კრებაზე ხდება შემდეგი შინაარსის „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღება:

- „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;
- „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
- „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირითადი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;
- „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქაღალდებში კონვერტაციას;
- „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი

კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა);

- „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით კვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას; ან
- წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას.

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება ორი ან მეტი პირი, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - ორ ან მეტ პირს, რომელიც ესწრება ან წარმოადგენს „ობლიგაციების მფლობელებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(თ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება უნარიანობა და გადადება:

- (ii) არცერთი საკითხი არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არ უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ „განმეორებითი კრების“ შესაბამისი კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.
- (iii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“. განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვები იყო თავდაპირველ კრებაზე.
- (iv) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

(ი) ხმის მიცემა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით (ღია კენჭისყრა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებისას) კენჭისყრის ჩატარებას (დახურული კენჭისყრა).
- (i) თუ კენჭისყრა არ იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან არმიღების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.
- (ii) თუ კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ მომენტშივე ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.
- (iii) კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან

დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.

- (iv) გადაწყვეტილების მიღებისას, თითოეულ პირს, რომელიც ესწრება კრებას და არის „ობლიგაციის მფლობელი“ ან მისი „წარმომადგენელი“, აქვს ერთი ხმა იმ „ობლიგაციების“ ძირი თანხის ყოველი 1,000 (ათასი) ლარისთვის, რომელსაც იგი წარმოადგენს ან რომლის მიმართაც იგი არის დანიშნული „წარმომადგენლად“. პირს, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმის უფლება, არ არის ვალდებული გამოიყენოს ყველა ხმა ან გამოიყენოს ყველა მათგანი ერთნაირად.

(ვ) ობლიგაციების მფლობელების წერილობითი გადაწყვეტილება:

- (i) განსაკუთრებული გადაწყვეტილება: იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „ობლიგაციების“ 75%-ს (სამოცდათხუთმეტი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „განსაკუთრებულ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ;
- (ii) ჩვეულებრივი გადაწყვეტილება: „ობლიგაციების“ 51%-ის (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ ან მათი სახელით.

(ლ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

(მ) კრების ოქმები: ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

2.1.9. შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „ობლიგაციების მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და კოვენანტები, დროდადრო გამოუშვას სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

2.1.10. გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) გამოსაყენებელი სამართალი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) იურისდიქცია

საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური იურისდიქცია „ემისიის პროსპექტსა“ და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით წარმოშობილ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც უკავშირდება „ემისიის პროსპექტის“ ან „ობლიგაციების“ გაცემას, ნამდვილობას, არსებობას, შეწყვეტას ან მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებას).

2.1.11. ბათილობა და სამართლებრივი ძალა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

„პირობები“ შედგენილია ქართულ ენაზე, თუმცა ინვესტორთა წრის გათვალისწინებით, შესაძლებელია, იგი მოგვიანებით ითარგმნოს სხვა ენაზე. „პირობების“ ქართულ ვერსიასა და მის ნებისმიერ თარგმანს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესი ძალით სარგებლობს ქართული ვერსია.

2.1.12. განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„**განმეორებითი კრება**“ ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

„**ობლიგაციის მფლობელი**“ ან „**ობლიგაციონერი**“ ნიშნავს „ობლიგაციების“ მესაკუთრეს;

„**სამუშაო დღე**“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათის და კვირის გარდა), როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით);

„**კონტროლი**“, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად, ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად „ემიტენტის“ ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

“ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები” (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

"IFRS ფინანსური პერიოდი" ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც “ემიტენტმა” მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

"დავალიანება" ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ დროს

(ა) ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანება;

(ბ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება ობლიგაციებით, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით;

(გ) ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულებას საკრედიტო წერილებთან ან სხვა მსგავს დოკუმენტებთან დაკავშირებით (მათ შესაბამისად ანაზღაურების ვალდებულებების ჩათვლით), გარდა ნებისმიერი საკრედიტო წერილების, გარანტიების ან სხვა მსგავსი დოკუმენტებისა, რომელიც გამოიცა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში;

(დ) ამგვარი „პირის“ მიერ ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული ან გადაუხდელი ნასყიდობის ფასის გადახდის ყველა ვალდებულება;

(ე) ყველა სხვა „პირის“ მიმართ არსებული დავალიანება, რომელიც უზრუნველყოფილია “უზრუნველყოფის საშუალებით“, რომელიც ამგვარმა „პირმა“ უზრუნველყო საკუთარი ნებისმიერი აქტივის (რომლის ღირებულებაც, წინამდებარე მიზნებისთვის, განისაზღვრება ამგვარი აქტივის საბალანსო ანგარიშის შესაბამის ღირებულებაზე მითითებით შესაბამის უკანასკნელ წლიურ ფინანსურ ანგარიშთან (IFRS-ის შესაბამისად დათვლილი) მიმართებით) მიმართ, მიუხედავად იმისა, ცნობს თუ არა ამგვარ დავალიანებას აღნიშნული „პირი“;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანება, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ, იმ ოდენობით, რომელიც გარანტირებულია ან ანაზღაურებულია ამგვარი „პირის“ მიერ;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან შესაბამისად მოძიებული ნებისმიერი თანხა, რომელიც აშკარად ექვემდებარება დაბრუნებას;

(თ) წმინდა ვალდებულებები ნებისმიერი ვალუტის ან საპროცენტო განაკვეთის სადაზღვევო ხელშეკრულების შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი სხვა ტრანზაქციიდან გამომდინარე მოზიდული ნებისმიერი თანხა (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით ან ნასყიდობის ხელშეკრულება), რომელსაც სესხის ტოლფასი ეკონომიკური ან კომერციული ეფექტი გააჩნია,

და ნებისმიერ თარიღზე ნებისმიერი „პირის“ დავალიანების ოდენობა იქნება ამგვარ თარიღზე ყველა, ზემოთ აღწერილი, უპირობო ვალდებულებების გადასახდელი ნაშთი, ხოლო ყველა, ზემოთ აღწერილი, პირობით ვალდებულებასთან მიმართებით, მაქსიმალური პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობოდა ვალდებულების საფუძველად არსებული პირობის დადგომისას;

კორექტირებული EBITDA - დაიანგარიშება, როგორც კომპანიის წმინდა მოგებას დამატებული შესაბამისი პერიოდის მოგების გადასახადი, დამატებული საპროცენტო ხარჯი, გამოკლებული საპროცენტო შემოსავალი, დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, გამოკლებული/დამატებული კურსთაშორისი სხვაობის მოგება/ზარალი, გამოკლებული/დამატებული ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული მოგება/ზარალი, გამოკლებული იჯარის ვალდებულებებზე გადახდილი თანხა (გადახდილი ძირისა და პროცენტის ჯამი, რომელიც ფიქსირდება „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგების საიჯარო ვალდებულების შენიშვნაში).

ფინანსური ვალდებულებები - იგულისხმება ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სასესხო ვალდებულება, ნებისმიერი პირის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულება ან/და ემიტენტის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულება.

ზემოთ ხსენებული ვალდებულებები არ მოიცავს: ფაქტორინგს, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილ ვალდებულებას, ბალანს გარეშე ვალდებულებებს (გარანტია, აკრედიტივი და სხვ), ფინანსურ იჯარას, სავაჭრო, საგადასახადო და სხვა მსგავს ვალდებულებებს.

წმინდა ფინანსური ვალდებულებები - ნიშნავს ფინანსურ ვალდებულებებს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები.

„ანგარიშის მწარმოებელი“ ნიშნავს ფინანსური ინსტიტუტს (მათ შორის, „ცენტრალური დეპოზიტარი“), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.

„არსებითი შვილობილი კომპანია“ ნიშნავს „ემიტენტის“ ნებისმიერ შვილობილ კომპანიას:

(ა) რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდისთვის, აღრიცხავდა „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტს, ან რომელიც, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს, იყო „კომპანიის“ კონსოლიდირებული შემოსავლის 5 პროცენტზე მეტის მფლობელი, რომელიც განისაზღვრება „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშზე მითითებით, რომელიც მომზადდა IFRS-ის შესაბამისად უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ მიმართ; ან

(ბ) რომელსაც გადაეცემა „ემიტენტის“ „არსებითი შვილობილი კომპანიის“ აქტივებისა და ვალდებულებების 25%-ზე მეტი, რომელიც უშუალოდ ამგვარ გადაცემამდე წარმოადგენდა „არსებით შვილობილ კომპანიას“ (ამგვარი ტრანზაქციის თარიღის მიხედვით).

„ნებადართული უზრუნველყოფა“ განიმარტება, როგორც:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფა, რომელიც დადებულია „გამომწვევის თარიღამდე“;

(ბ) ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფა;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ დავალიანებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, რომელიც ეკუთვნის შეძენილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ შესყიდულ ან შესასყიდ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ არ შექმნილა ამგვარი შესყიდვის მიზნებისთვის და არ ვრცელდება ნებისმიერ სხვა აქტივებზე ან ქონებაზე (გარდა ამგვარი შესყიდული აქტივებიდან ან ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე);

(ე) შემდგომში „კომპანიის“ ნებისმიერი წევრის მიერ შესყიდული ნებისმიერი ქონების მიმართ ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ ამგვარი ქონების შესყიდვის ფასის და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციული ხარჯების დაფინანსების მიზნებისთვის აღებული „დავალიანების“ უზრუნველსაყოფად მინიჭებული „უზრუნველყოფის საშუალება“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი შესაბამისი „დავალიანების“ მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ამგვარი ქონების შესყიდვის ფასს, ტრანზაქციულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ამგვარი შესყიდვის დაფინანსების შედეგად აღებულ „დავალიანებას“;

(ვ) ნებისმიერი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციის ან ურთიერთგაქტივების შესახებ შეთანხმება, რომელიც „კომპანიის“ ნებისმიერმა წევრმა დადო საკუთარი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შემოსავლის და გასავლის ბალანსის ურთიერთკომპენსაციის მიზნებისთვის;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ არსებულ და სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე ან მათ ნაწილზე დადებულ „უზრუნველყოფის საშუალებას“, რომელიც წარმოიქმნა მისაღები ფულადი სახსრების (receivables) სეკურიტიზაციასთან (securitisation) ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან (asset-backed financing) ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან;

(თ) ნებისმიერი არსებული ან სამომავლო აქტივების ან შემოსავლების ან მათი ნებისმიერი ნაწილის შესაბამისი „უზრუნველყოფის საშუალება“ იქმნება ნებისმიერი „რეპო“ ტრანზაქციის შესაბამისად;

(ი) ნებისმიერი ხელშეკრულების (ან სხვა მარეგულირებელი პირობების) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტული ან ჩვეულებითია საპროცენტო განაკვეთის და უცხო ვალუტის კურსის დაზღვევის ოპერაციების შესაბამის ბაზარზე;

(კ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით; ; და

(ლ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (ი)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალების“ მიერ უზრუნველყოფილი „დავალიანების“ საერთო ოდენობის ძირითადი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „კომპანიის“ კონსოლიდირებული აქტივების 20 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

"პირი" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

„პირობები“ ნიშნავს ამ „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების პირობებს“.

„პროცენტის გადახდის თარიღი“ ნიშნავს „პირობების დოკუმენტის“ მიხედვით დადგენილ პროცენტის გადახდის თარიღებს.

„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“, აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ ორი „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

"რეპო" ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას ან საპირისპირო ხელახლა შესყიდვის ან ხელახლა გაყიდვის ხელშეკრულებას, ფასიანი ქაღალდების თხოვნის ან გაქირავების ხელშეკრულებას ან ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ნებისმიერი აღნიშნულის მსგავსი ეფექტის და მიზნების მქონე ხელშეკრულებას;

„ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის და არა მხოლოდ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონსა და „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ 2023 წლის 16 ნოემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

„უზრუნველყოფის საშუალება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, ყადაღას, შეზღუდვას, ვალდებულებას ან ფასიანი ქაღალდის პროცენტს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი კანონმდებლობით აღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

„შვილობილი კომპანია“ „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკრისს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის და მიუხედავად.

„პროსპექტი“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„კონსოლიდირებული აქტივები“ განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო უწყისზე მითითებით.

„GSSS სისტემა“ (ან ნებისმიერი სხვა მსგავსი შინაარსის სისტემა) წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც კუპონის გადახდის მომენტში უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდების უსაფრთხო შენახვასა და მომენტალურ ანგარიშსწორებას. აღნიშნული სისტემით სარგებლობა შეუძლიათ ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს.

„გამჭვირვალობის წესი“ გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 07 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დადგენილი „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესი“.

„დეპოზიტარი“ ან „ცენტრალური დეპოზიტარი“ ნიშნავს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს“ (ს/ნ 204935400), ან მის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს.

„შემსყიდველი ინვესტორი“ არის ინვესტორი, რომლის მიერ „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე ინტერესის გამოსახატად შევსებული განაცხადიც იქნა დაკმაყოფილებული (მათ შორის, არასრული მოცულობით) და აღნიშნული განაცხადის დაკმაყოფილების (მათ შორის, არასრული მოცულობით დაკმაყოფილების) შესახებ გადაწყვეტილება დადასტურებული იქნა კვლავ ინვესტორის მიერ წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, რომელიც არის გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე.

2.7. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის მითითება; ამ წარმომადგენლობის პირობებისა და იმ ვებ-გვერდის მითითება, სადაც ინვესტორები შეძლებენ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების გაცნობას:

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

2.8. ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების აღწერა, მათ შორის ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვებისა და ამ უფლებების განხორციელების პროცედურის აღწერა.
იგივე, რაც 1.6 პუნქტში.

2.9. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. ინფორმაცია

ობლიგაციების საგადასახადო დაბეგრასთან დაკავშირებით:

ობლიგაციების დაბეგრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს ობლიგაციებთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. ობლიგაციების პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან ობლიგაციების შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე ობლიგაციებიდან პროცენტის, ძირითადი თანხის და/ან სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის ობლიგაციებთან დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება

პროცენტზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, „ობლიგაციონერებისთვის“ (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირები) გადახდილი პროცენტი ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგრას საშემოსავლო გადასახადის 5 (ხუთ) პროცენტის განაკვეთით. გარდა ამისა, ზემოთ მითითებული გადახდის წყაროსთან დაბეგრილი საპროცენტო შემოსავალი არ ჩაითვლება მიმღები რეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივ შემოსავალში.

ობლიგაციებზე პროცენტის გადახდები გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და აღნიშნული გადახდები არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ, საჯარო შეთავაზების გზით, 2026 წლის 1 იანვრამდე და დაშვებულია ორგანიზებულ ბაზარზე, რომელიც აღიარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (GSE-ის A და B კატეგორიის ლისტინგი).

ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტები გათავისუფლებულია წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისგან და არ ჩაითვლება ობლიგაციის მფლობელის ერთობლივ შემოსავალში, თუ ობლიგაციები გამოშვებულია საქართველოს რეზიდენტის მიერ და დაშვებულია ვაჭრობაში უცხო ქვეყნის მიერ აღიარებულ საფონდო ბირჟაზე.

ობლიგაციონერებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ქვეყნებში, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი და რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულია როგორც ოფშორული იურისდიქციები, ობლიგაციებზე გადახდილი პროცენტი დაიბეგრება 15% (თხუთმეტი პროცენტი) განაკვეთით.

საქართველოში მიღებული საპროცენტო შემოსავლის წყაროსთან დასაკავებელ გადასახადზე შესაძლოა ასევე გავლენა იქონიოს საქართველოსა და არარეზიდენტი ობლიგაციის მფლობელის რეზიდენტობის ქვეყანას შორის არსებულმა ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ.

ობლიგაციების გასხვისების დაბეგრა

რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დაბეგრისაგან საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, ობლიგაციის გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15%-იანი (თხუთმეტ პროცენტის) გადასახადის განაკვეთით იბეგრება (დასაბეგრი თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

ობლიგაციის მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20%-იანი (ოც პროცენტის) განაკვეთით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

ობლიგაციის მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტის განაკვეთით თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ობლიგაციების ცალკეულ მფლობელებზე, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

ობლიგაციების გამოსყიდვისას მფლობელების მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ობლიგაციების რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახდო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

2.10. არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

2025 წლის 29 აგვისტოს კომპანიას მიღებული აქვს „BB-“, საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან.

2. საჯარო შეთავაზების პირობები

2.2.1. შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

2.3.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება;

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

2.3.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობა;

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ჯამური ოდენობა იქნება 120,000,000 ლარი, რომელთა გამოშვებაც განხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით.

2.3.3. პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

ობლიგაციების შეთავაზება დაიწყება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად და დასრულდება „ობლიგაციების“ სრულად განთავსებისას ან პროსპექტის ვადის ამოწურვისას, რომელიც დადგება უფრო ადრე. შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„განთავსების აგენტი“ განახორციელებს „ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით, „ემიტენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებისადმი“ ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის

უფლებამოსილ შუამავალ/შუამავლებს უფლება აქვთ სეზ-ის მიერ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ „გათვითცნობიერებულ (კვალიფიციურ) ინვესტორებს“.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ მათი ინტერესი „ობლიგაციების“ შესყიდვისადმი გამოხატონ „განთავსების აგენტისთვის“ განაცხადის/შეტყობინების მიწოდების გზით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის ან „განთავსების აგენტის“ მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღი განისაზღვრება ემიტენტის და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით. თუ ამგვარი საბოლოო თარიღი არ არის „სამუშაო დღე“, წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება განაცხად(ებ)ის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში. ამგვარი საბოლოო საპროცენტო განაკვეთი აისახება საბოლოო „ემისიის პროსპექტში“.

თუ პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში ისინი გამოხატავენ ინტერესს შეიძინონ წინასწარი ან საბოლოო „პროსპექტით“ შეთავაზებულზე მეტი ოდენობის „ობლიგაციები“, ამგვარი მოთხოვნა დაკმაყოფილდება ნაწილობრივ, ინვესტორების მიერ წარდგენილ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თავისი შეხედულებისამებრ. ამასთან, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამგვარ პოტენციურ ინვესტორს უფლება აქვს უარი თქვას ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. „განთავსების აგენტს“ ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე უნდა ეცნობოს წერილობით, ელექტრონულად ან სხვა ფორმით დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს იმ „სამუშაო დღის“ 14:00 საათისა (თბილისის დროით), რომელიც მოსდევს იმ დღეს, როცა ინვესტორს ეცნობა მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ რაოდენობასთან მიმართებით) თაობაზე. ამგვარი გადაწყვეტილების „განთავსების აგენტისათვის“ შეუტყობინებლობა უფლებას აძლევს „განთავსების აგენტს“, თავისი შეხედულებისამებრ, განიხილოს ინვესტორის თავდაპირველი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ რაოდენობასთან მიმართებით) ან უარი თქვას განაცხადზე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის („შემსყიდველი ინვესტორები“).

„შემსყიდველმა ინვესტორებმა“ „ობლიგაციების“ შესაბამისი რაოდენობის შესასყიდად საჭირო თანხები სრულად უნდა განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არაუგვიანეს 1 „სამუშაო დღისა“. „შემსყიდველმა ინვესტორებმა“ ამგვარი საბროკერო ანგარიშები უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. საგამონაკლისო შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ მისცეს უფლება „შემსყიდველ ინვესტორს“, რათა მან „ობლიგაციების“ შესასყიდად საჭირო თანხები განათავსოს „განთავსების აგენტთან“ გახსნილ „ემიტენტის“ ანგარიშზე („განთავსების აგენტთან“ გახსნილი „შემსყიდველი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშის ნაცვლად). „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „დეპოზიტართან“ გახსნილ „შემსყიდველი ინვესტორის“ ანგარიშზე.

იმ შემთხვევაში, თუკი პირველადი განთავსების პერიოდში ინვესტორი „ობლიგაციებს“ შეიძენს მათი გამოშვების თარიღის შემდეგ, იგი ვალდებული იქნება ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად გადაიხადოს მათი შეძენის თარიღისთვის დარიცხული კუპონიც.

გამონაკლისის სახით, „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“, ემიტენტის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია პოტენციური ინვესტორებისთვის (მათ შორის და არა მხოლოდ, „შემყიდველი ინვესტორებისთვის“) დაადგინოს გარკვეული შეღავათები ვადებთან ან პირობებთან დაკავშირებით.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ, „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილნი არიან ფლობდნენ „ობლიგაციებს“ ჩანაწერის ფორმით „დეპოზიტართან“ თუ თავად არიან ცენტრალური დეპოზიტარის სისტემის მონაწილეები ან სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ გახსნილ ანგარიშზე.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად და შესაბამისი პროცედურის გამორიცხვის გარეშე, „განთავსების აგენტის“ და „ემიტენტის“ ერთობლივი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა შეთავაზება განხორციელდეს „ცენტრალური დეპოზიტარის“ სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესზე გავრცელდება „ცენტრალური დეპოზიტარის“ შესაბამისი წესები.

(ბ) ცვლილებების განხორციელება შეთავაზების მიმდინარეობისას

თუ შეთავაზების პროცესში (დროის მონაკვეთი შეთავაზების დაწყებიდან „გამოშვების თარიღამდე“) „ემიტენტი“ გადაწყვეტს შეცვალოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით (ცვლილებები დაექვემდებარება სებ-ის მიერ თავიდან დამტკიცებას, რაც არ ნიშნავს, რომ აუცილებლად მოხდება მათი დამტკიცება), მაგალითად, ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ფასი, საპროცენტო განაკვეთი, შეთავაზების პერიოდი და ა.შ., „ემიტენტმა“ ინვესტორებს უნდა განუსაზღვროს სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადა მათი მოთხოვნის გაუქმებისათვის. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, „ემიტენტს“ უფლება აქვს გააგრძელოს შეთავაზება შეცვლილი პირობებით.

თუ შეიცვლება რომელიმე არსებითი (მატერიალური) ფაქტი, რომელიც განიმარტება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 7 ოქტომბრის N179/04 ბრძანებით „დამტკიცებული ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ შესაბამისად, ინვესტორებს, რომლებმაც შეისყიდეს „ობლიგაციები“, უფლება აქვთ გააუქმონ ამგვარი ნასყიდობა და მოითხოვონ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ გამოსყიდვა მათი ძირითადი თანხისა და ნებისმიერი დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის სანაცვლოდ. ინვესტორები („ობლიგაციების მფლობელები“), რომლებიც არ გააუქმებენ „ობლიგაციების“ შესყიდვას, დაექვემდებარებიან შეთავაზების შეცვლილ პირობებს.

თუ შეთავაზების პროცესში შეიცვლება რაიმე არაარსებითი ინფორმაცია, „ემიტენტმა“, შესაბამისი ცვლილების „ემისიის პროსპექტში“ შეტანამდე, უნდა შეატყობინოს „ობლიგაციის მფლობელებს“ და მიაწოდოს მათ დოკუმენტი, რომელიც ასახავს ამგვარ შეცვლილ ინფორმაციას.

2.3.4. მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც;

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

2.3.5. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა:

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.3.6. ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა;

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია 2.1.3(ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის პუნქტში.

2.3.7. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ:

ინვესტორებს არ აქვთ „განთავსების აგენტისთვის“ გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

2.3.8. შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება:

განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენა მოხდება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

2.3.9. პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში:

ობლიგაციებთან მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

2.2.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

2.4.1. პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირზე.

2.4.2. ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი, ამასთან იმის მითითება, შესაძლებელია თუ არა ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დაწყება ასეთი შეტყობინების გაგზავნამდე.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ

ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის.

2.4.3. რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, მითითება აპირებენ თუ არა ემიტენტის მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) მონაწილეობა მიიღონ შეთავაზებაში და შეიძინონ ფასიანი ქაღალდები, ან არსებობს თუ არა პირი, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 პროცენტზე მეტი.

რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ემიტენტის ხელმძღვანელობა, დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან აქციონერი არ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობას და ფასიანი ქაღალდების შეძენას. ემიტენტს არ აქვს ინფორმაცია ისეთი პირის შესახებ, რომელმაც წინასწარ გამოთქვა სურვილი შეეძინა შეთავაზების 5%-ზე მეტი.

2.2.3. ფასის დადგენა

- **ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით:**

ობლიგაციების განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

- **შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა;**

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

2.2.4. განთავსება

- **შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;**

შეთავაზებაში არ არის ჩართული იურიდიული კომპანია და ობლიგაციონერების წარმომადგენელი.

- **განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია**

განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206; მისამართი: ქ. თბილისი, 0105, ა. პუშკინის ქუჩა N3; ელ. ფოსტა: gt@gt.ge

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების [1.5]-ს. საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი ხარჯი.

- **ანგარიშსწორების (გადახდის) აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400). საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველას, N 71, ოფისი N 7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge